# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 14 ივნისი 1997 №68 (433) ფასი 50 თეთრი




ბადრი კეთილაძის ფოტო

## შოთა — «აიაქსში», აჩი — «როდაში»

ახლახან საქართველოში მყოფ მორტენ ოლსენს შოთა არველაძეზე რომ ჰკითხეს, ლამის თვალები შუბლზე აიცოცა და, რას ამბობთ, ეგეთ ფეხბურთელს საერთოდ არ ვიცნობო — იხუმრა.

ახეა თუ ისე, ოლსენი რომ ბულგარზე სახეირნოდ არ იყო ჩამოსული ბათუმში, ამას რა დიდი გამოცნობა უნდოდა. როგორც შევიტყვეთ, შოთა მალე გახდება ყველაზე პოპულარული ჰოლანდიური კლუბის წევრი. ისე, მართლა რომ არ სცნობოდა ოლსენს, შოთამ ისე ითამაშა მოლდოვასთან, დანიელი მწვრთნელი უეჭველად იკითხავდა, ეს თერთმეტი ნომერი რა გვარიაო. ისე, „აიაქსის" მწვრთნელი დღეს კატოვიცეშიც დაესწრება ჩვენების მატჩს.

მოკლედ, პოლონეთის მერე აიაქსელთა კონტრაქტზე შოთას ხელმოწერაც ალბათ მალე გაჩნდება. შოთას არჩილიც იქვე ეყოლება — ტყუპისცალს კერკრადეს „როდა" ეპატიჟება...

## მოვერევით რუსების მძლეველ ფრანგებს?

სამი კვირა მალე გაილია და ძიუდოისტებს ევროპის საკლუბო თასის მეორე წრეც კარს მოადგათ. დღეს 15 საათზე სპორტის სასახლეში თბილისის „შევარდენი" საფრანგეთის „ბულონს" მასპინძლობს. ფრანგები ხუთშაბათს ღამით სტამბოლის რეისით ჩამოფრინდნენ და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" კუთვნილ სასტუმროში დაბინავდნენ. მათ ჩამოსვლისთანავე გაგვაცნეს თავიანთი შემადგენლობა, ხოლო ჩვენებურთა შესახებ „შევარდენის" პრეზიდენტმა ბერდია გუგავამ გვაცნობა. მაშ ასე, დღეს ტატამზე გამოვლენ:

| შევარდენი | | | ბულონი |
|---|---|---|---|
| ნესტორ ხერგიანი | 60 | კგ | ბატისტ ლეროი |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 65 | კგ | იონ სუ იანი |
| ზაზა გულიაშვილი | 71 | კგ | ჟილ სპაჟიარი |
| დავით ნადარაია | 78 | კგ | ალვარო პასეირო |
| სოსო ლიპარტელიანი | 86 | კგ | პასკალ ჟოზეფ-როზე |
| გია გუგავა | 95 | კგ | ერიკ ფარუ |
| რამაზ ჩოჩიშვილი | მძიმე | | კრისტოფ ბარტეზი |

„ბულონი" საფრანგეთის 1996 წლის ჩემპიონია. ფინალში მას დაუმარცხებია „პარი სენ ჟერმენი", რომლის ღირსებასაც მაშინ ოლიმპიური ჩემპიონები დავიდ დუიე და ჯამელ ბურა იცავდნენ. ადრე გაცნობეთ, თითქოს „ბულონში" ბურა ირიცხებაო, მაგრამ გავარკვიეთ, რომ ჯამელი მხოლოდ სექტემბრიდან იასპარეზებს ახალ კლუბში.

ფრანგებმა ზუსტად ის შემადგენლობა ჩამოიყვანეს, რომელმაც მოსკოვში 4:3 მოუგო „ნაშე პოკოლენიეს". ორი ლეგიონერი ჰყავთ — კორეელი იონ სუ იანი და ურუგვაელი ალვარო პასეირო. ეს კაცი მხოლოდ პასპორტითაა ურუგვაელი, თორემ საფრანგეთში ცხოვრობს და ვარჯიშობს. სხვათა შორის, წელს რომის საერთაშორისო ტურნირზე პასეიროს თურქეთის ნაკრების წევრმა, ჩვენებურმა ირაკლი უზნაძემ მოუგო. 95 კგ-ის ფალავანი ერიკ ფარუ კი წლევანდელი პარიზის საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორია.

„შევარდენი" ვაკეში, ძიუდოს დარბაზის სასტუმროში გადის შეკრებას. ხორვატებთან გამოყვანილ შემადგენლობასთან შედარებით ერთი განსხვავებაა: 71 კგ-ში კობა თადიაშვილის ნაცვლად ზაზა გულიაშვილი იჭიდავებს. გულიაშვილი საქართველოს 1996 წლის ჩემპიონია, ოღონდ 78 კგ-ში. ამჯერად კი, „შევარდენის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, წონას იკლებს და ერთი კატეგორიით დაბლა იასპარეზებს.

დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს

## პოლონეთი (ახალგაზრდული) 2
## საქართველო (ახალგაზრდული) 2
## გამარჯვებამდე 6 წუთიღა რჩებოდა

**პოლონეთი:** ვეშხოვსკი, ბოსაცკი, შიმკოვიაკი, ურბანიაკი (ზაიაცი 75), მიხალ ზევლაკოვი, კარვანი, ტერლეცკი, ვიხნიარეკი, მოსკალი (პეჩაკი 56), პალუხი, დუბიცკი (მარცინ ზევლაკოვი 72)

**საქართველო:** გვარამაძე, სილაგაძე, წერეთელი, დიდავა, ხუჯაძე, ქებაძე (საჯაია 25), ჩალაძე, გოგობერიშვილი (ალადაშვილი 60), დემეტრაძე (აშვეთია 55), ფოცხვერია, იაშვილი

**გოლი:** 1:0 დუბიცკი (43), 1:1, 1:2 აშვეთია (67, 74), 2:2 შიმკოვიაკი (84)

გუშინ ქართველი ახალგაზრდები ახლოს იყვნენ შესარჩევ ციკლში ზედიზედ მეორე გამარჯვებასთან, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლებმა მეორე ბურთი გაიტანეს გვარამაძის კარში და ფრეს მიაღწიეს. არადა, მანამდე გუცაევის ბიჭებმა შეძლეს ის, რაც აქამდე ჩვენს ნაკრებებს ვერასდროს გაეკეთებინათ — 43-ზე წუთზე პირველი გოლი გაუშვეს და ტაიმი დათმეს, მაგრამ მერე, ქუთაისელ მიხეილ აშვეთიას მოედანზე შესვლა და ორი გოლი ლამის ერთი იყო — ჯერ მიხომ ნახტომში დაამატა პოლონელთა მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს, მანამდე მარცხნიდან იაშვილმა რომ დაურტყა, შემდეგ კი თავადვე მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით თავისიანები დააწინაურა. ვლადიმერ გუცაევი, ვისაც წუხელ ორიოდ წუთით ვესაუბრეთ, კმაყოფილი იყო ჩვენების თამაშით, თუმცა ჯერ კიდევ 84-ე წუთის ამბავს განიცდიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 5:1 | 12 |
| იტალია | 6 | 3 | 2 | 1 | 17:3 | 11 |
| პოლონეთი | 6 | 0 | 5 | 1 | 6:8 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:9 | 5 |
| მოლდოვა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:13 | 3 |



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის ამ ფოტოდანაც კარგად ჩანს, როგორი განწყობით დატოვეს ფოთის სტადიონი ლევან სილაგაძემ (მარცხნივ) და გუნდის კაპიტანმა გივი დიდავამ. გუშინ პოლონეთშიც იგივე განმეორდებოდა, ჩვენს ახალგაზრდებს ექვსი წუთიც რომ გაეძლოთ. თუმცა, სტუმრად მოპოვებული ერთი ქულაც არაა ურიგო. ვინ იცის, იქნებ გუშინდელ ქულას დღევანდელი სამიც დაემატოს და...

## ვალი და მადლი

ბოლო ხანს ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობა სანატრელი გაუხდათ და შინაურ ჩემპიონატებსაც ფასი დაედოთ. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატიც დაფასდა და ჭიდაობის ყველა ჭეშმარიტმა ქომაგმა გუშინ დილმის საჭიდაო დარბაზში მოიყარა თავი. თითქმის ყველა საუკეთესო ფალავანმა იასპარეზა, გულშემატკივრებმაც ლამაზი ორთაბრძოლებით ისიამოვნეს, მაგრამ თქვენ ხალიჩის მილმა უნდა გენახათ. სანახავად კი, იცოცხლეთ, ღირდა: ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, გურამ სალარაძე, ვახტანგ ბლაგიძე, დავით გობეჯიშვილი, თემურ ყაზარაშვილი, გურამ მოდებაძე... ტრიბუნებზე ამ სახელოვან ფალავანთა ხილვამ მეც კი ჭიდაობის იშტაზე მომიყვანა...

თავად ჩემპიონატი, შეიძლება ითქვას, უნაკლოდ ჩატარდა. მონაწილენი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონობის გარდა, არანაირ ტიტულს არ მოისაკლისებდნენ, გამოცდილ ფალავნებს ღირსეულად აუბეს მხარი ახალბედა მოჭიდავეებმა და, რომ იტყვიან, ლაზათიანი ჭიდაობაც გაჩაღდა. იყო ლამაზი ორთაბრძოლები, ჩვეულებრივი და არცთუ საყოველთაოდ სახილველი ილეთები, მაგრამ, რაც მთავარია, ჩემპიონატი ისე ჩამთავრდა, როგორც მრავალჭირნახულ ქართულ ჭიდაობას შეეფერება.

იხილეთ მე-11 გვერდი

## პოლონეთი - საქართველო

## კშიშტოფ პავლაკი:

გამორიცხული არ არის, ქართველებთან მატჩი ჩემთვის, როგორც ნაკრების თავკაცისთვის, ერთადერთი გამოდგეს.

იხილეთ მე-2 გვერდი

## დავით ყიფიანი:

მძიმე მატჩი გველის — ახალი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები ნებისმიერ ღონეს იხმარენ ნაკრებში დასამკვიდრებლად.

იხილეთ მე-3 გვერდი

## სავარაუდო შემადგენლობები „სარბიელის" ვერსია

შამოტულსკი
კუკიელკა
სკჟიპეკი, კალუჟნი
მიხალსკი
ლედვონი, ბუკალსკი, ჯ. ნოვაკი, სოკოლოვსკი
დემბინსკი, ტჟეჩაკი

შ. არველაძე
ქინქლაძე
ქეცბაია
ნემსაძე
კობიაშვილი, კიკნაძე
კალაძე, ცხადაძე, ჩიხრაძე
ლობჟანიძე
ზოიძე

## წუხელ

უნგრეთში, კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრებში გერმანელ..ებმა 74:57 მოუგეს რუსებს, ლიტველებმა დაამარცხეს მოლდოველები — 68:53, უნგრელებმა — ესპანელები 84:70, სლოვაკებმა — იუგოსლავიელები 66:57.

დღეს ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: გერმანია — ლიტვა, უნგრეთი — სლოვაკეთი.

ფინალი 15 ივნისს გაიმართება.

# კშიშტოფ პავლაკი: ქართული გვარების დამახსოვრება მიჭირს

**— როგორ შეხვდით პოლონეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობიდან ანტონი პეჰნიჩეკის გადადგომას?**

— მისი ეს ნაბიჯი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. წინა სამშაბათს ვარშავაში შევხვდით ერთმანეთს და გადადგომაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი. პარასკევს ფედერაციიდან დამირეკეს და კატოვიცეში, ფედერაციის რეგიონულ ბიუროში დამიბარეს. პეხნიჩეკიც იქ იყო. მისი განზრახვის ამბავი პირველად სწორედ მაშინ შევიტყე. იქვე იყო ფედერაციის პრეზიდენტი ჯუროვიჩი, რომელმაც ნაკრების დროებით გაძღოლა შემომთავაზა.

**— თქვენ პეხნიჩეკის ასისტენტი იყავით და მასთან ერთად მონაწილეობდით იმ გუნდის ჩამოყალიბებაში, რომელმაც არაერთი კრიტიკული შეფასება დაიმსახურა. აპირებთ თუ არა ნაკრების გადახალისებას — როგორც შემადგენლობის თვალსაზრისით, ისე ტაქტიკის მხრივ?**

— ანტონი პეხნიჩეკის თანაშემწედ ერთ წელიწადს ვიმუშავე. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაც იყო და უზარმაზარი სკოლაც. რა თანამდებობაზეც უნდა მუშაობდეს, პოლონეთის ფეხბურთში პეხნიჩეკი მუდამ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი ფიგურა იქნება. რაც შეეხება ნაკრებს, მასში რაიმე რევოლუციური ცვლილებების შეტანას არ ვაპირებ. გზა, რომელიც თავის დროზე ანტონი პეხნიჩეკმა ჩვენთან — თავის უშუალო თანაშემწეებთან ერთად აირჩია, სწორად მიმაჩნია და მასზე უარის თქმა სულაც არ მსურს. ცხადია, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას, ყოველ ცალკეულ ადამიანს საკუთარი შეხედულებები აქვს. მეც შეძლებისდაგვარად შევეცდები, ხელი შევუწყო იმ მიზნების განხორციელებას, ჩვენი ნაკრების წინაშე რომ დგას.

**— უახლოესი მიზნის განხორციელების იმედი პოლონეთის ნაკრებმა უკვე დაკარგა. ვგულისხმობთ საფრანგეთის საგზურის მოპოვებას. რა მნიშვნელობა ენიჭება თქვენი გუნდისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ შესარჩევ მატჩებს და, კერძოდ, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრას?**

— გამორიცხული არ არის, ქართველებთან მატჩი ჩემთვის, როგორც ნაკრების ხელმძღვანელისთვის, ერთადერთი გამოდგეს. თავის დროზე, როცა პეხნიჩეკის ასისტენტობა შემომთავაზეს, საჯაროდ განვაცხადე: თუ პეხნიჩეკი გუნდს დატოვებს, მეც ასევე მოვიქცევი-მეთქი. მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელებმა და, რაც მთავარია, თავად პეხნიჩეკმა, ძალიან მთხოვეს, თუნდაც დროებით გავძღოლოდი გუნდს. მათ დამარწმუნეს, რომ შექმნილ ვითარებაში ეს ყველაზე სწორი გამოსავალი იქნებოდა. რაც შეეხება უფრო შორეულ მომავალს, კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ. ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის არც რაიმე პირობები წამიყენებია და, მართალი გითხრათ, არც დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ნაკრების მწვრთნელობას მომანდობენ. რეალისტი ვარ და ვიცი, რომ ჩემი შანსი მეტად მცირეა.

**— იტალიისა და ინგლისის ეროვნულ გუნდებთან მარცხის შემდეგ თქვენს ნაკრებს კრიტიკის ქარტეხილი დაატყდა თავს. რამდენად დაძაბულია ვითარება ახლა, საქართველოსთან მატჩის წინ?**

— კრიტიკა მართლაც საკმარისზე მეტი იყო, როგორც მწვრთნელების, ისე ფეხბურთელების მისამართით. ვფიქრობ, დადგა დრო, თავს მოვერიოთ და ყველას დავუმტკიცოთ, რომ პოლონური ფეხბურთი დღესაც ანგარიშგასაწევი ძალაა. შესაძლოა, მაყურებელს ლამაზი, მაღალხარისხოვანი თამაში ვერ ვუჩვენოთ, მაგრამ ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ მინდორზე გავიდეთ და მეტოქეს ვაჟკაცური ბრძოლა გავუმართოთ. ჩემს უმთავრეს ამოცანად სწორედ იმას მივიჩნევ, რომ ბიჭები საბრძოლველად განვაწყო.

**— როგორ აფასებთ საქართველოს ნაკრების ძალას?**

— ფეხბურთის თამაში რომ იციან, ქართველებმა „უემბლიზე" დაამტკიცეს. წაგების მიუხედავად, მათ ტოლი არ დაუდეს ინგლისელებს და საგოლე მომენტები უკეთ რომ გამოეყენებინათ, მატჩი სხვა შედეგით დამთავრდებოდა. ამ შეხვედრის ანალიზმა მეც და ჩვენი ნაკრების მოთამაშეებიც დაგვარწმუნა, რომ შაბათს მძიმე ამოცანა გველის. მით უმეტეს, რომ პოლონეთის ნაკრები საუკეთესო შემადგენლობით ვერ ითამაშებს.

**— რომელ ქართველ ფეხბურთელებს მიაქცევთ საგანგებო ყურადღებას?**

— საქართველოს ნაკრებში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს. მათგან ზოგიერთი უცხოეთის სხვადასხვა კლუბის წევრია. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული გვარების დამახსოვრება მიჭირს და ჯერჯერობით მხოლოდ ნომრებით ვკმაყოფილდები.

**— მიმდინარე შესარჩევი ტურნირი თქვენმა გუნდმა წარმატებით დაიწყო. „უემბლიზე" მინიმალური სხვაობით დამარცხების მიუხედავად, პოლონეთის ნაკრების თამაშით თვით ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტებიც კმაყოფილი იყვნენ. მერე მოლდოვასაც საკმაოდ იოლად აჯობეთ. მართალია, იტალიას შინ ვერ მოუგეთ, მაგრამ ურიგოდ არც იმ მატჩში გითამაშიათ. თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი თამაშის ხარისხის ესოდენ მკვეთრი გაუარესებისა? ნეაპოლში იტალიასთან და ხორჟუვში ინგლისთან თქვენი გუნდი, მეტი რომ არ ვთქვათ, სუსტად გამოიყურებოდა.**

— მიზეზი ბევრი იყო. ჩემთვის ძნელია ყოველივე ამაზე საუბარი. განსაკუთრებით ახლა. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ არ შეიძლება ყველაფრის მწვრთნელისთვის ან ფეხბურთელებისთვის გადაბრალება. ნებისმიერი წარუმატებლობის გასაანალიზებლად დრო არის საჭირო და საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ეს მშვიდად და აუღელვებლად, ზედმეტი ემოციების გარეშე უნდა გაკეთდეს. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შესარჩევ ტურნირში მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან მოგვიწია შეხვედრამ. ვინც საფრანგეთში გამართულ ოთხთა ტურნირს ადევნებდა თვალს, ამაში უთუოდ დამეთანხმება. შესარჩევი შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში ჩვენ სხვა ძლიერ მეტოქეებსაც შევხვდით. ვეთამაშეთ ბრაზილიელებს, გერმანელებს, ჩეხებს და, ვფიქრობ, თავი არ შეგვირცხვენია. სამწუხაროდ, ვერც ერთ ამ მატჩში წარმატება ვერ მოვიპოვეთ, რაც ფეხბურთელებისთვის უაღრესად მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად იქცა. ბევრ მათგანს ერთგვარი უუნარობის კომპლექსი განუვითარდა. ბევრმა ისიც კი ირწმუნა, რომ მოგება საერთოდ აღარ ძალუძს. ნაკრების ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ამოცანა ამ ფეხბურთელების გადარწმუნებაც გახლავთ.

**— რა შემადგენლობით და როგორი ტაქტიკით აპირებთ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშს?**

— შემადგენლობაში ცვლილებების შეტანას, სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები გვაიძულებს. დაშავდა ჩვენი ლიბერო იაცეკ ზელინსკი, რომელიც შეკრებაზე კი გამოცხადდა, მაგრამ ექიმებმა ისევ ვარშავაში გაისტუმრეს. ვერ ითამაშებს სლავომირ მაიაკიც, რომელმაც ბოლო მატჩებში კვლავ დაიბრუნა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. უცხოეთში მოთამაშეთაგან, მინდორზე, როგორც ჩანს, მხოლოდ კშიშტოფ ბუკალსკი გამოვა. ასე რომ, ქართველებთან ძირფესვიანად გადახალისებული შემადგენლობით მოგვიწევს თამაში. ერთი მხრივ, ეს, რა თქმა უნდა, დიდ სირთულეებს შეგვიქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, შაბათის მატჩი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის თავის გამოჩენის საუკეთესო შესაძლებლობად უნდა იქცეს. რაც შეეხება ტაქტიკას, იგი მეტწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ მოთამაშეებს გავიყვან მინდორზე, ეს კი ჯერ არ გადამიწყვეტია.

**დავით ძაძაბაძე**
**ტომაშ ძუმა**
**პრაღიდან**



## კშიშტოფ პავლაკი

დაიბადა 1958 წლის 12 თებერვალს. თამაშობდა კალიშის „კალისიაში", პოზნანის „ვარტასა" და „ლეხში", ბელგიის „ლოკერენსა" და შვედეთის „ტრელებორგში". პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 31 შეხვედრა. მონაწილეობდა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში.

სამწვრთნელო კარიერა: „მილიარდერი" (პნევი), „ვარტა" (პოზნანი), გკს (დოლ ხატოვი). 1996 წლის 1 ივლისიდან პოლონეთის ნაკრების მეორე მწვრთნელია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



..potem GRUZINI (Chorzów - 14 czerwca 1997)

Sprzątanie po Cziwadzem

ბოლო დღეების პოლონური პრესა ქართველებზე ბევრს წერს

## პოლონეთის ნაკრების ყველა მატჩი 1996-97 წლებში

| |
|---|
| 19.01.1996 ჰონკონგი |
| **იაპონია — პოლონეთი 5:0 (ა)** |
| 28.02.1996 რიეკა |
| **ხორვატია — პოლონეთი 2:1 (ა)** |
| ბალუშინსკი |
| 27.03.1996 ლოძი |
| **პოლონეთი — სლოვენია 0:0 (ა)** |
| 1.05.1996 მელეცი |
| **პოლონეთი — ბელარუსი 1:1 (ა)** |
| კოვალჩიკი |
| 2.06.1996 მოსკოვი |
| **რუსეთი — პოლონეთი 2:0 (ა)** |
| 27.08.1996 ბელხატოვი |
| **პოლონეთი — კვიპროსი 2:2 (ა)** |
| ვარჟიხა, მეცელი |
| 4.09.1996 ზაბჟე |
| **პოლონეთი — გერმანია 0:2 (ა)** |
| 9.10.1996 ლონდონი |
| **ინგლისი — პოლონეთი 2:1 (მ.შ)** |
| ციტკო |
| 10.11.1996 კატოვიცე |
| **პოლონეთი — მოლდოვა 2:1 (მ.შ)** |
| ბალუშინსკი, ვარჟიხა |
| 14.02.1997 ანაბა |
| **პოლონეთი — ლიტვა 0:0 (ა)** |
| 15.02.1997 ანაბა |
| **პოლონეთი — კვიპროსი 3:2 (ა)** |
| კუხარსკი, სოკოლოვსკი, კალუჟნი |
| 17.02.1997 ლერინია |
| **პოლონეთი — ლატვია 3:2 (ა)** |
| კალუჟნი, იეგორი, კრიგერი |
| 26.02.1997 გოიანია |
| **ბრაზილია — პოლონეთი 4:2 (ა)** |
| კუხარსკი, ციტკო |
| 12.03.1997 ოსტრავა |
| **ჩეხეთი — პოლონეთი 2:1 (ა)** |
| ბელინსკი |
| 22.05.1997 სტოკჰოლმი |
| **შვედეთი — პოლონეთი 2:2 (ა)** |
| ბუკალსკი, კალუჟნი |
| 2.04.1997 ხორჟუვი |
| **პოლონეთი — იტალია 0:0 (მ.შ)** |
| 30.04.1997 ნეაპოლი |
| **იტალია — პოლონეთი 3:0 (მ.შ)** |
| 31.05.1997 ხორჟუვი |
| **პოლონეთი — ინგლისი 0:2 (მ.შ)** |




# ლაპარაკობს და უჩვენებს კატოვიცე

## დღეს თორმეტის ნახევარზე

...მოკლედ, ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ყველაფერი გვიკვირს. არადა, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სტუმრად მოთამაშე ეროვნული ნაკრების მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა ამ ბოლო დროს ჩვენებმაც მოინდომეს და „რუსთავი-2"-მა „უემბლიდან" ინგლისი — საქართველოს მატჩის ტრანსლაციაც კი მოაწყო. ახლა კი, როცა გავიგეთ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი პოლონეთ — საქართველოს მატჩის პირდაპირ რეპორტაჟსაც გეგმავსო, გახარებულები ტელევიზიისკენ გავეშურეთ და საერთაშორისო ურთიერთობათა დირექციის დირექტორს, ბატონ გურამ კუციავას მივაკითხეთ, რომელმაც გვითხრა, პოლონეთიდან მართლაც ვაპირებთ მატჩის გადმოცემასო. საქმე ასე ყოფილა: საქართველოს ტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელობას თხოვნით მიუმართავს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის, ეცნობებინა იმ ორგანიზაციის კოორდინატები, რომელიც ამ მატჩის პირდაპირი ჩვენების ლიცენზიას მიჰყიდიდა ქართულ მხარეს. ჩვენებიც სასწრაფოდ დაკავშირებიან იტალიურ ფირმა „ბიანჩი ენდ გრუპს" და ხელშეკრულების საფუძველზე დღევანდელი მატჩის ჩვენების უფლება შეუსყიდიათ. რაც შეეხება იმას, თუ რა დაჯდა ტრანსლაციის უფლება, ამაზე გურამ კუციავამ გვითხრა: „იტალიურ ფირმასთან მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ არც ერთი მხარე არ დაასახელებდა ჩვენს მიერ გადახდილ თანხას. ისე, მგონი, ჩვენი მაყურებლებისთვისაც სულ ერთი უნდა იყოს, რამდენი გადავიხადეთ. მთავარია, რომ ფეხბურთს უყურებენ. თურმე, ამჯერად, ჩვენი ტელევიზია არც იტალიური და პოლონური რეკლამების ეთერში გაშვებას აპირებს, რადგან ასეთი მოლაპარაკება „ბიანჩი ენდ გრუპთან" საერთოდ არ ჰქონია. უბრალოდ, ფული გადაურიცხავს და ჩვეულებრივ უყიდია ამ მატჩის ტრანსლაციის ლიცენზია. არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოსვლია რაიმე უთანხმოება, პირიქით, მისგან ხელშეწყობის მეტი არაფერი უგრძვნია და მომავალშიც მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს.

გამოსახულების სიწმინდის გარანტია კი გურამ კუციავამ ვერ მოგვცა: „ტექნიკა ტექნიკაა და რომელი აპარატურა როდის გვიმტყუნებს, ვერ გეტყვით. ისე კი, „ბიანჩი ენდ გრუპთან" მოლაპარაკებულნი ვართ — გამოსახულება და ხმა იდეალური უნდა იყოს. სამწუხაროდ, არ მაქვს იმის თქმის საშუალება, რა მოხდება მატჩის ტრანსლაციის დროს. თუმცა ყოველმხრივ ვეცდებით, ტექნიკური ხარვეზები ნაკლებად გვქონდეს."

მოკლედ, დღეს, 23.30 საათზე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე კოტე მახარაძე კატოვიცედან პოლონეთ — საქართველოს მატჩის პირდაპირ ტელერადიოტრანსლაციას გაუძღვება, ტექნიკურ სიგნალს კი ტელევიზია ევროვიზიისგან მიიღებს.

**ძოგა ინასარიძე**


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

☎ 39-47-83

# დილმის ბაზა. 9⁴⁵...

გუშინწინ დილას ნაკრები პოლონეთს გაემგზავრა. ჩვენები 11 საათზე გაფრინდნენ ჩარტერული რეისით. დილას ბაზაზე ბიჭები მხნედ გამოიყურებოდნენ, თუმცა ლაპარაკშიც და გამოხედვაშიც ეტყობოდათ, რომ ფიქრებით უკვე პოლონეთში იყვნენ. ამ ჯერზე ერთობ დადინჯებულნი მეჩვენნენ. რაც ნაკრები მახსოვს, ასეთი სერიოზულნი არ ყოფილან.



წასვლამდე 20 წუთია: შოთა, ქეცბაია, ცხადაძე და ჩიხრაძე

ყიფიანი, როგორც ყოველთვის, ჩაფიქრებული იყო: „ერთი მხრივ, ვითომ კარგია, მთავარი მწვრთნელი რომ გადადგა, თამაშის წინ ასეთ ამბავს, წესით, გუნდში დეზორგანიზაცია შეაქვს, თანაც, ჩემი მონაცემებით, ექვს ფეხბურთელს ნაკრებში თამაშზე უარი განუცხადებია. ციტკო და ნოვაკიც დაშავებულნი ჰყავთ — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ აქ მეორე მომენტიც არის: ახალი მწვრთნელი, თუ ნაკრებიდან განდევნილნი არ დაბრუნდნენ, ახალ ფეხბურთელებს დაუძახებს, იმათ თავის გამოჩენის შანსს მისცემს და ისინიც თავს არ დაზოგავენ. პოლონეთი ისედაც ხისტად მოთამაშე გუნდია და თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, თამაში მეტად მძიმე უნდა გამოდგეს. ახალი მწვრთნელიც და ახალი ფეხბურთელებიც ყველაფერს გააკეთებენ ნაკრებში დასამკვიდრებლად, ნებისმიერ ღონეს იხმარენ...



დემეტრაძე საბოლოოდ გუცაევს ერგო

არის კიდევ ერთი მომენტი — თუკი ახლებს დაიმატებენ, ძირითადად „ლეგიიდან“ და „ვიძევიდან“. ეს ორი გუნდი, მთელი სეზონია, ჩემპიონობისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის და ჩვენი თამაშის მერე, სამ დღეში გადამწყვეტი მატჩი აქვთ — ეს ფაქტორიც საყურადღებოა.

გუშინ რუსეთის თასის ფინალს ვუყურე, თუმცა თამაშის მერე ზაზა ჯანაშიას ვერაფრით შევეხმიანე. მოლაპარაკებულნი კი ისე ვიყავით, რომ ზაზა დღეს უნდა გაფრინდეს მოსკოვიდან ვარშავაში. ცუდად არ გამოიყურება და მაინტერესებს, თავიდანვე რატომ არ ათამაშებს სიომინი?

დემეტრაძე ახალგაზრდულში იქნება, თუმცა, თუ საჭიროებამ მოიტანა, მასაც ვუხმობთ.

კალაძეს დისკვალიფიკაციის ვადა კი ამოეწურა და ეს კარგი ამბავიც არის, მაგრამ ნაკრებისგან იძულებითმა მოწყვეტამ მაინც დაასვა დაღი მის თამაშს...

მოკლედ, ძალზე მძიმე თამაში მოგველის, ამდენი წარუმატებლობის მერე პოლონელები ძალზე მონდომებულნი იქნებიან...

პოლონეთში ეროვნული გუნდის 18 ფეხბურთელი მიგვყავს. დემეტრაძეზე და ჯანაშიაზე გითხარით. თითქმის იგივე შემადგენლობაა, რაც მოლდოვასთან გვყავდა, კალაძის შემომატებას თუ არ ჩავთვლით“...

...კიკნაძე გაზეთის კითხვით მოდიოდა, მალე ყველა ახალი გაზეთებით დაინტერესდა. „ლიუბეკმა“ მართლა წააგო? — უკვირდა იაშკას — ნახე, „კაიზერსლაუტერნს“ რა უქნია!“

ამ საუბარ-საუბარში სპორტული პრესით დახუნძლული ბიჭები ავტობუსში ადიოდნენ. ზუსტად 9 საათსა და 45 წუთზე დილმის ბაზიდან ორი ავტობუსი თბილისის აეროპორტისკენ გაეშურა...

**მამუკა ძგარაცხელია**
**გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)**

**ეროვნული გუნდი:**

| | |
|---|---|
| ირაკლი | ზოიძე |
| ნიკა | ტოგონიძე |
| ნუგზარ | ლობჟანიძე |
| კახი | ცხადაძე |
| ლევან | კობიაშვილი |
| კარლო | კალაძე |
| გიორგი | ჩიხრაძე |
| გელა | შეყილაძე |
| კახი | გოგიჩაიშვილი |
| გიორგი | ნემსაძე |
| გოჩა | ჯამარაული |
| გიორგი | ქინქლაძე |
| თემურ | ქეცბაია |
| გიორგი | კიკნაძე |
| გიორგი | ანჩაბაძე |
| შოთა | არველაძე |
| არჩილ | არველაძე |
| მიხეილ | ყაველაშვილი |
| ზაზა | ჯანაშია |





ძოძუაშვილი გზაშიც საქმეშია, გუცაევი კი იმედიანად გამოიყურება

დღეს პოლონეთში ბევრი რამ შეიძლება გადაწყდეს. ცხადია, ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობას არ ვგულისხმობ — დღევანდელი მეტოქეები ამაზე უკვე აღარ ფიქრობენ. ერთი იმედიღა გვრჩება — იქნებ დარჩენილ შეხვედრებში ნაკრების წევრებმა თავი გამოიჩინონ და უკეთეს გუნდებში გადავიდნენ. ძლიერ ევროპულ ლიგებში მოთამაშეთ ხომ თავდაჯერებაც შეემატებათ, ნიადაგ მაღალ დონეზე თამაშსაც შეეჩვევიან და ჩვენც მათი მეტი იმედი გვექნება.

ჩვენი ნაკრების რამდენიმე წევრი, სავსებით შესაძლოა, დღეის შემდეგ რომელიმე ძლიერ კლუბში აღმოჩნდეს. ერთ-ერთი მათგანი გია ნემსაძეა. ჩვენი საუბარიც მის მომავალსა და ნაკრების თამაშებს შეეხო.

# ნემსაძე «არსენალის» სამიზნეზე




გიორგი ნემსაძე
პოლონეთში გამგზავრების წინ

**— როგორც იქნა, ნავსი გატყდა და მოლდოვასთან მოვიგეთ. შენი აზრით, ასეთი თამაშით პოლონეთთანაც შეიძლება წარმატების მიღწევა?**

— რა თქმა უნდა, არა, თუმცა, ყველა მეტოქესთან ერთნაირი განწყობით ვერ ვითამაშებთ. მოლდოვასთან იმდენი ენერგია დავხარჯეთ, რამდენიც საკმარისი იყო გამარჯვებისთვის. თანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სეზონი დამთავრდა, ყველანი გადაღლილები ვართ. ამას ბათუმში დახუთული ჰაერიც დაემატა და, ეტყობა, ჩვენი მოგებაც მთლად შთამბეჭდავი ამიტომ არ იყო. მაგრამ, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ და არა რობოტები.

**— ალბათ, ბურთის დანახვაც აღარ გინდა...**

— ამას ვერ ვიტყვი, ბურთის დანახვა და ფეხბურთის თამაში არასდროს მომბეზრებია. მაგრამ სეზონის მანძილზე დაგროვებულმა სტრესებმა, მთელი სეზონის სიმძიმემ და კიდევ ბევრმა რამ ერთბაშად იჩინა თავი. რაც უნდა ძლიერი გუნდი, ნაკრები, ანდაც მოთამაშე იყოს, დაღლით ყველა იღლება და არც ჩვენ ვართ გამონაკლისები. ყველაფერთან ერთად ბათუმში მოთამაშეთ წინ პოლონელებთან შეხვედრა გველოდა და უაზრობაც კი იქნებოდა, მოგებულ თამაშში საჭიროზე მეტი ენერგია დაგვეხარჯა. ის ძალ-ღონე კატოვიცეში უნდა გამოგვადგეს. პოლონეთში ჩვენთან შედარებით უფრო გრილი ჰავაა და ესეც ხელს შეგვიწყობს. ერთი მატჩისთვის მობილიზაცია კი ყველას შეუძლია. იმედია, იქ ყველა ბოლომდე იბრძოლებს წარმატების მისაღწევად.

**— პოლონელთა მწვრთნელი გადადგა, ნაკრები ულეგიონეროდ ეყოლებათ...**

— ეს კი კარგია, მაგრამ წინასწარ ძნელია იმის თქმა, რომ უპირატესობა, ყოველ მიზეზ გარეშე, ჩვენი იქნება. პოლონელ ლეგიონერთა შემცვლელებმა ნაკრებში დასამკვიდრებლად თავი რომ აიწყვიტონ? ეს სავსებით შესაძლებელია.

**— როგორც ვიცი, მოლდოვასთან თამაშის მერე „მეტეხში“ შეხვდი „არსენალის“ მთავარ სელექციონერს სტივ როულის, რომელიც ბათუმში საგანგებოდ შენი და ჯამარაულის სანახავად იყო ჩამოსული. თუ საიდუმლო არ არის, კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

— ამ შეხვედრამ ძალიან გამახარა. „არსენალის“ სელექციონერმა თქვა, რომ ჩემი და ჯამარაულის თამაში მოეწონა და ჩვენთან კონტრაქტის გაფორმება სურს. მაგრამ ისიც გვითხრა, ჩვენი შეხვედრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საქმის საბოლოო მოგვარებას, ყველაფერს პოლონეთთან შეხვედრა გაარკვევსო.

**— კონტრაქტის გაფორმებამდე თქვენი ჯანმრთელობის გამოკვლევასაც მოითხოვდნენ.**

— როულიმ ესაც გვითხრა, ლონდონში უნდა ჩავიდეთ, რათა ექიმებს გავსინჯოთო. ბევრ სხვაზეც ვილაპარაკეთ. მკითხეს, ინგლისური თუ იციო. არამეთქი, რომ ვუთხარი, მასწავლებელს გიქირავებთ და სწრაფად შეგასწავლითო. კანჩელსკისის მაგალითი გამახსენა — ოთხი წელი ინგლისში თამაშობდა და ენა მაინც ვერ ისწავლა, ეს კი მოთამაშეს ნაკლად ეთვლებაო.

**— გერმანიაში და თურქეთში თამაშისას ენები თუ შეისწავლე?**

— ორივე ენაზე ადამიანს სათქმელს გავაგებინებ და ეს სავსებით კმაროდა. ისე, ენების ასე უცებ ათვისებისას უკვე სიტყვები ერთმანეთში მერევა.

**— გავიგე, თბილისში ავსტრიის ჩემპიონ „ზალცბურგის“ წარმომადგენელიც ყოფილა და მასაც შენი წაყვანა სდომებია...**

— ის ავსტრიელი მეც ვნახე, მაგრამ ჩემთან არ უსაუბრია. ასეა თუ ისე, „ტრაბზონში“ დარჩენა ნაღდად აღარ მსურს. უკეთესი ვარიანტები გამოჩნდა და თურქეთში დარჩენა სისულელე იქნება. ჩემი მენეჯერი მამშვიდებს — არხეინად იყავი, შენით კარგი კლუბები არიან დაინტერესებული, მათგან უკეთესი „არსენალია“ და მსურს ამ გუნდთან გაგიჩარხო საქმეო. თუ არადა, სხვა, საკმაოდ ძლიერი გუნდებიდან რომელიმეს არჩევა მოგიწევსო. როგორც მეუბნება, სურვილის შემთხვევაში იმ დანარჩენებთან დღესვე შემიძლია კონტრაქტის გაფორმება. მაგრამ, ვიმეორებ, „არსენალში“ გადასვლა მეც და ჩემს მენეჯერსაც ყველაზე მეტად გვსურს.

**— მართალია, თითქოს თურქები ბოლოს ხელფასს აღარ გიხდიდნენ?**

— მართალია. არც მე და არც დანარჩენ ქართველებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს აღარ გვისრულებდნენ.

**— მიზეზი რა იყო?**

— გვითხრეს, ამას შეგნებულად ვაკეთებთო, მაგრამ რა იყო ამის ან მიზეზი ან მიზანი, ვერ გავიგე. გამორიცხულია, „ტრაბზონს“ ფინანსურად უჭირდეს, პრეზიდენტი მილიარდერია, მაგრამ ის თანხა მაინც არ დაიკარგება — ჩვენს სატრანსფერო თანხას გადაუხდელი ხელფასების ოდენობა დააკლდება.

**— შენი აზრით, „ტრაბზონში“ ისე მოუმატე, როგორც გსურდა?**

— რეგიონალლიგის შემდეგ თურქეთის ჩემპიონატში თამაში ბევრს ნიშნავს. მართალია, თურქეთი იტალია არ არის, მაგრამ აქ ჰაჯი, ოკოჩა, უჩე, კოსტადინოვი და სხვებიც თამაშობენ. ეს ცოტას არ ნიშნავს. ბოლო დროს თურქული ფეხბურთი აშკარად მოძლიერდა და, ბუნებრივია, ასეთი ქვეყნის ჩემპიონატში თამაშით რაღაცას აუცილებლად შევიძენდი.

**— როგორც კი გამოჩნდა ცნობა „არსენალში“ შენი შესაძლო გადასვლის შესახებ, რამდენიმე სპეციალისტისგან მოვისმინე — პრემიერლიგაში თამაში ნემსაძეს არ უნდა გაუჭირდესო. შენც ასე თვლი?**

— სანამ არ ჩავალ და არ ვითამაშებ, მაგაზე ვერაფერს ვიტყვი.

**— ინგლისური ფეხბურთი თუ მოგწონს?**

— მე უფრო იტალიურსა და ბრაზილიურს ვამჯობინებ, მაგრამ რაზეა ლაპარაკი — ინგლისში მაღალი დონის ჩემპიონატია და იქ თამაში დღეს პრესტიჟულიც გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქალებიც აბურთავდნენ

11 ივნისს დაიწყო და მთელი თვე გაგრძელდება ფეხბურთელ ქალთა მესამე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობს: თბილისის ორი, გორის, ჭიათურის და ბათუმის „სუპერქალები" ჩემპიონობისთვის ორ წრედ იასპარეზებენ. ახლა არავის ახსოვს, როდის გაიმართა ქალთა პირველი ეროვნული და ვინ გახდა მაშინ ჩემპიონი, ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე ვერავინ ვერაფერი მოგვახსენა. მეორე ჩემპიონატი ხუთიოდ წლის წინ კი დაიწყო, მაგრამ ჩამთავრება არ ღირსებია. ახლა ქალთა ფეხბურთს ახალი ხელმძღვანელობა მოევლინა, საქმესაც კარგი პირი უჩანს და იმედია, მესამე ეროვნული საკადრისად ჩატარდება.

ჩემპიონატის პირველ ტურს ორმა ქალაქმა — თბილისმა და გორმა უმასპინძლა. თბილისურ დერბიში ავაზელმა ქალებმა ივერიელები გაანადგურეს, გორელებმა კი ჭიათურელებს წაუხდინეს ხალისი.

ქვემოთ გთავაზობთ ქალთა მესამე ეროვნული ჩემპიონატის პირველი და მეორე წრის კალენდარს:

I წრე

I ტური. 11 ივნისი

ორბი (გორი) 2:1 ჭიათურა

ივერია (თბილისი) — ავაზა (თბილისი) 2:13

II ტური. 14 ივნისი

ბათუმი — ორბი

ჭიათურა — ივერია

III ტური. 18 ივნისი

ორბი — ივერია

ავაზა — ბათუმი

IV ტური. 21 ივნისი

ავაზა — ჭიათურა

ივერია — ბათუმი

V ტური. 25 ივნისი

ავაზა — ორბი

ჭიათურა — ბათუმი

II წრე

VI ტური. 28 ივნისი

ჭიათურა — ორბი

ავაზა — ივერია

VII ტური. 2 ივლისი

ორბი — ბათუმი

ივერია — ჭიათურა

VIII ტური. 5 ივლისი

ივერია — ორბი

ბათუმი — ავაზა

IX ტური. 9 ივლისი

ჭიათურა — ავაზა

ბათუმი — ივერია

X ტური. 12 ივლისი

ორბი — ავაზა

ბათუმი — ჭიათურა



ოთარ გაბელია — თსუ-ს ახალი მწვრთნელი

## თსუს გაბელია გაწვრთნის, პრეზიდენტის საკითხი კი მოგვიანებით გაირკვევა

მერვე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა დებიუტანტმა, თბილისურმა თსუ-მ გათამაშება იმედიანად დაიწყო, სეზონის ბოლოს კი სხვა გამოვიდა: თბილისელებმა ბოლო ტურის სამტრედიაში ნათამაშევი მატჩის 2:2 დასრულებით მოიპოვეს უძლიერესთა შორის დარჩენის უფლება. შედეგი, ცხადია, ვერ იყო სახეირო, ამას, ბუნებრივია, „რაღაც" მოჰყვებოდა და აკი ასეც მოხდა.

კულუარებში რა ხანია, ბჭობენ, შედეგით უკმაყოფილო თსუ-ს ხელმძღვანელობა უეჭველად მიმართავს საფუძვლიან ცვლილებებსო. ხმები ხმებად და, სიმართლის დასადგენად თსუ-ს პრესატაშეს იმედა დვალიძეს მივმართეთ.

— გუნდში აუცილებლად იქნება ცვლილებები, საბოლოოდ ყველაფერი 16 ივნისს, საერთო კრებაზე გადაწყდება. წასვლით გუნდიდან არავინ წასულა, ოდენ ფუნქციები გადანაწილდა. ახალი სეზონიდან თსუ-ს ახალი მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია უხელმძღვანელებს, ხოლო ხუციშვილი და ნებიერიძე მას მიეხმარებიან.

**— ამბობენ, თსუ-ს პრეზიდენტი ზაალ ცხვარაძეც უნდა გადადგესო?**

— მაგაზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, უმჯობესია, 16 ივნისამდე მოვიცადოთ.

მოკლედ, ფაქტი ერთია: თსუ-ს ხელმძღვანელებს გუნდის მაჩანჩალობა მობეზრებიათ — რადგან ფული იხარჯება, ბარემ ნორმალური კლუბი ვიყოლიოთო და გაძლიერება განუზრახავთ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. კიდევ ერთი ძლიერი გუნდი ეროვნულ ჩემპიონატს, იცოცხლეთ, ძალიანაც წაადგება.

**მამუკა ძმანტალიანი**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ივნისი | | | |
| პარაგვაი — ეკვადორი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ჩილე — არგენტინა | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| 1:0 | 3,0 | 3,2 | 1,6 |
| 15 ივნისი | | | |
| ბოლივია — პერუ | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ურუგვაი — ვენესუელა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| 16 ივნისი | | | |
| კოლუმბია — კოსტა რიკა | 1,1 | 4,0 | 8,0 |
| ბრაზილია — მექსიკა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:2 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე


**გერმანიის** ბუნდესლიგაში გაისად პირველად ითამაშებს „ვოლფსბურგი". მეორე ბუნდესლიგის გუნდმა პირველში გადასასვლელად 5:4 მოუგო „მაინცს" და მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „კაიზერსლაუტერნს" და ბერლინის „ჰერტას" შეუერთდება. ბუნდესლიგის ისტორიაში „ვოლფსბურგი" 45-ე გუნდია, რომელსაც ერთხელ მაინც უთამაშია გერმანული ფეხბურთის ელიტაში.

**უნგრეთის თასის მოგება ოფიციალურად გაიფორმა ბუდაპეშტის მტკ-მ, რომელმაც განმეორებით ფინალურ მატჩში 2:0 სძლია BVSC-ს. ორი მატჩის ჯამში კი 8:0 იმარჯვა. ბუდაპეშტელებმა პირველ შეხვედრაში მეტოქე 6:0 გაანადგურეს.**

**იტალიის** სერია B-ს გუნდის „კოზენცას" სამ მოთამაშეს ადრიანო ბონაუტის, მარკო მაცოლის და ანჯელო ალეზიოს თავს დაესხნენ გულშემატკივრები და კარგად მიბეგვეს. ტიფოზების რისხვა საკუთარ თავზე გამოსცადა ადგილობრივი ტელევიზიის ერთ-ერთმა ჟურნალისტმაც, რომელსაც სამ დღეს მოუწევს საავადმყოფოში წოლა. ფანები საყვარელი კლუბის კიდევ ერთი ლიგით დაქვეითებამ გაამწარა.

**ყაზახეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის აზიის ზონის მე-9 ჯგუფში გამართულ შეხვედრაში 7:0 მოუგო პაკისტანს და სამგუნდიან ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდა.**

**სლოვენიის** თასის ფინალში იმარჯვა მარიბორის „ბრანიკმა", რომელმაც ფინალის მეორე შეხვედრაში 3:0 სძლია „პრიმორიეს". მეტოქეთა პირველი შეხვედრა 0:0 დასრულდა.

**იტალიის „ინტერი" ამ დღეებში ჰონგკონგში გაემგზავრება ამხანაგურ ოთხთა ტურნირში სასპარეზოდ. ტაილანდის პრემიერის თასის გათამაშებაში იტალიელთა გარდა ტაილანდის ეროვნული ნაკრები, პორტუგალიის ჩემპიონი „პორტუ" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსიც" ითამაშებენ. „ინტერის" შემადგენლობაში სხვებთან ერთად იქნებიან ნვანკვო კანუს ძმა კრისტოფი, რომელიც ამჟამად შვეიცარიულ „ლუგანოში" თამაშობს და იური ჯორკაეფის უმცროსი ძმა, საფრანგეთის მესამე დივიზიონის კლუბ „ალესში" მოზურთალი მიშა ჯორკაეფი.**

**ესპანელი** არბიტრის მანუელ დიას ვეგას წინააღმდეგ აღძრულია საქმე, თითქოს მან 64 ათასი დოლარი ქრთამის სანაცვლოდ შეიცარია — ნორვეგიის შარშან, ნოემბერში, ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრის შედეგზე ზეგავლენა მოახდინა (ის შეხვედრა სტუმრებმა 1:0 მოიგეს), ფიფას გამოძიებით, არ დამტკიცდა. მსოფლიოს ფეხბურთის მთავარი ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაასაბუთა, რომ დიას ვეგას საქმეში მზაკვრულად ითრევდა მსაჯობიდან სამუდამოდ მოკვეთილი კურტ როტლისბერგერი. ამ უკანასკნელის ბრალდება დიას ვეგას მიმართ მტკნარი სიცრუეა.

**ინგლისის თასის მფლობელმა „ჩელსიმ" მორიგი უცხოელი, ამჯერად ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ედ დე გუი შეიძინა. ლონდონელებმა „ფეიენოორდს" მეკარეში 3 მილიონ 700 ათასი დოლარი გადაუხადეს. ინგლისში გადასვლაზე დე გუიმ თქვა, თავი სიზმარში მგონია. „მე რამდენიმე ინგლისური და ესპანური კლუბი მიწვევდა, მაგრამ გულიტის ნაცნობობის გამო „ჩელსიში" წასვლა ვამჯობინე". დე გუიმ პროფესიული კარიერა 1985-86 წლებში დაიწყო როტერდამის „სპარტაში", 1990 წლიდან კი „ფეიენოორდის" ღირსებას იცავს. ამ ხნის განმავლობაში მან 400-ზე მეტი მატჩი ითამაშა ჰოლანდიის ჩემპიონატში და 1985 წლიდან მხოლოდ რვა მატჩი გამოტოვა — ორი ტრავმის გამო, ექვსი კი — დისკვალიფიკაციისთვის.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონში მე-18 ადგილზე გასული „რედინგის" მწვრთნელი ტომი ბარნსი გუნდში თითქოს კიდევ ერთი წელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ინგლისის ვიცე-ჩემპიონ „ნიუკასლში" გადაბარგდა კენი დალგლიშის თამაშემწედ. გლაზგოს „სელტიკის" ყოფილმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ შოტლანდიაში მუშაობამ დიდი მიზნებისთვის ბრძოლას მიაჩვია და ამიტომ გადავიდა „ნიუკასლში".

### ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელი ნახევარმცველი ვალდო კანდიდო, რომელსაც ნაკრებში 59-ჯერ უთამაშია, მას შორის 1986 და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ერთი წლით იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „ნაგოია გრამპუს ეითში" გადავიდა, რომელსაც გასულ სეზონში ფრანგი ვენგერი თავკაცობდა. 33 წლის ვალდომ კარიერის უმეტესი დრო „ბენფიკაში" გაატარა. პორტუგალიურ გუნდში იგი 1988-92 და 1994-97 წლებში თამაშობდა.**

**შოტლანდიის** „გლაზგო რეინჯერსმა" უარყო ხმები, თითქოს მათ „ფიორენტინას" არგენტინელ თავდამსხმელის გაბრიელ ბატისტუტას შეძენა სურდათ. კლუბის თავმჯდომარემ დევიდ მიურეიმ განაცხადა, ბატისტუტა არა, მაგრამ „ჩელსის" ჯანლუკა ვიალი კი ნაღდად გვინდაო.

**შოტლანდიელი მეკარე ლეიტონი „ჰიბერნიანიდან" „აბერდინში" გადავიდა. 38 წლის მეკარემ კარიერა სწორედ „აბერდინში" დაიწყო, შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედშიც" თამაშობდა, მაგრამ ბედმა კვლავ მშობლიურ გუნდში დააბრუნა. ლეიტონმა ნაკრებში პირველად 1982 წელს ითამაშა. მას შემდეგ ჩატარებული 81 შეხვედრიდან 42-ში კარი მშრალად შეინახა.**

**საუდის არაბეთის** „ალ-ჰილალიმ" აზიის სუპერთასის პირველი ფინალური მატჩი სამხრეთ კორეის „ფუენგს" 1:0 აჯობა. განმეორებითი შეხვედრა 19 ივნისს ფუენგში გაიმართება.

**პორტუგალიის „ბოავიშტას" თავდამსხმელი ჯიმი მილიონ გირვანქად პრემიერლიგის „ლიდსმა" შეისყიდა. ინგლისელებმა პორტუგალიის ჩემპიონატში 27 გოლის გამტან ფორვარდს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჯიმი ახალი სეზონის წინ „ლიდსის" მეორე შენაძენია „ნოტინგემის" ყოფილი წევრის, ნორვეგიელი ალფ-ინგე ჰაალანდის შემდეგ. „ლიდსის" მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა განაცხადა, ჩვენ წელს ყველაზე ნაკლები გოლი გავიტანეთ და იმედია, ჯიმი გაისად ამ ნაკლის აღმოფხვრაში დაგვეხმარებაო.**

**საფრანგეთის** „ბორდოს" ექსპრეზიდენტ კლოდ ბეზის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად ციხეშია თაღლითობისთვის, ახალი სასამართლო პროცესი დაიწყო უკვე სხვა — ტრანსფერებიდან გარკვეული თანხის უკანონოდ მითვისების გამო. „ბორდოს" ზეობის ხანაში, 80-იან წლებში, ბეზი, „ბორდოს" წარმომადგენელი დიდიე კოკუ და კლუბის აგენტები — ლუბომირ ბარინი და ლუჩიო დონოფრიო თურმე ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვით სარგებლობდნენ და გარკვეულ თანხას ითვისებდნენ. შვიდწლიანი გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ დაჯგუფებამ კლუბს 60 მილიონი დოლარი მოაკლო და სწორედ ამ საქმეზე დაიწყო ახალი სასამართლო.

**ჩეხეთის უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა ქვეყნის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი პრაღის „დუკლა", რომელმაც იგი 1994 წელს დატოვა. ჩემპიონთა თასის 1967 წლის ნახევარფინალისტმა ქვეყნის პირველობა 11-ჯერ მოიგო, შვიდჯერ მეორე ადგილზეც გავიდა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისიდან ნელნელა ჩამოქვეითდა და გავარდა კიდეც.**

**იაპონიაში** მიმდინარე სამთა ტურნირში „კირინის თასზე" თურქეთმა და ხორვატიამ 1:1 ითამაშეს. პირველ შეხვედრაში ხორვატები მასპინძლებთან 3:4 დამარცხდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში თურქები იაპონიას ოსაკაში ეთამაშებიან. პირველი ადგილის ჯილდო 60 ათასი დოლარია.

**რუმინეთის უტიტულოვანესი გუნდის, ბუქარესტის „სტიაუას" მწვრთნელი დუმიტრუ დუმიტრიუ კლუბის პრეზიდენტთან მარსელ პუშკაშთან კონფლიქტის გამო გადადგა. წელს „სტიაუამ", რომელმაც 1986 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო, ქვეყნის ჩემპიონობას თასიც მიაყოლა, თუმცა [illegible] მწვრთნელმა გადადგომა ითხოვა და თქვა: „მარსელთან მუშაობა აუტანელი გახდა, იგი ყველაფრით უკმაყოფილოა. წასვლა ვამჯობინე, რადგან ვიცი, რომ ადრე თუ გვიან გამაგდებს".**

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ვარსკვლავს პატრიკ კლუივერტს და მის სამ მეგობარს პოლიციასთან ექნება საქმე. მავანმა ქალმა წესრიგის დამცველებს აცნობა, ყმაწვილკაცებმა გამაუპატიურესო, თუმცა, ერთის გარდა (კლუივერტის) სხვა ვერვინ შეეიცანიო. კლუივერტისთვის ეს არ ახალია. 1995 წელს მან, მანქანას რომ მიაქროლებდა, ქალი გაიტანა და მაშინაც მოუწია პასუხისგებამ.

**გერმანელი მარკუს ბაბელის გამო „მანჩესტერ იუნაიტედში" ერთი ამბავია ატეხილი. ინგლისელებს მიუნხენის „ბაიერნის" მცველის გადაბირება ერთობ სწადიათ და ადრე თუ წლიურ გასამრჯელოდ მილიონ ნახევარ მარკას სთავაზობდნენ, ამჯერად 2 მილიონ 800 ათასს დაჰპირდნენ, მაგრამ გერმანელმა კვლავ იუარა, მხოლოდ 4 მილიონი მარკა დამაკმაყოფილებსო.**

**ავსტრალიის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში სოლომონის კუნძულების 13:0 განადგურების შემდეგ ტაიტის შედარებით რბილად მოექცა — მხოლოდ 5:0 იმარჯვა. შემდეგი მატჩი სოლომონის კუნძულებსა და ტაიტის შორის სიდნეიში 15 ივნისს გაიმართება.

**პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ, რომელიც თითქოსდა „მილანში" უნდა გადასულიყო, „ბარსელონასთან" ახალი კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი კატალონიურ კლუბში 2002 წლამდე დარჩება და, რა თქმა უნდა, ხელფასიც გაეზრდება, თუმცა თანხა ჯერ ცნობილი არ არის. აქამდე ფიგუ წელიწადში მილიონ 700 ათას დოლარს იღებდა.**

**ესპანეთის** „ბეტისმა" გერმანიის თასის ფინალისტ „შტუტგარტს" 11 მილიონ 600 ათასი დოლარი შესთავაზა ბოლო წლების გუნდის საუკეთესო ბომბარდირის, წარმოშობით ხორვატი ფრედი ბობიჩის სანაცვლოდ. თავად ბობიჩმა განაცხადა, ჯერჯერობით გერმანიაში მირჩევნია თამაშიო.

**უკრაინის, კერძოდ, კიევის ცენტრალური სტადიონის წარმომადგენლის განცხადებით, ერთი კვირის წინ გერმანიის და უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებებს მათთან ნაცისტების დანაღმულ მოედანზე უთამაშიათ. მატჩის შემდეგ სტადიონზე სამი ნაღმი აღმოუჩენიათ, რომელიც, საბედნიეროდ, არ აფეთქდა.**

**რუმინელი** მწვრთნელი ლუჩესკუ, რომელიც იტალიურ კლუბებს „პიზას", „ბრეშიას" და სულ ახლახან „რეჯანას" წვრთნიდა, სამშობლოში დაბრუნდა სამუშაოს საძიებლად. 52 წლის ლუჩესკუს მიწვევა ბუქარესტის „რაპიდმა" მოიწადინა და წამოიწყო კიდეც მოლაპარაკებები. თავად ლუჩესკუმ განაცხადა, შეთანხმების შემთხვევაში კონტრაქტი აუცილებლად სამწლიანი უნდა იყოსო.

**გერმანიის თასის ფინალში დღეს „შტუტგარტი", რომელმაც თასზე ბოლოს 1958 წელს იმარჯვა, მეორე ბუნდესლიგაში წელს გადასულ კოტბუსის „ენერგის" შეხვდება. „ენერგია" ყოფილი გდრ-ის პირველი გუნდია, რომელმაც გერმანიის თასის ფინალს მიაღწია. კოტბუსელებს სხვა მიღწევაც აქვთ — ისინი ზუსტად 57 თამაშში არ დამარცხებულან და წაგებას არც დღეს აპირებენ. მათი მწვრთნელის ედუარდ გაიერის თქმით, „შტუტგარტთან" მათი შანსი ათი პროცენტია, მაგრამ ამ მცირედსაც სრულად გამოიყენებენ. მწვრთნელს ისიც ამხნევებს, რომ ნახევარფინალში „კარლსრუეს" წინააღმდეგ მათ შესაძლებლობებსაც ასევე აფასებდნენ, მაგრამ 3:0 იმარჯვეს.**

**ინგლისის** პრემიერლიგიდან გავარდნილი „მიდლსბროს" უპირველესთა შორის დარჩენა არ მოხერხდა. მიდლსბროელები ლიგის თავკაცებს ემუქრებოდნენ, დეკემბერში უკანონოდ დაქვითული სამი ქულა დაგვიბრუნეთ, თორემ სასამართლოში გიჩივლებთო. პრემიერლიგის უფროსობამ არავითარი სამი ქულა არ დაუბრუნა „მიდლსბროს" და ამათაც დანაპირები შეასრულეს, მაგრამ ამაოდ: სასამართლო გამოძიებამაც ცხადყო, რომ კლუბი მტყუანია.

# დუბლების და მინისტრების ჩემპიონატი

**COPA AMERICA**

### პირველი ტური

11-12 ივნისი

#### ეკვადორი 0:0 არგენტინა

**ეკვადორი:** სევალოსი, ბურბენო, ტენორიო, კაპურო, კარაბალი, მენდესი, სმიტი, მალდონადო (გრაციანი 50), სანჩესი, გავიჩა, ჩალა (ურტადო 50)

**არგენტინა:** გონსალესი, მარტინესი, პელეგრინო, როხენი, საპატა, დელგადო, რაულ კარდოსო, უსიანი, ლოპესი (გალიარდო 46), როდოლფო კარდოსო, კრუსი (კალდერონი 60)

არგენტინელთა შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ ეკვადორზე გაცილებით გამოცდილი და ტიტულოვანი მეტოქე არასერიოზულად მოეკიდა ტურნირს. არგენტინელებმა თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ითამაშეს. ბოლივიაში მაღალმთიან ადგილებს რა გამოლევს და ეს შეხვედრაც ზღვის დონიდან 2 500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ქალაქ კოჩაბამბაში გაიმართა. მატჩი, რომელსაც ანტიფეხბურთი ეთქმოდა, ვიდრე ფეხბურთი. არგენტინელთა მეორე შემადგენლობის ბრალი იყო თუ სხვა რამ, ეკვადორელები პირველივე წუთებიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს და შეხვედრის ბოლომდე არ მოსცილებიან გონსალესის კარს, ვისაც ფიფამ ბოლივიელი ფეხბურთელის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის (თავი დაარტყა) მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამი მატჩის გამოტოვება მიუსაჯა. პირველი ტაიმში ერთობ აქტიურობდა ეკვადორელი ველინგტონ სანჩესი, რომელსაც გონსალესმა ბურთი რამდენჯერმე გაჭირვებით აუღო. არგენტინელთა ერთადერთი ხეირიანი შეტევა პირველ ტაიმში როდოლფო კარდოსომ დაასრულა და ისიც ააცილა. მეორე ნახევარში სიტუაცია სრულიადაც არ შეცვლილა, პირიქით, არგენტინელები ეკვადორელთა უფრო ძლიერ წნეხში მოექცნენ, მაგრამ ქულის გადარჩენა მაინც შეძლეს. დაძაბულობამ აპოგეას მეორე ტაიმის შუაში მიაღწია, როცა ედუარდო ურტადოს დარტყმული ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა როხენმა. ანალოგიური შანსი მიეცა ლუის კაპუროსაც, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია. შეხვედრის შემდეგ ეკვადორის მთავარი მწვრთნელი, კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანას დროებით შემცვლელმა ლუის ფერნანდო სუპრესმა აღშფოთებით განაცხადა, დახეთ ჩემს უიღბლობას, მეტოქის კარში დღეს გონსალესთან ერთად ფეხბურთის ღმერთებიც ჩამდგარანო.

#### პარაგვაი 1:0 ჩილე

**პარაგვაი:** შილავერი, არსე, ალკარასი, გამარა, ვილამაიორი, სტუვეი, როხასი, რობერტო აკუნია (რამონ ხარა 55), ოველარი, სოტო (ბრისუელა 65), კარდოსო

**ჩილე:** კოსიო, გომესი, პარაგვაესი, მუნიოსი, რივეროსი, კორნეხო, ვალენსია, კასტილიო (კლარენს აკუნა 65), ნუნიესი, ვერგარა, სალასი

**გოლი:** 1:0 რობერტო აკუნია (28)

ჩილელებმაც, „კოპა ამერიკაში“ მონაწილე ზოგი ქვეყნის დარად, ძირითადი შემადგენლობა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დარჩენილი თამაშებისთვის დაასვენეს. ბოლივიაში არწასულთა შორისაა „ინტერის“ ფორვარდი სამორანო. სწორედ ივანის არყოფნის გამო აკლდა ჩილელთა შეტევებს ჩვეული სიმწვავე, რითაც პირველ ყოვლისა, ცხადია, სასაფრანგეთო შესარჩევ ტურნირში სამხრეთ ამერიკის ზონის ლიდერი პარაგვაი სარგებლობდა — უნიათო და გაუაზრებელი შეტევების ჩაშლა პარაგვაელი მცველებისთვის ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა. მთელი საათნახევარი ჩილელები მთვრალებივით მოქმედებდნენ, არც ტემპი აუჩქარებიათ, არც გოლის გასატანად მოუკლავთ მაინცდამაინც თავი. ამის გამო იყო, რომ კოსიომ სრულიად უწყინარ სიტუაციაში რობერტო აკუნიას შორეული, მაგრამ არც თუ აუღებელი დარტყმა სულელურად გაუშვა. დარჩენილ დროში პარაგვაი დომინირებდა, „ბომბარდირი“ შილავერიც ხანდახან ცენტრს მოუახლოვდებოდა ხოლმე, თუმცა ერთხელ, მეორე ტაიმში, მის ნაცვლად ძელი გაისარჯა.

#### პერუ 1:0 ურუგვაი

**პერუ:** მირანდა, რეინა, დულანტო, რებოსიო, იდალგო, მუნიოსი, ტორესი, როსალესი (პალომინიო 58), კარასასი, პალასიოსი (სესი 80), კომინგესი (მაგალანესი 62)

**ურუგვაი:** სიბოლდი, გომესი, როდრიგესი, მოასი, რამოსი, სარალეგი, აბიხონი, კ. რომერო (ლოს სანტოსი 46), რეკობა (და სილვა 46), მარტინესი, ლ. რომერო

**გოლი:** 1:0 იდალგო

#### ბოლივია 1:0 ვენესუელა

„კოპა ამერიკის“ ჩემპიონმა ურუგვაიმ ვერაფერი გააწყო პერუს ახალგაზრდულ ნაკრებთან და სამარცხვინოდ წააგო. არადა, მონტევიდეოში თამაშის წინ მოგებაზე კი არა, უბრალოდ, ანგარიშის გამოცნობაზე ბჭობდნენ, რაღა თქმა უნდა, თავიანთ სასარგებლოდ. მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა 23 წლის ნახევარმცველმა იდალგომ, ვინც საჯარიმო დარტყმით სიბოლდის კარში სამი ქულის მომტანი გოლი შეაგდო. მანამდე პერუს კარი აშკარა გოლს ორჯერ გადაურჩა, თუმცა, ვერც რეკობამ და ვერც მარტინესმა ივარგეს — ამ უკანასკნელმა ტაიმის მიწურულს ოთხი მეტრიდან ააცილა. პირველ ნახევარს ასე თუ ისე საინტერესო ეთქმოდა, მეორეში კი გუნდები ბურთის ტარებას მოუნდნენ და ძალზედ უხეშადაც თამაშობდნენ. ამიტომ იყო, რომ თამაშის მიწურულს არბიტრმა და სილვასთან უხეშობის გამო კარასასი გააგდო. მიუხედავად კაცნაკლობისა, ახალგაზრდა პერუელებმა მატჩის მიწურულს ამოქმედებულ ურუგვაის გაუძლეს და ყველას გასაკვირად „კოპა ამერიკას“ შარშანდელ გამარჯვებულს სძლიეს. არადა, პერუს ნაკრებში მირანდასა და ალასიოსის გარდა ყველა იშვიათად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში. იმასაც ვიტყვით, რომ ზღვის დონიდან 2 700 მეტრზე მდებარე ქალაქ სუკრეში გამართულ ამ უინტერესო და მოსაწყენ შეხვედრას მაყურებელიც ნაკლებად დაესწრო.

ბუნებრივია, ამ ტურნირისთვის დამახასიათებელმა სკანდალმაც არ დააყოვნა: პირველ შეხვედრაში დამარცხებული ჩილეს დელეგაციის ხელმძღვანელებმა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციაში წერილი აფრინეს — ერთი ნახეთ, ბოლივიელები როგორ უნიათოდ ეკიდებიან ამგვარი ტურნირის მასპინძლობას, რის გამოც უამრავი შეცდომაც მოსდითო. ჩილელები შემოსწყრნენ ტურნირის ორგანიზატორებს, „კოპა ამერიკის“ გახსნის ცერემონიალზე ჩვენს საპატივცემლოდ ეს რა დროშაააფრიალესო. თურმე ნუ იტყვით, ბოლივიელებს მეზობელი ქვეყნის სახელმწიფო დროშის მოხატულობა დავიწყებიათ... ამ ფაქტმა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ხოსე მიგელ ინსულსაც აღაშფოთა. მან თავის ბოლივიელ კოლეგას შეუთვალა, ასეთმა შეცდომებმა, შესაძლოა, ჩვენს ხალხებს შორის ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამძაფროს, რაც სასურველი არ არისო. იმავე დღეს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მოიბოდიშეს, ჩილეს საგარეო საქმეთა სამინისტროში წერილიც აფრინეს და დროშაც სასწრაფოდ შეცვალეს.

სანამ პარაგვაისთან დამარცხებული ჩილელები მეტად პრობლემატურ საკითხს სჭრიდნენ, გოლეადორობით განთქმულმა ხოსე ლუის შილავერმა განაცხადა, შესაძლოა, ამიერიდან აშშ-ში ფეხბურთად შერაცხულ ბურთაობაში ჩავებაო. მისი განცხადებით, იქაური ლიგის ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ და გადასვლა სთხოვეს, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რამდენი შესთავაზეს ამერიკელებმა გასამრჯელოდ, პარაგვაელმა დუმილი არჩია, თუმცა არ დაუმალავს, რომ გაცილებით მეტი, ვიდრე „ველეზში“ ჰქონდა.

ტურნირის ცხელ-ცხელი ამბები ამით არ დამთავრებულა და ეკვადორი — არგენტინის მატჩის საცქერლად ჩასულმა ეკვადორელთა კოლუმბიელმა მწვრთნელმა ფრანსისკო მატურანამ, რომელიც ახლა დროებით შვებულებაშია, განაცხადა, გუნდთან კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებისთანავე მიმთავრდება, თუმცა ეკვადორში ნაყოფიერად ვმუშაობ და თუ ქვეყნის ფეხბურთის მამები ჩემს დარჩენას ინებებენ, მზად ვარ, მათ გუნდს ვუხელმძღვანელოო. მისივე თქმით, საფრანგეთში წასასვლელი საგზურის მოპოვების იმედი ჯერ კიდევ არის და ამიტომ თავდაუზოგავ ბრძოლას აპირებს.

„კოპა ამერიკის“ პირველ დღეს კი ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილეებს სიურპრიზი შესთავაზეს, როცა განაცხადეს, რომ თუ მათი ნაკრები ფინალში ვერ გავა, მაშინ გადამწყვეტი მატჩი ადრე დაგეგმილ ლა-პასში კი არა, უფრო დაბლა, სანტა-კრუზში შედგება.

**ლაშა გოდუაძე**

## ესპანეთი




დღეს მადრიდში დიდი დავიდარაბაა — ესპანეთის უტიტულოვანესი, სამეფო „რეალი“ თანაქალაქელ „ატლეტიკოს“ ეთამაშება. სწორედ ეს შეხვედრა გადაწყვეტს, გაიფორმებს თუ არა „რეალი“ ქვეყნის 27-ე ჩემპიონატის ტიტულს პირველობის დასრულებამდე ტურით ადრე. სხვათაშორის „რეალს“ ფრეც ხელს აძლევს.

ამ ორ გუნდს შორის მტრობა მათი დაარსებიდანვე დაიწყო. „ატლეტიკოს“, აგერ უკვე ხუთი სეზონია, „რეალისთვის“ ვერ უჯობნია. შარშანაც, როცა თასიც აიღო და ჩემპიონატიც მოიგო, „ატლეტიკომ“ „რეალს“ 17 ქულით გაუსწრო, მაგრამ თანაქალაქელთან ორივე მატჩი დათმო. თან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბოლო ხუთი წელია თამაშს აგებს. წელსაც, თავის სტადიონზე 1:0 დაწინაურებულმა „ატლეტიკომ“ ოთხი გოლი გაუშვა და განადგურდა — 1:4. ისე, ისტორიას თუ გადავხედავთ, უპირატესობა აშკარად „რეალის“ მხარესაა — მეტოქეთა 123 დერბიში 66-ჯერ იმარჯვა და 33-ჯერ დამარცხდა.

კიდევ ერთიც: ყველა გააოცა ცნობამ, რომ შეხვედრას მეტოქეთა გუნდის პრეზიდენტები — ლორენსო სანსი და ხესუს ხილი ხილი არ დაესწრებიან. „ატლეტიკოს“ შერეკილი პრეზიდენტის ხილი ხილის არყოფნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ ქალაქ მარბელას მერს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სასამართლოში აღუძრა საქმე გამუდმებული უმიზეზო ბრალდებების გამო. მარტში ხილმა სახალხოდ თქვა, ფედერაცია ჩაწყობილ თამაშებზე შეგნებულად არაფერს ამბობს, რადგან იცის, ამით ესპანური ლიგის პრესტიჟი რომ შეილახებაო. ამის თქმა და სასამართლოში მისი დაბარება თითქმის ერთი იყო. ქვეყნის ფეხბურთის მამები მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაემუქრნენ. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტობის 10-წლიან ხანაში ხილი ხილი 11-ჯერ იყო დისკვალიფიცირებული, ახლა კი ძნელი სათქმელია, გადაურჩება თუ არა კანონის ძალას.

ჩვენ კი, სანამ დიდ ფეხბურთს ველით, მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობას შემოგთავაზებთ:

# დავიდარაბა მადრიდში



I წრის შეხვედრა რეალმა მოიგო 4:1. ორი გოლი რაულმა გაიტანა

### რეალი

ბოდო ილგნერი — სეზონის წინ „რეალში“ მის გადასვლას უაზრობად მიიჩნევდნენ, მაგრამ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი საიმედოდ ათამაშდა და კაპელოს გაუმართლა კიდეც.

კრისტიან პანუჩი — 24 წლის იტალიელი „რეალში“ შუა სეზონში გადავიდა და არც ძირითადში ადგილის დაბევება გასჭირვებია. სახიფათოა კუთხურების დროს. ძლიერია საჰაერო ორთაბრძოლებში.

ფერნანდო იერო — გუნდის სული და გული, კაპიტანი. შორეული დარტყმების დიდოსტატი.

ლუის მოია — 1990 წელს „რეალში“ „ბარსელონადან“ გადავიდა, მაგრამ ძირითადში იშვიათად თამაშობს.

მანუელ სანჩისი — „რეალის“ 60-იანი წლების ვარსკვლავის ვაჟი. კლუბში 1983 წლიდანაა, რეგულარულად თამაშობდა, თუმცა კაპელოს მწვრთნელობისას ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდა.

ფერნანდო რედონდო — ნახევარმცველი, რომელსაც არგენტინის ნაკრებში გრძელი თმების გამო არ იწვევენ. შესანიშნავად თამაშობს დაცვაშიც.

კლარენს ზეედორფი — დაუღალავი, ფუტკარივით გამრჯე. მისი თამაში სილამაზით არ გამოირჩევა, მაგრამ გუნდისთვის სასარგებლოა. გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებს.

რაული — ცბიერი თავდამსხმელი. ჯერ სრულიად ახალგაზრდას „რეალში“ დამკვიდრება არ გასჭირვებია. ბევრი გადამწყვეტი გოლი გაუტანია, მიუხედავად იმისა, რომ კაპელო შუკერის უკან ათამაშებს.

დავორ შუკერი — „რეალში“ „სევილიიდან“ მივიდა. ბრწყინვალე ფორვარდია, უძლიერესი დარტყმის პატრონი. შედეგიანად თამაშობს ნაკრებშიც.

პრედრაგ მიატოვიჩი — შარშანდელი ჩემპიონატის ვიცე-ბომბარდირი „ვალენსიას“ შემადგენლობაში. კარიერა ნახევარდაცვაში დაიწყო, თუმცა შემდეგ თავდამსხმელის ამპლუასაც ბრწყინვალედ მოერგო.

ფერნანდო სანსი — ხშირად შედის შეცვლაზე. ცნობილი უფრო იმითაა, რომ „რეალის“ პრეზიდენტის ლორენსო სანსის შვილია.

### ატლეტიკო

ხოსე მოლინა — ლამაზი თამაშით გამოირჩევა. უყვარს წინ გასვლა, რისთვისაც ბევრჯერ ისჯება.

ხუან ლოპესი — ნაკრებში უფრო ხშირად თამაშობს, ვიდრე ჩემპიონატში. უხეში ფეხბურთელია, რის გამოც ბევრჯერ გაუძევებიათ.

დიეგო სიმეონე — კარგად ფლობს ბურთს, თუმცა არგენტინის ნაკრებში უფრო ძლიერად თამაშობს, ვიდრე „ატლეტიკოში“. ძალიან ბევრს მუშაობს.

ველიკო პაულოვიჩი — 20 წლისაა. გააზრებული თამაშით გამოირჩევა. სადებიუტო მატჩში გოლიც გაიტანა.

კარლოს აგილერა — კლუბში „ტენერიფედან“ მივიდა. ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდა. ძლიერია ორთაბრძოლებისას. როგორც წესი, მარჯვენა ფლანგიდან უტევს.

ხუან ვისკაინო — თავისი ამპლუის შერჩევისას ანტიჩთან უთანხმოება მოუვიდა, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. პანტიჩისა და კამინეროს პასებით ამარაგებს.

მილინკო პანტიჩი — სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ შარშანწინ „ატლეტიკომ“ დუბლი გააკეთა. ჩინებული ფეხბურთელია.

ხუან ესნაიდერი — „სარაგოსას“ 1995 წელს თასების თასის მოგებაში დაეხმარა. ამ სეზონში ბევრი პრინციპული შეხვედრა გამოტოვა, ძალზედ ტემპერამენტიანია.

ლეონარდო ბიაჯინი — ახალგაზრდა, 20 წლის იმედისმომცემი არგენტინელი თავდამსხმელი.

ხოსე ლუის კამინერო — „ატლეტიკოს“ სული და გული. მართალია, წელს შარშანდელთან შედარებით სუსტად თამაშობს, მაგრამ მაინც გუნდის იმედია.

კიკო — 1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი. წელს ბრწყინვალე ფორმაშია.

## საკვალიფიკაციო: შესარჩევი ტურნირი

**FRANCE 98**

### ევროპა. VIII ჯგუფი

#### ისლანდია 0:0 ლიტვა

**ისლანდია:** ფინბოგასონი, იონსონი, ბერგსონი, ლ. სიგურდსონი, სვერისონი, კრისტინსონი, ტ. გუდიონსონი, გისლესონი (გერტერსონი 79), ა. გუდიონსონი (დედასონი 82), ა. გუნლაუგსონი (პ. სიგურდსონი 72), ბ. გუნლაუგსონი

**ლიტვა:** სტაჩე, ზიმკუსი, ტურეშკინასი, ბ. ცუტაუტასი, ვაინორასი, შტუმბრუსი, რ. ცუტაუტასი, შლეკისი, ტრეკსაიტისი, სკარაბალიუსი, იანკაუსკასი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. ბოლო ტური: ფორტუნა (კიოლნი) — ცვიკაუ 2:1, ლაიპციგი — კარლ ცაისი 3:3, გიუტერსლო — კიკერსი 1:0, როტ ვაისი — უნტერჰახინგი 1:2, კაიზერსლაუტერნი — მეპენი 7:6, ოლდენბურგი — აინტრახტი 1:2, ლიუბეკი — მანჰაიმი 2:3, ვოლფსბურგი — მაინცი 5:4, ჰერტა — ურდინგენი 0:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 34 | 19 | 11 | 4 | 74:28 | 68 |
| ვოლფსბურგი | 34 | 14 | 16 | 4 | 52:29 | 58 |
| ჰერტა | 34 | 17 | 7 | 10 | 57:38 | 58 |
| მაინცი | 34 | 14 | 12 | 8 | 50:34 | 54 |
| კიკერსი | 34 | 13 | 12 | 9 | 38:28 | 51 |
| უნტერჰახინგი | 34 | 11 | 16 | 7 | 35:29 | 49 |
| აინტრახტი | 34 | 13 | 9 | 12 | 43:46 | 48 |
| ლაიპციგი | 34 | 12 | 10 | 12 | 53:54 | 46 |
| ურდინგენი | 34 | 13 | 6 | 15 | 47:44 | 45 |
| გიუტერსლო | 34 | 12 | 9 | 13 | 43:51 | 45 |
| მეპენი | 34 | 10 | 14 | 10 | 44:48 | 44 |
| ფორტუნა | 34 | 11 | 9 | 14 | 52:47 | 42 |
| კარლ ცაისი | 34 | 9 | 15 | 10 | 44:49 | 42 |
| ცვიკაუ | 34 | 12 | 6 | 16 | 34:48 | 42 |
| მანჰაიმი | 34 | 10 | 10 | 14 | 45:56 | 40 |
| ლიუბეკი | 34 | 8 | 12 | 14 | 32:53 | 36 |
| როტ ვაისი | 34 | 8 | 5 | 21 | 47:74 | 29 |
| ოლდენბურგი | 34 | 6 | 9 | 19 | 33:67 | 27 |

## თასების მფლობელთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 | გლაზგო | გლაზგო რეინჯერსი — ფიორენტინა ფლორენცია | 0:2 |
| | ფლორენცია | ფიორენტინა ფლორენცია — გლაზგო რეინჯერსი | 2:1 |
| 1962 | გლაზგო | ატლეტიკო მადრიდი — ფიორენტინა ფლორენცია | 1:1 |
| | შტუტგარტი | ატლეტიკო მადრიდი — ფიორენტინა ფლორენცია | 3:0 |
| 1963 | როტერდამი | ტოტენჰემ ჰოტსპური ლონდონი — ატლეტიკო მადრიდი | 5:1 |
| 1964 | ბრიუსელი | სპორტინგი ლისაბონი — MTK ბუდაპეშტი | 3:3 |
| | ანტვერპენი | სპორტინგი ლისაბონი — MTK ბუდაპეშტი | 1:0 |
| 1965 | ლონდონი | ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი — მიუნხენ 1860 | 2:0 |
| 1966 | გლაზგო | ბორუსია დორტმუნდი — ლივერპული | 2:1 დ.დ. (1:1) |
| 1967 | ნიურნბერგი | ბაიერნი მიუნხენი — გლაზგო რეინჯერსი | 1:0 დ.დ. (0:0) |
| 1968 | როტერდამი | მილანი — ჰამბურგი | 2:0 |
| 1969 | ბაზელი | სლოვანი ბრატისლავა — ბარსელონა | 3:2 |
| 1970 | ვენა | მანჩესტერ სიტი — გურნიკი ზაბჟე | 2:1 |
| 1971 | პირეოსი | ჩელსი — რეალი მადრიდი | 1:1 |
| | პირეოსი | ჩელსი — რეალი მადრიდი | 2:1 |
| 1972 | ბარსელონა | გლაზგო რეინჯერსი — დინამო მოსკოვი | 3:2 |
| 1973 | სალონიკი | მილანი — ლიდს იუნაიტედი | 1:0 |
| 1974 | როტერდამი | მაგდებურგი — მილანი | 2:0 |
| 1975 | ბაზელი | დინამო კიევი — ფერენცვაროში ბუდაპეშტი | 3:0 |
| 1976 | ბრიუსელი | ანდერლეხტი ბრიუსელი — ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი | 4:2 |
| 1977 | ამსტერდამი | ჰამბურგი — ანდერლეხტი ბრიუსელი | 2:0 |
| 1978 | პარიზი | ანდერლეხტი ბრიუსელი — აუსტრია ვენა | 4:0 |
| 1979 | ბაზელი | ბარსელონა — ფორტუნა დიუსელდორფი | 4:3 დ.დ. (2:2) |
| 1980 | ბრიუსელი | ვალენსია — არსენალი ლონდონი | 0:0 პ. 5:4 |
| 1981 | დიუსელდორფი | დინამო თბილისი — კარლ ცაისი იენა | 2:1 |
| 1982 | ბარსელონა | ბარსელონა — სტანდარდი ლიეჟი | 2:1 |
| 1983 | გიოტებორგი | აბერდინი — რეალი მადრიდი | 2:1 დ.დ. (1:1) |
| 1984 | ბაზელი | იუვენტუსი ტურინი — პორტუ | 2:1 |
| 1985 | როტერდამი | ევერტონი ლივერპული — რაპიდი ვენა | 3:1 |
| 1986 | ლიონი | დინამო კიევი — ატლეტიკო მადრიდი | 3:0 |
| 1987 | ათენი | აიაქსი ამსტერდამი — ლოკომოტივი ლაიპციგი | 1:0 |
| 1988 | სტრასბური | მეხელენი — აიაქსი ამსტერდამი | 1:0 |
| 1989 | ბერნი | ბარსელონა — სამპდორია გენუა | 2:0 |
| 1990 | გიოტებორგი | სამპდორია გენუა — ანდერლეხტი ბრიუსელი | 2:0 დ.დ. (0:0) |
| 1991 | როტერდამი | მანჩესტერ იუნაიტედი — ბარსელონა | 2:1 |
| 1992 | ლისაბონი | ვერდერი ბრემენი — მონაკო | 2:0 |
| 1993 | ლონდონი | პარმა — ანტვერპენი | 3:1 |
| 1994 | კოპენჰაგენი | არსენალი ლონდონი — პარმა | 1:0 |
| 1995 | პარიზი | რეალი სარაგოსა — არსენალი ლონდონი | 2:1 დ.დ. (1:1) |
| 1996 | ბრიუსელი | პარი სენ ჟერმენი — რაპიდი ვენა | 1:0 |
| 1997 | როტერდამი | ბარსელონა — პარი სენ ჟერმენი | 1:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი აზვლედიანის



სვეტი

## ფეხბურთის ყურების დროს

ამ სვეტს რომ ვწერ თქვენთვის, ძვირფასო ტელემაყურებლებო, „საფრანგეთის ტურნირის“ ბოლო მატჩი მიმდინარეობს.

მეზობელთა შორის თამაშს საომარი პირი უჩანს, ხომ არ შეიძლება, რომ გამუდმებით ფრეები ჩაიწერო აქტივში და იძახო, მოსამზადებელი ეტაპი წარმატებით მიმდინარეობს, კმაყოფილი ვარო?

ბოლოს და ბოლოს, თამაშს ხალხი ესწრება და თვით საქართველოშიც, სადაც ძალიან კარგად და აზრიანად თამაშობენ ფეხბურთს, არაერთი მწვრთნელი ლამეს სტეხს, ახალი რამეები ჩავინიშნო ჩემს ბლოკნოტში, ემანდ, მსოფლიო ფეხბურთის პროცესებს არ ჩამოვრჩეო.

თუმცა, რაღა მწვრთნელი? ჩვენ, უბრალო ქომაგებიც აქ არა ვართ? ჩვენ, რომლებსაც არ გვესმის ფეხბურთი (მწვრთნელებისგან განსხვავებით) და მხოლოდ ბრმად გვიყვარს იგი.

დიახ, ჩვენ ხომ ხმა არ ამოგვეღება.

ერთადერთი, რისი უფლებაც გვაქვს, ტრიბუნაზე ჯდომა და მსაჯის გინებაა.

ჩვენ არ გვესმის ფეხბურთი — ის ხომ რთული თამაშია და აუცილებლად მწვრთნელები უნდა ვიყოთ, რომ ხმა ამოგვეღებოდეს.

და საერთოდ, რა უფლება გვაქვს, ფეხბურთზე რომ ვწერთ?

ჩვენ ხომ ფეხბურთისა არაფერი გაგვეგება...

ჩვენ ასეთი ხალხი ვართ ეს ქომაგები — საათობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, როგორ ითამაშა, ვთქვათ, დევიდ ბექემმა, რა სივრცეები დაიჭირა, რატომ ვერ აწვდის ბოლო დროს კუთხურებს, როგორ მიდის ბურთზე და როგორ ატყუებს მოწინააღმდეგეებს. ჩვენ საათობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ და ვიკამათოთ იმაზე, ვინ უკეთ ხმარობს კორპუსს, გაზა თუ რონალდო და ამ კითხვებით მავან პროფესიონალ სპეციალისტს რომ მივმართავთ, მრავლისმეტყველად მოგვიგებს:

„ისეთი ვერაფერი აჩვენა.. ისე, იგროკია, რა“.

დიახ, ჩვენ ასეთი ხალხი ვართ — უცოდინარი, ბლუ და გულღრძო. ფეხბურთი არ გვესმის, მხოლოდ გვიყვარს.

ვისაც ფეხბურთი ესმის, იმას ჩვენ ნაკლებად ვუყვარვართ. იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიშლით და რაღაცეებს ვჯღაბნით — იმას, რასაც ჩვენი უტვინო თავი და ფეხბურთის სიყვარული გვიკარნახებს.

აბა?

აი, ემე ჟაკე გამოჩნდა ეკრანზე.

ერთი ამ კაცთან მალაპარაკა ფეხბურთზე. ან ჩეზარე მალდინისთან.

აბა, ამათ ექნებათ ბლოკნოტები, თუ ექნებათ. რა თქმა უნდა, ვან გაალის ბლოკნოტებთან მათი ბლოკნოტები ვერც სიდიდით და ვერც ოდენობით ვერ მოვლენ, მაგრამ, ესენი ძაან ბიძები არიან.

ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ ასეთ ხალხთან არ მალაპარაკო ფეხბურთზე.

აჰ, რამდენი უნახავთ და უსწავლიათ? რამდენი საფეხბურთო წიგნი უდევთ მაგიდაზე და რამდენი საფეხბურთო ფიქრი აქვთ თავში.

ამასობაში თამაში ფრედ დამთავრდა. ვერც ფრანგებმა მოიგეს, ვერც იტალიელებმა. დელ პიერომ ბოლო წუთზე გაიტანა პენალტი.

იძინებენ: დაღლილი, ბრმა სიყვარულის უფლებამიცემული გულშემატკივრები და ტელევიზორთან ბლოკნოტით ხელში მსხდომი მწვრთნელები.

გაავსეს, პირდაპირ, ბლოკნოტები: დაიღალნენ ღრმა საფეხბურთო ფიქრებით.

ახლა ძილიც შეიძლება.

ლოზუნგი: „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი!“

ოთხთა ტურნირი

## დიდებული ფრანგული არდადეგები



იტალიელები კაზირაგის გოლით ხარობენ, თუმცა მაინც ბოლო ადგილზე დარჩნენ

გასრულდა ბრწყინვალე ტურნირი, რომლის ბოლო აკორდი, მასპინძელთა და იტალიელთა მატჩი, სწორედ ისეთი გამოდგა, ამ შესანიშნავ ასპარეზობას რომ დაამშვენებდა. მეტოქეები, ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, მესამე ადგილს მაინც ვერ ასცდნენ. თუმცა, ჩეზარე მალდინის და ემე ჟაკეს თამაშის დაწყებამდე გაკეთებული განცხადებით ნათელი გახდა, რომ მეტად გამოცდილ მწვრთნელებს ეს დიდად არც ანაღვლებდათ. შესანიშნავ გუნება-განწყობაზე მყოფმა ჩეზარემ მატჩისწინა პრეს-კონფერენციაზე ოლიმპიური დევიზი მოიშველია — მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობააო. მერე სერიოზულად დაამატა, რომ მისი ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ამხანაგურ ტურნირებს შეეხება. იტალიელი კოლეგისგან განსხვავებით, ნაკრების ბოლო თამაშების გამო ერთობ შეშფოთებული ემე ჟაკე სერიოზულად გაიძახოდა, სულაც არ მეხატება გულზე ბოლო ადგილზე გასვლა — ჯერ ეს მესამეობა მალიზიანებს და ბოლო ხომ სულ თავს მოგვჭრისო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ფრანგებმა თამაში მეტოქისგან განსხვავებით აქტიურად დაიწყეს და მიუხედავად იტალიელთა ჩვეული, მეტად სახიფათო კონტრშეტევებისა, ანგარიში პირველად სწორედ მათ გახსნეს — პარმელმა ლილიამ ტურამმა შესანიშნავად ჩაჰკიდა აპენინელთა საჯარიმოში, იქ კი სტუმართა მცველები პოზიციურად შეცდნენ და ვერ მოასწრეს, ზიდანისთვის ხელი შეეშალათ, იმ დღეს ფრანგთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესომ კი ბრწყინვალე დარტყმით ერთობ ლამაზი გოლი გაუტანა პალიუკას.

მეორე ტაიმი შეუდარებლად ლამაზი გამოდგა. პირველი ტაიმის დარად ფრანგებმა თავიდან შეუტიეს, მაგრამ იტალიელთა დაცვა ვერ გადალახეს. ის კი არა, გოლიც გაუშვეს: იტალიელთა და, შესაძლოა, ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ, იუვენტუსელმა დელ პიერომ თანაკლუბელ დი ლივიოს მარჯვენა ფლანგზე გაუჭრა პასი, მან მასპინძელთა საჯარიმოში მოთამაშე კაზირაგი მოძებნა, პიერლუიჯიმ კი ნახტომში ტურამი დაჯაბნა და ბრწყინვალე თავურით გაატანა — საფრანგეთის ნაკრების დებიუტანტმა მეკარემ შარბონიემ და მის საშველად კარში შევარდნილმა ჩელსელმა ფრანკ ლებეფმა ვერაფერი გააწყვეს. ნელ-ნელა იტალიელები მოედნის სრული ბატონ-პატრონები ხდებოდნენ. ამას, ცხადია, მიხვდა ჟაკი და იტალიელი მცველების მარწუხებში მოქცეული მორისის ნაცვლად იური ჯორკაეფი შეიყვანა, მალე კი კარემბუ არსენალელი ვიეირათი შეცვალა. ახალმა სისხლმა ფრანგებზე დადებითად იმოქმედა და მალე ჯორკაეფი ულამაზესი გოლის შემოქმედი გახდა: საჯარიმოს ახლოს სახიფათოდ მოტრიალებმ ბურთი მიიღო თუ არა, ცოტა გაირბინა და უძლიერესად დაარტყა — პალიუკამ რეაქციაც კი ვერ მოასწრო. მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმცა იმ დღეს მათ იტალიელებზე ზეობა არ ეწერათ — შეხვედრის ბოლო წუთზე ტურამმა დელ პიერო აკრძალული ილეთით შეაჩერა, რაზეც, ცხადია, ესპანელმა მსაჯმა ლოპეს ნიეტომ პენალტი დანიშნა. დაზარალებულმა პენალტის გოლად ქცევა თვითონ ითავა და ტურნირზე ბომბარდირის სახელიც დაიგდო. თამაში დიდხანს არც გაგრძელებულა და ნიეტომ რამდენიმე წამში ფრანგთა მიერ ჩინებულად ორგანიზებული და მონაწილეთაგან თვალწარმტაცი სანახაობებით უხვად დახუნძლული ტურნირი ისტორიის კუთვნილება გახადა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ერთობ მხიარული ატმოსფერო სუფევდა. ჟურნალისტთა და სხვა ოფიციალურ პირთა დარად არც მწვრთნელები იყვნენ უქმოდ, უბრალოდ, ჯერ კრიტიკის ქარცეცხლში არმოხვედრილი ჩეზარესგან განსხვავებით, მრავალჭირნახული ემე ჟაკე უფრო სერიოზული იყო.

საუბარი, რა თქმა უნდა, სტუმარმა დაიწყო: „მადლობას ვუხდი ფრანგებს ასეთი მასპინძლობისთვის და მშვენიერი სანახაობისთვის. კარგა ხანია, ფეხბურთით ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. ტურნირი ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, ჩვენც ყველანაირი პირობა გვქონდა ლამაზი თამაშის საჩვენებლად, რაც, ვფიქრობ, პირველი შეხვედრის შემდეგ შევძელით კიდეც. მიუხედავად ბოლო ადგილზე გასვლისა, ბიჭების დიდი მადლობელი ვარ, ბრაზილიასთან და ფრანგებთან, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, შესანიშნავად ვითამაშეთ, მიუხედავად იმისა, რომ სამ შეხვედრაში იტალიელთათვის ერთობ ბევრი — შვიდი გოლი გავუშვით. ვთვლი, რომ ამ ეტაპზე გუნდის ყველა რგოლმა დასახულ ამოცანას თავი გაართვა. ახალბედებიც გამოვცადე. ავერ დელ პიეროც დაუბრუნდა ნაკრებს და თან როგორ! მოკლედ, „ფრანგული არდადეგები“ ბრწყინვალე გამოდგა. რაც შეეხება ბოლო მატჩს, ვგონებ, მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ. ვერ ვიტყვი, გამარჯვება უცილობლად ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა-მეთქი, მაგრამ წაგებაც საწყენი იქნებოდა. დელ პიეროს პენალტს სამართლიანად ვთვლი, ზიდანისა და ჯორკაეფის გოლები კი ქომაგებს არასდროს დაავიწყდებათ“.

მალდინის სიტყვა ჟაკემ ჩამოართვა. მანაც შეაქო ტურნირის ორგკომიტეტი, მისი თავმჯდომარის მიშელ პლატინის საქმიანობა, მერე კი განაცხადა, ნეტავი, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასეთი ლამაზი მატჩები იყოსო. თამაშზე თქვა: „დელ პიეროს ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა ხასიათი გამიფუჭა. არა, იმას არ ვამბობ, რომ პენალტი არ იყო. უბრალოდ, ორ შეხვედრაში ბოლო ხუთ წუთში გავუშვით გოლები, რომლებმაც ჯერ ფრე, ახლა კი მოგება დაგვაკარგვინა. ცხადია, ფეხბურთელები გადაღლილნი არიან, მაგრამ ბოლო წუთზე უნიათოდ არ უნდა ირჯებოდნენ. მთლიანობაში ტურნირზე გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თუმცა, უკეთ თამაშიც შეგვეძლო“.

მოკლედ, დასრულდა ტურნირი, რომელმაც ფეხბურთის მოყვარულთ უზომო სიამოვნება მიანიჭა. ამ რვა დღეში გულშემატკივარმა იმდენი ლამაზი თამაში იხილა, რამდენიც, შესაძლოა, მსოფლიოს ან თუნდაც ევროპის ჩემპიონატზეც ვერ იხილოს. იტალია — ბრაზილიის მატჩის შემდეგ აკი თქვა ბევრის მნახველმა ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა, ბევრგან ვყოფილვარ, უამრავი შეხვედრაც მინახავს, მაგრამ ამ სანახაობის დარი თამაში თითოოროლა თუ მახსენდებაო. მან მთელ ტურნირს ძალიან მაღალი შეფასება მისცა და, მსოფლიოს ჩემპიონატის წინა მზადება ბრწყინვალეაო, განაცხადა, ბოლოს კი დასძინა, ფიფა არ ცდება — საფრანგეთი ღირსია, მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოსო.

პრესკონფერენცია მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ დაასრულა. მან შეკრებილთ მადლობა მოუხადა მხარდაჭერისთვის, სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და ფეხბურთელებსაც და ჟურნალისტებსაც გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთეს პირობებს შეჰპირდა.

ლუკა გოდუაძე

## ევროპული კლუბების კლასიფიკაცია

### ევროთასების ტურნირების შედეგების მიხედვით (1956-1997 წლები)

ეს კომპიუტერული კლასიფიკაცია ითვალისწინებს ევროპის სამივე თასის ტურნირების საბოლოო შედეგს. სისტემის ორიგინალობა და ძირითადი სიახლე ის გახლავთ, რომ ევროტურნირები პირობითად დაყოფილია სამ კატეგორიად — შემადგენლობის სიძლიერისა და ტურნირის სირთულის მიხედვით. გუნდების სიძლიერის მიხედვით I ადგილზეა ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტურნირი, მომდევნოა უეფას თასი, მესამე — თასების მფლობელთა თასი. ჩემპიონთა თასზე გამარჯვებულს უეფასა და თასების თასზე გამარჯვებულზე მეტი ქულა ერიცხება, ასევე, ჩემპიონთა თასის ფინალისტს უეფას თასისა და თასების თასის ფინალისტზე მეტი ქულა მიეკუთვნება. ამ საკლასიფიკაციო ცხრილის შედგენისას გამოყენებულია კოეფიციენტთა დარიცხვის ის სისტემა, რომლის მიხედვით მოხდა ევროპის საფეხბურთო გუნდების კლასიფიკაცია.

საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ, ევროთასების სამივე ფინალური მატჩის შედეგების მიხედვით, შესაძლებელია სათანადო ცვლილებების შეტანა კლასიფიკაციის ცხრილში.

ცხრილში ნაჩვენებია ყველა იმ 88 გუნდის შედეგი, რომლებიც ევროპის სამივე ტურნირის ფინალურ მატჩებში მონაწილეობდნენ.

თბილისის „დინამო“ კლასიფიკაციაში 103 ქულით იყოფს 48-ე-62-ე ადგილებს.

ქვეყნების მიხედვით სამივე ევროტურნირებში გამარჯვებით და ფინალში მონაწილეობით პირველ ადგილზეა იტალია (იხ. ცხ. 2), რომელიც საგრძნობი უპირატესობით უსწრებს სხვა ქვეყნებს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინგლისის გუნდები დისკვალიფიკაციის გამო ხუთი წელი არ მონაწილეობდნენ ევროტურნირებში 1985 წელს „ეიზელზე“ მომხდარი ტრაგედიის გამო.

საკლუბო გუნდების კლასიფიკაციის ცხრილში, ფინალის მონაწილე 88 გუნდიდან ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა 10 ქვეყნის 21 გუნდმა, მათ შორის „რეალმა“ 6-ჯერ, მილანმა 5-ჯერ, „აიაქსმა“ 4-ჯერ, „ბაიერნმა“ 3-ჯერ, „ლივერპულმა“ 4-ჯერ, „ბენფიკამ“ და „ინტერმა“ 2-ჯერ, დანარჩენებმა კი თითოჯერ.

უეფას თასი მოიპოვა 9 ქვეყნის 27-მა წარმომადგენელმა. ეს ქვეყნებია: ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, იუგოსლავია, ინგლისი, ჰოლანდია, გერმანია, შვედეთი, ბელგია. ფინალში კი ითამაშა 13 ქვეყნის 32 გუნდმა. ყველაზე მეტჯერ უეფას თასი მოიგეს „ბარსელონამ“ და „იუვენტუსმა“ — 3-ჯერ, 2-ჯერ „ინტერმა“, „ბორუსიამ“, „რეალმა“, „ვალენსიამ“ და „ტოტენჰემმა“.

თასების მფლობელთ თასის გათამაშებაში გაუმარჯვია 12 ქვეყნის 31 გუნდს, ფინალში კი ითამაშა ასევე 12 ქვეყნის 28 გუნდმა. ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია ესპანეთის „ბარსელონამ“ — მან ოთხჯერ მოიპოვა ეს თასი და ორჯერ ითამაშა ფინალში. ორჯერ დაისაკუთრეს თასების თასი „მილანმა“, კიევის „დინამომ“ და „ანდერლეხტმა“. დანარჩენებმა თითოჯერ გაიმარჯვეს.

სულხან იაშვილი, საქართველოს ეროვნული აკადემიის სწავლული მდივანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რეალი | 149 | 26. | მარსელი | 108 |
| 2. | ბარსელონა | 142 | 27. | ატლეტიკო (მადრიდი) | 108 |
| 3. | მილანი | 141 | 28. | გიოტებორგი | 108 |
| 4. | იუვენტუსი | 140 | 29. | სტიაუა | 108 |
| 5. | აიაქსი | 134 | 30. | პარმა | 108 |
| 6. | ლივერპული | 132 | 31. | ცრვენა ზვეზდა | 107 |
| 7. | ბაიერნი | 128 | 32. | აინტრახტი (ფრანკფურტი) | 107 |
| 8. | ბენფიკა | 127 | 33. | სამპდორია | 107 |
| 9. | ინტერი | 126 | 34. | რეიმსი | 106 |
| 10 | ანდერლეხტი | 116 | 35. | ფერენცვაროში | 106 |
| 11. | ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 115 | 36. | დინამო (ზაგრები) | 106 |
| 12. | ლიდს იუნაიტედი | 115 | 37. | დინამო (კიევი) | 106 |
| 13. | ჰამბურგი | 114 | 38. | ასტონ ვილა | 105 |
| 14. | ტოტენჰემი | 113 | 39. | ბრიუგე | 105 |
| 15. | ვალენსია | 112 | 40. | გლაზგო რეინჯერსი | 105 |
| 16. | ნოტინგემ ფორესტი | 110 | 41. | პორტუ | 105 |
| 17. | ბორუსია (დორტმუნდი) | 110 | 42. | ნიუკასლი | 104 |
| 18. | ფეიენოორდი | 109 | 43. | ნაპოლი | 104 |
| 19. | ფიორენტინა | 109 | 44. | იფსვიჩ თაუნი | 104 |
| 20. | რეალ-სარაგოსა | 109 | 45. | ბაიერი ლევერკუზენი | 104 |
| 21. | ეინდჰოვენი | 109 | 46. | ბირმინგემ სიტი | 104 |
| 22. | არსენალი | 109 | 47. | შალკე 04 | 104 |
| 23. | რომა | 109 | 48. | პარტიზანი (ბელგრადი) | 103 |
| 24. | მანჩესტერ იუნაიტედი | 108 | 49. | პანათინაიკოსი | 103 |
| 25. | სელტიკი | 108 | 50. | სენტ-ეტიენი | 103 |

| | ჩ. თ. | | უ. თ. | | თ. თ. | | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გ | ფ.მ. | გ | ფ.მ. | გ | ფ.მ. | | |
| იტალია | 9 | 11 | 9 | 7 | 6 | 4 | 150 | I |
| ესპანეთი | 7 | 7 | 8 | 6 | 7 | 6 | 130 | II |
| ინგლისი | 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 119 | III |
| გერმანია | 5 | 5 | 6 | 7 | 5 | 6 | 99 | IV |
| ჰოლანდია | 6 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 56 | V |
| პორტუგალია | 3 | 5 | - | 1 | 1 | 1 | 36 | VI |
| ბელგია | - | 1 | 1 | 3 | 3 | 4 | 26 | VII |
| საფრანგეთი | 1 | 4 | - | 2 | 1 | 2 | 26 | VII |
| შოტლანდია | 1 | 1 | - | 1 | 2 | 2 | 18 | IX |
| შვედეთი | - | 1 | 2 | - | - | - | 11 | X |

ტურისტული ფირმა ჯორჯიან ტურისტ სერვისი
გთავაზობთ დასვენებას
ანტალიაში (კემერის მხარე)
პირდაპირი ავიარეისით
თბილისი-ანტალია-თბილისი
ფასები მისაწვდომია — 575 ლარი და ზემოთ
დაგვირეკეთ: 38 54 12
ქ. შარტავას 7, შრომის სასახლის შენობა, II სართული

პირველად ისტორიაში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 24 ქვეყანაა წარმოდგენილი!

ჭეშმარიტად დრონი მეფობენ, თორემ ამ ორიოდე წლის წინ, როცა ფიფას პრეზიდენტმა ჟოაოლ ავლანჟმა ამ ორგანიზაციის ეგიდით 20 წლამდე ფეხბურთელთა შორის მსოფლიო თასის ანალოგიური ტურნირის ჩატარების იდეა წამოაყენა, ბევრმა შორს დაიჭირა. თუმცა უმრავლესობა მაინც მიემხრო ავლანჟის იდეას: ფიფას მიერ ეროვნული ფედერაციებისთვის დაგზავნილი 140 ანკეტიდან 87 დადებითი პასუხით დაბრუნდა, 36 ფედერაცია გამოკვეთილი პოზიციის გარეშე დარჩა და მხოლოდ 16 იყო კატეგორიული წინააღმდეგი. საინტერესოა რომ მათ შორის იყვნენ ბელგია, ჰოლანდია, დანია, ინგლისი, შოტლანდია, მაშინ ჯერ კიდევ შუაზე გახლეჩილი გერმანიის ორივე ნაწილი.

ასეა თუ ისე, 1977 წლის ზაფხულში ტუნისმა პირველ ტურნირს უმასპინძლა. პირველი გამარჯვებული კი საბჭოთა კავშირის ნაკრებია! საბჭოელები მაშინ მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელებით იყვნენ წარმოდგენილი: ბალტაჩა, ბესონოვი, ბალი, ხიდიატულინი. სამწუხაროდ ამ გუნდში არ იყვნენ ჩვენი თანამემამულეები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩემპიონს სოლიდური კონკურენციის დაძლევა მოუხდა და ფინალშიც მხოლოდ პენალტების სერიაში გაიმარჯვა. პირველი ორი გათამაშება არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა და ფიფას იუნიორთა ტურნირად იწოდებოდა. 1981 წლიდან ანუ მესამე ჯერზე კი იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური სტატუსი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ფინანსური საკითხიც ძალიან სარფიანად და იმდროინდელი ფეხბურთისთვის საკმაოდ ნოვატორულადაც მოგვარდა: ავლანჟმა მოახერხა ფირმა „კოკა-კოლას" დაინტერესება, რითაც გადაჭრა უკანასკნელი, მაგრამ უმთავრესი, ფინანსური პრობლემა. ამის სანაცვლოდ გამაგრილებელი სასმელის მწარმოებელი გიგანტის სახელი ტურნირის ოფიციალურ დასახელებაში ჩაირთო: კოკა-კოლას მსოფლიოს თასი. როგორც მსოფლიო ჩემპიონატს შეეფერება, ამ ტურნირისთვის სპეციალურად დამზადდა გამარჯვებულისთვის გადასაცემი თასი. საინტერესოა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებთა შეჯიბრში გამარჯვებულთა ჯილდო, ფიფას გადაწყვეტილებით, 25 წლამდე ავტორთა შორის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული პროექტის მიხედვით უნდა დამზადებულიყო. მართლაც, კონკურსი მოეწყო და ჟიურის განსახილველად 92 პროექტი შესთავაზეს. გამარჯვება როჩესტერის კოლეჯის სტუდენტის, 24 წლის ამერიკელი რიჩარდ კობლის პროექტს მიენიჭა და ავტორს, რომლის თასიც აგერ უკვე ორი ათეული წელი ფიფას კალენდარში რანგით მეორე შეჯიბრში გამარჯვებულს გადაეცემა, პრემიის სახით 1 500 (ათას ხუთასი) დოლარი გადაეცა!

# მომავლის რეპეტიცია



ბოლო ჩემპიონატში გამარჯვებული არგენტინის ნაკრები

ეს ტურნირი ჩვენთვის იმითაც არის განსაკუთრებული, რომ 1985 წლის გათამაშების ერთ-ერთ ჯგუფს, როგორც გაირკვა — უძლიერესს, თბილისმა უმასპინძლა. აქ იასპარეზეს ირლანდიის, ესპანეთის, საუდის არაბეთისა და ბრაზილიის გუნდებმა. აქვე გაიმართა ერთი მეოთხედფინალური მატჩიც. მაგრამ რა მატჩი! ერთმანეთის პირისპირ ორი სამხრეთამერიკული ქვეყნის ბრაზილიისა და კოლუმბიის წარმომადგენლები წარსდგნენ. ბრაზილიამ 6:0 გაანადგურა მეტოქე, მომდევნო ეტაპზეც წარმატებით იასპარეზა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელებმა ფინალში მათივე ჯგუფიდან გასული ესპანეთი დაამარცხეს. აი, რა გუნდები თამაშობდნენ თბილისში!

აქვე მოყვანილ ჩემპიონთა შემადგენლობებს რომ გადავხედოთ, უამრავ სახელგანთქმულ ფეხბურთელს აღმოვაჩენთ. ამას ისიც დავუმატოთ უტიტულოდ დარჩენილთა რიგებში რამდენი ცნობილი გვარის პოვნა შეიძლება... მარადონათი დაწყებული და ვან ბასტენით დამთავრებული!

იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი მართლაც ფეხბურთის ხვალინდელი დღის გასაცნობ ტურნირად იქცა. ეს ამ შეჯიბრების მიმართ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის და მნიშვნელობასაც მატებს — ლოკალური ტურნირის ჩარჩოებს ცდება. ასე იქნება მალაიზიაშიც. მაყურებელს, იქნება ეს რიგითი გულშემატკივართ თუ პროფესიონალი მწვრთნელი, აინტერესებს არა მარტო ის თუ ვინ დაეუფლება საპატიო თასს, არამედ ისიც თუ რომელი ფეხბურთელის იმედი შეიძლება ჰქონდეს მომავალში ან თუნდაც უახლოეს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**ზურაბ ინასარიძე**

**A ჯგუფი**

16 ივნისი
მალაიზია — მაროკო
17 ივნისი
ურუგვაი — ბელგია
19 ივნისი
მალაიზია — ურუგვაი
მაროკო — ბელგია
22 ივნისი
მალაიზია — ბელგია
მაროკო — ურუგვაი

**B ჯგუფი**

17 ივნისი
კორეა — ს. აფრიკა
საფრანგეთი — ბრაზილია
19 ივნისი
კორეა — საფრანგეთი
აფრიკა — ბრაზილია
22 ივნისი
კორეა — ბრაზილია
ს. აფრიკა — საფრანგეთი

**C ჯგუფი**

17 ივნისი
განა — ირლანდია
ჩინეთი — აშშ
19 ივნისი
განა — ჩინეთი
ირლანდია — აშშ
22 ივნისი
განა — აშშ
ირლანდია — ჩინეთი

**D ჯგუფი**

18 ივნისი
იაპონია — ესპანეთი
კოსტა რიკა — პარაგვაი
20 ივნისი
იაპონია — კოსტა რიკა
ესპანეთი — პარაგვაი
23 ივნისი
იაპონია — პარაგვაი
ესპანეთი — კოსტა რიკა

**E ჯგუფი**

18 ივნისი
უნგრეთი — არგენტინა
ავსტრალია — კანადა
20 ივნისი
უნგრეთი — ავსტრალია
არგენტინა — კანადა
23 ივნისი
უნგრეთი — კანადა
არგენტინა — ავსტრალია

**F ჯგუფი**

18 ივნისი
მექსიკა — საემიროები
კოტ დივუარი — ინგლისი
20 ივნისი
მექსიკა — კოტ დივუარი
საემიროები — ინგლისი
23 ივნისი
მექსიკა — ინგლისი
საემიროები — კოტ დივუარი

**მერვედფინალი**

25 ივნისი
1) B1 - ACD3, 2) A1 - CDE3,
3)F2 - B2, 4) C2 - D2
26 ივნისი
5) E1 - D2, 6) C1 - EBF3,
7) D1 - BEF3, 8) F1 - E2

**მეოთხედფინალი**

29 ივნისი
9) 1- 4, 10) 6 - 2
11) 8 - 3 12) 7 - 5

**ნახევარფინალი**

2 ივლისი
10 - 11
9 - 12

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

5 ივლისი

**ფინალი**

5 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1977 | ტუნისი | სსრკ | მექსიკა | ბრაზილია | ურუგვაი |
| | ნოვიკოვი (ხივუზა), კრიაჩკო, ბალტაჩა, კაპლუნი, ილინი, ბალი, ბესონოვი, ხიდიატულინი, ბიჩკოვი, სოპკო, ბოდროვი | | | | |
| 1979 | იაპონია | არგენტინა | სსრკ | ურუგვაი | პოლონეთი |
| | გარსია, ხიმონი, კარაბელი, როხი, ალვესი, ბარბასი, რინალდი (მაცა), მარადონა, ესკუდერო, დიასი, კალდერონი | | | | |
| 1981 | ავსტრალია | გერმანია | ყატარი | რუმინეთი | ინგლისი |
| | ვოლბორნი, ვინკლჰოფერი, ცორკი, შმიდკუნცი, ტრიბი, ზივერსი (ბრუნერი), შიონი, ლოზე, ანთეზი, ვოლფარტი, ბრუმერი (ჰერბსტი) | | | | |
| 1983 | მექსიკა | ბრაზილია | არგენტინა | პოლონეთი | კორეა |
| | უგო, ეიტორი, გუტო, ბონი, ჟორჟინიო, დუნგა, ჟილმარი (დემეტრიუ), ჯოვანი, მაურიზინიო, მარინიო (ბებეტო), პაულინიო | | | | |
| 1985 | სსრკ | ბრაზილია | ესპანეთი | ნიგერია | სსრკ |
| | ტაფარელი, ლუსიანო, ლუის კარლოსი, ჟოაუ, ენრიკე, დიდა, სილასი (მარკალი), ტოზინი, ჟერსონი (ანტონიო კარლოსი), მიულერი, ბალალო | | | | |
| 1987 | ჩილე | იუგოსლავია | გფრ | გდრ | ჩილე |
| | ლეკოვიჩი, იანკოვიჩი, ბრნოვიჩი, იარნი, ბობანი, პავლიჩიჩი, პავლოვიჩი (ციროევიჩი), პეტრიჩი, ზვონიმირ ბობანი, მიჯიჩი, შუკერი | | | | |
| 1989 | საუდის არაბეთი | პორტუგალია | ნიგერია | ბრაზილია | აშშ |
| | ბისარუ, ვალიდუ, სილვა აბელი, პაულუ მადეირა, მორგადო, ელიო, ტოზე, ფილიპე, ჟორჟე კოუტუ, ამარალი (პაულუ ალვეში), ჟოაუ პინტუ (ფილია) | | | | |
| 1991 | პორტუგალია | პორტუგალია | ბრაზილია | სსრკ | ავსტრალია |
| | ბრასარი, ნელსონი (ტულიპა, კაპუჩუ), ჟორჟე კოშტა, რუი ბენტუ, პაულუ ტორეში, პაიში, რუი კოშტა, ფიგუ, ჟოაუ პინტუ I, ჟილი, ტონი | | | | |
| 1993 | ავსტრალია | ბრაზილია | განა | ინგლისი | ავსტრალია |
| | დიდა, რუნო, ჟელსონი, ჟუარეზი, მარზელინიუ, კატე, პარეირა (კაიკუ), ჯანი, ადრიანუ (ანჟელი), იანი, ერმესი | | | | |
| 1995 | ყატარი | არგენტინა | ბრაზილია | პორტუგალია | ესპანეთი |
| | ირიგოიტია (პესუტი), პენია, დომინგესი, ლომბარდი, მარიანო, სორინი, ლაროსა, იბაგასა, ბიაჯინი (გერერო), კოიეტე, ჩაპარო (არანჯო) | | | | |

ცხრილში მოცემულია ტურნირის ჩატარების წელი, ადგილი, ჩემპიონი და პრიზიორები, აგრეთვე ფინალში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა

# აინს, ცვაი, დრაი

გერმანელები რიდლესა და რიკენს უნდა უმადლოდნენ სწორედ მათი გოლების წყალობით დაამარცხა დორტმუნდის „ბორუსიამ" „იუვენტუსი" და გერმანელებს მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის სამი საგზური ერგოთ. ევროპულ კლუბთა ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრში თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია", ქვეყნის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" და ვიცე-ჩემპიონი ლევერკუზენის „ბაიერი" იასპარეზებენ.

ჩემპიონთა ლიგა იერს იცვლის. ექვს ჯგუფში ოთხ-ოთხი გუნდი იქნება. აქედან გამარჯვებულნი და მეორე ადგილზე გასულთაგან ორი საუკეთესო მეოთხედფინალში შეერკინებიან ერთმანეთს. ჯგუფებში, საკვალიფიკაციო თამაშების გარეშე, ხუთი წლის შედეგების გათვალისწინებით შედგენილ უეფას რეიტინგში პირველ შვიდ ადგილზე გასული ქვეყნების ჩემპიონები და ჩემპიონთა თასის მფლობელი მოხვდებიან. ესენი არიან დორტმუნდის „ბორუსია", მიუნხენის „ბაიერნი", ტურინის „იუვენტუსი", მადრიდის „რეალი" ან „ბარსელონა", „მონაკო", „ეინდჰოვენი", „პორტუ" და „მანჩესტერ იუნაიტედი".

ბუნდესლიგაში მეორემ, „ბაიერმა" ჯგუფში მოხვედრის უფლება უნდა მოიპოვოს. პირველი შვიდი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები და მეთხუთმეტე ადგილამდე ჩემპიონები საკვალიფიკაციო შეჯიბრში დანარჩენი ქვეყნების პირველი ადგილის მფლობელებს დაელოდებიან, რომლებიც წინასწარ წრეში შეხვდებიან ერთმანეთს. წილისყრა 9 ივლისს გაიმართება. თუ „ბაიერმა" კვალიფიკაცია გაიარა, მას „ბორუსიასთან" და „ბაიერნთან" ერთ ჯგუფში არ გაამწესებენ.

ის გუნდი, რომელიც საკვალიფიკაციო წრეს ვერ გასცდება, უეფას თასის გათამაშებაში გადავა. ამ შეჯიბრში ინტერტოტოს ტურნირის სამი გამარჯვებულიც ჩაებმება. ინტერტოტოს თასი 21 ივნისს დაიწყება და უეფას თასის საკვალიფიკაციო შეხვედრების წინ, 30 ივლისს დამთავრდება.

| | | |
|---|---|---|
| 1 | იტალია | 40,736 |
| 2 | ესპანეთი | 46,532 |
| 3 | საფრანგეთი | 45,733 |
| 4 | გერმანია | 43,950 |
| 5 | ჰოლანდია | 36,600 |
| 6 | პორტუგალია | 34,800 |
| 7 | ინგლისი | 30,816 |
| 8 | თურქეთი | 25,000 |
| 9 | საბერძნეთი | 25,000 |
| 10 | ავსტრია | 24,950 |
| 11 | რუსეთი | 24,866 |
| 12 | ბელგია | 24,400 |
| 13 | დანია | 22,950 |
| 14 | შვეცია | 22,750 |
| 15 | ნორვეგია | 22,249 |
| 16 | ჩეხეთი | 21,666 |
| 17 | შვეიცარია | 21,500 |
| 18 | პოლონეთი | 19,500 |
| 19 | შოტლანდია | 18,800 |
| 20 | რუმინეთი | 18,650 |
| 21 | ხორვატია | 18,500 |
| 22 | უკრაინა | 17,996 |
| 23 | კვიპროსი | 16,885 |
| 24 | ისრაელი | 16,416 |
| 25 | უნგრეთი | 16,249 |
| 26 | სლოვაკეთი | 15,999 |
| 27 | საქართველო | 15,999 |
| 28 | ლატვია | 13,832 |
| 29 | სლოვენია | 12,998 |
| 30 | ფინეთი | 12,082 |
| 31 | ბელარუსი | 11,500 |
| 32 | ისლანდია | 10,999 |
| 33 | ბულგარეთი | 10,666 |
| 34 | მაკედონია | 7,333 |
| 35 | ლიტვა | 6,000 |
| 36 | მოლდოვა | 6,000 |
| 37 | ჩრ. ირლანდია | 5,332 |
| 38 | ლიხტენშტაინი | 5,000 |
| 39 | უელსი | 4,999 |
| 40 | იუგოსლავია | 4,750 |
| 41 | ესტონეთი | 4,666 |
| 42 | მალტა | 4,664 |
| 43 | ირლანდია | 4,331 |
| 44 | სომხეთი | 4,166 |
| 45 | ლუქსემბურგი | 3,666 |
| 46 | ფარერები | 3,000 |
| 47 | ალბანეთი | 2,666 |
| 48 | აზერბაიჯანი | 1,833 |

# მადრიდის პატარა მეფე

**რაულ გონსალეს ბლანკო**
დაიბადა 1977 წლის 27 ივნისს მადრიდში.
სიმაღლე: 174 სმ. წონა: 66 კგ.
1995 წლიდან „რეალის" ძირითად გუნდშია.
კონტრაქტი: 2006 წლამდე.



მუდმივი დავა: რეალი — ბარსელონა. რაულის შეჩერებას ამჯერად გვარდიოლა ცდილობს

იგი ესპანეთის დედაქალაქის ღარიბულ უბანში დაიბადა, ცხრამეტი წლისა კი ესპანური ფეხბურთის იმედად იქცა. იქ უკვე დიდი ხანია, აღარ დგას საკითხი, ვინ არის მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელი, „ბარსელონაში" მოთამაშე ბრაზილიელი რონალდო თუ მათი თანამემამულე — რაული. მეორე დღესვე, როცა რონალდო წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ესპანელ გულშემატკივართა გამოკითხვაში რაულმა გაიმარჯვა, მან 50 000 ხმა მიიღო, ბრაზილიელს კი მხოლოდ 13 000 კაცმა დაუჭირა მხარი.

ესპანეთში „რაულმანია" მძვინვარებს. „რეალისა" და „ბარსას" ორთაბრძოლა კი რაულ — რონალდოს პაექრობაში გადაიზარდა.

— გავიგე, რომ რონალდო დაახლოებით 70 მილიონ დოლარადაა შეფასებული — თქვა „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა და დასძინა — მაშინ რაული, სულ ცოტა, 90 მილიონი უნდა ღირდეს.

თუ მოთამაშეს ამ თანხად გაყიდიან, კლუბი 100 მილიონიანი ვალის გადახდას მოახერხებს. თუმცა, მადრიდელები ამაზე არც კი ფიქრობენ და ახალი ფეხბურთელების შესაძენად საკრედიტო კომპანია „დორნას" 60 მილიონი მარკა გამოსთხოვეს.

წარმატების მისაღწევად ფულს „რეალი" არასოდეს ზოგავდა. ჰოლანდიელი ლეო ბენჰაკერის კლუბიდან გაშვება ექვსი მილიონი დაუჯდათ, ფაბიო კაპელო წელიწადში 4,5 მილიონს იღებს. ეს, როგორც გამოჩნდა, ჭკვიანური დაბანდება იყო.

„რეალმა" რაული დაახლოებით 30 000 დოლარად შეიძინა და სამეფო კლუბის ამალაში თავი უცხოდ რომ არ ეგრძნო, მის ოჯახს სტადიონის სიახლოვეს სახლი უყიდა. აქედან დაიწყო რაულის საფეხბურთო და ფინანსური აღზევება.

17 წლისამ „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა „სარაგოსას" წინააღმდეგ. ახლა ის ეროვნული ნაკრების წევრია, იუპ ჰაინკესი კი მას მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად მიიჩნევს.

რაული პატივმოყვარე ადამიანია. ერთხელ კორესპონდენტს მიკროფონში ჩასძახა: „მსურს, ისეთივე გავხდე, როგორიც პელე იყო". მაგრამ საფეხბურთო ამბიციები ხელს არ უშლის, ერთგულად ემსახუროს თავის გუნდს. „მისი გვარი რაულოვიჩი, ანაც რაულინო რომ ყოფილიყო, ის უკვე დიდი ხანია, ვარსკვლავი იქნებოდა" — წერდნენ ესპანური გაზეთები.

რაული სამაგალითოა ესპანელთათვის. სამეფო კლუბში ის თავისი შრომის შესაბამის მეფურ გასამრჯელოსაც იღებს — წელიწადში 2,5 მილიონამდე. მადრიდელთათვის რაულ გონსალესი უკვე უკვდავთა სიაშია. „ატლეტიკოსთან" ბრწყინვალე თამაშის შემდეგ გულშემატკივრებმა ფეხბურთელის ცვილის ფიგურა ჩამოასხეს და მუზეუმში დადგეს.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

## იტალია

# 100 წლის ახალგაზრდა ბებერი

1997 წლის 13 აპრილს, წინა ტურში „მილანის“ სტუმრად 6:1 განადგურებისა და შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „აიაქსის“ ძლევის შემდეგ, „იუვენტუსი“ შინ მარცხდება „უდინეზესთან“. თანაც, უბრალოდ როდი აგებს — 0:3! „რაც მოხდა, მოხდა. ამისგან დრამა არ უნდა შევქმნათ — უნდა მივიღოთ, როგორც ფაქტი“ — ამბობს მარჩელო ლიპი. მოდით, ამჯერად ჩვენც ყველაფერი მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით აღვწეროთ.

ისტორიიდან: 1897 წელს ოპტიკური ნაკეთობებით მოვაჭრე ტურინელი ედუარდო ბოზიო საქმიანი ვიზიტით ლონდონს ესტუმრა. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა სინიორმა თან ფეხბურთის წესები და ბურთი ჩაიტანა. ბურთი, რომლის ფასიც — 60 ლირა — იმდროინსათვის მეტად დიდი ფული იყო. სწორედ ამ კაცის და ამ ბურთის გარშემო



შეიკრიბნენ ქალაქის ერთ-ერთი გიმნაზიის სტუდენტები და 1 ნოემბერს ახალი კლუბი — „იუვენტუსი“ (ოღონდ ინგლისურ ყაიდაზე — „სპორტ კლაბი“, ორ წელიწადში „ფუტბოლ კლაბად“ რომ გადაკეთდა) დააარსეს.

საფეხბურთო სამყაროსთვის, ალბათ, დაახლოებით ერთია მაშინდელი 60 ლირა და ახლანდელი 20 ათასი დოლარი, თანხა, რომელიც „იუვენტუსმა“ სოფლის გუნდ „კარარეზეს“ გადაუხადა და სანაცვლოდ მორენო ტორიჩელი იყიდა. ცხადია, სულ ასეთი იაფფასიანი „საქონლისაგან“ როდი შედგება „იუვე“, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს — დღევანდელ გუნდში, ქვეყნის ჩემპიონობა 24-ედ რომ მოიპოვა, 20-ათასიანიც და 7-მილიონიანიც თანაბარწლილიანია. ანდა, რატომ აქამდე არ დაიქუხა 31 წლის მიკელე პადოვანომ, რომლისთვისაც „იუვენტუსი“ კარიერაში მეშვიდე გუნდია? პასუხი ერთია — „იუვე“, მითუმეტეს მარჩელო ლიპის ხელში, სულ სხვაა.

კვლავ ისტორიიდან: 1899 წელს კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა ენრიკო კამფარომ ტურინში მცხოვრებ ინგლისელს, ჯონმე გუდლის სთხოვა, გუნდისთვის სათამაშო ფორმის ყიდვაში დამეხმარეო, ისიც ადგა და ნოტინგემიდან 12 კომპლექტი გამოაგზავნინა. მაისურის ფერები შეთანხმებული არ ყოფილა და როცა ინგლისიდან თეთრ-შავი ვერტიკალურზოლებიანი მაისურები მიიღეს, ბევრი უკმაყოფილო დარჩა.

...ჰმ, უკმაყოფილონიც დარჩენილან! ახლა თუნდაც ერთი ცალი იმ ფორმისა რა ეღირება, კაცმა არ იცის. ის კი არა, ახლანდელ მაისურებზე არ იყო, ხალხმა ერთმანეთს ლამის თავ-პირი რომ დაამტვრია?! გეხსომებათ, იმ შეხვედრაში, ბერგამოში რომ ჩატარდა და „იუვემ“ წლევანდელი ჩემპიონობა ოფიციალურად რომ გაიფორმა, ხალხმა მოედანზე დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შეაღწია და კერპებს მაისურები გახადა. ამიტომაც იყო, კარგა ხნის შემდეგ გუნდებმა ის სამი წუთიც რომ ითამაშეს, იმ შეხვედრაში გოლის ავტორ ჯულიანოს... ტორიჩელის მაისური ეცვა. ცხადია, ამას ხელი არავისთვის არაფერში შეუშლია, მაგრამ ერთი საინტერესო აზრი წარმოშვა — „იუვენტუსში“ ძირითადი და სათადარიგო მოთამაშე, სახელგანთქმული და დებიუტანტი, სულ ერთია. სანამ გუნდს მარჩელო ლიპი წვრთნის, ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია გამარჯვების მოტანა. მოიტანეს კიდეც. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ:

ამ სეზონში გუნდს ტრავმათა არნახული ეპიდემია დაატყდა თავს — ერთი ხანობა ლამის მთელი შეტევის ხაზი მკურნალობდა;

როგორც ყოველთვის, გუნდი იტალიასა და ევროპაში არსებულ ყველა შეჯიბრში იყო ჩართული, მისი 10 მოთამაშე კი დამატებით თავიანთი ეროვნული გუნდების ღირსების დაცვასაც ასწრებდა;

გუნდმა სეზონი წარუმატებლად დაიწყო — პირველ ტურში აწ უკვე სერია A-დან გავარდნილ „რეჯანას“ ვერ მოუგო (1:1), მეორე ტურში კიდევ ერთი მაჩანჩალა „კალიარი“ შინ რის ვაი-ვაგლახით სძლია (2:1), მეხუთე ტურში კი მეორე მარცხიც იწვნია „ვიჩენცასთან“ (1:2).

მაგრამ ყველაფერი მაინც კარგად დამთავრდა. მარჩელო ლიპიმ ყველაფერს ალღო აუღო და მეცამეტე ტურიდან მოყოლებული, „იუვენტუსს“ არავისთვის დაუთმია ცხრილის უმაღლესი საფეხური. სიმართლე თუ გნებავთ, ამაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ სხვა, კონკურენტ გუნდებშიც ვერ იყო საქმე მთლად დალაგებული. აკი თქვა კიდეც კლუბის ერთ-ერთმა მოხელემ იანვარში, „პარმასთან“ ჩემპიონატში მესამე და, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, უკანასკნელი მარცხის შემდეგ — დიახ, პრობლემა ბევრი გვაქვს, მაგრამ რაკი მაინც პირველ ადგილზე ვართ, სხვა გუნდებს უფრო მეტი პრობლემა ჰქონიათ, მაშ რაღაა სანერვიულო?

ლიპის აქეთ ტაქტიკურ სქემათა ცვლა, იქით მოთამაშეთა ფსიქოლოგიური დამოძღვრა დასჭირდა. „რამდენჯერმე გავუმეორე ჩემს ფეხბურთელებს, რომ ჯერ ჩემპიონები არა ვართ“ — ამბობდა იგი იანვრის „კრიზისის“ დროს. ცხადია, სიტყვა კრიზისი აქ პირობითადაა ნახსენები, თორემ იგივე იანვარში სუპერთასზე „პარი სენ ჟერმენის“ განადგურება რომ გავიხსენოთ... ტაქტიკას რაც შეეხება, აქ თავიდან სამი თავდამსხმელით თამაში ირჩია ლიპიმ, მაგრამ ზემოთ ნახსენებ ფორვარდთა ტრავმების სერიალი რომ დაიწყო, უმალვე კლასიკურ 4-4-2-ზე გადააკეთა გუნდი და ალჟირელი ფრანგი ზიდანიც გამთამაშებლად გაამწესა. მოაკლდა გუნდს რამე? არაფერი. ლიპი ყოველთვის პოულობდა დაშავებულთა თუ დისკვალიფიცირებულთა ღირსეულ შემცვლელს. „ეს იყო მეცნიერული ჩემპიონობა“ — წერდა „ლა სტამპა“. „13 ან 14 კაცთან მუშაობა ბევრს შეუძლია, მაგრამ ოცთან — ლიპის გარდა არავის“ — აღფრთოვანებას არ მალავდა „რეპუბლიკა“.

ცხადია, გუნდის დაარსების 100 წლისთავს, ჩემპიონობასთან ერთად, მორიგი ჩემპიონთა თასიც დაამშვენებდა, მაგრამ „იუვე“ დამარცხდა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ლიპის შეცდომებზე თუ თავდაჯერებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია. უბრალოდ, მჯობნის მჯობნიო, ხომ თქმულა — თან, ვფიქრობთ, ერთ თამაშში ამ თეორიას გაცილებით მეტი გასაქანი აქვს.

ზეიმი ზეიმად და იუბილე იუბილედ: „იუვენტუსი“ უკვე გასულ სეზონში წარმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ემზადება. ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო მიუნხენში წაგების გამო ხდება. ლიპის თქმით, აშკარად გასაძლიერებელია თავდასხმის ხაზი. მართლაც, გუნდი, რომელიც საუკეთესო იყო ლიგაში გაშვებული ბურთების ოდენობით, გატანილით... ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ 51 გოლი გაიტანა, სერია B-ში ჩაქვეითებულმა „პერუჯამ“ კი — 48 ანუ ტურინელებზე მხოლოდ სამით ნაკლები. ასეა თუ ისე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჯოვანი ანიელი, რომლის ოჯახიც 1923 წლის 24 ივლისიდან ფლობს ამ კლუბს (პირველი პრეზიდენტი ანიელთაგან „ფიატის“ დამაარსებლის შვილი, ედუარდო გახლდათ), არაფერს დაიშურებს, რათა... „ეგებ ახლა ექვსი ჩემპიონატი ზედიზედ მოიგო, მესამე ვარსკვლავს მინდა მოვესწრო“ — უთხრა 24-ე ჩემპიონობისადმი მიძღვნილი პურმარილზე ჯოვანი ანიელიმ მარჩელო ლიპის (ყოველ ათ სკუდეტოზე გუნდს მაისურზე ერთ ვარსკვლავის ტარების უფლება ეძლევა). მართალია, „მეცნიერმა“ მწვრთნელმა წინადადება ცოტა შორს დაიჭირა — ზედიზედ ექვსი რა ამბავია, მაგრამ სულ ჩემპიონობისთვის კი ნამდვილად ვიბრძოლებო — მაგრამ „იუვენტუსისგან“ ყველაფერი მოსალოდნელია: ის ხომ მარად „იუვენტუსი“ (ახალგაზრდობა) და მარად „ვეკია სინიორაა“ (ბებერი ქალბატონი), ხოლო, რა შეუძლია ერთდროულად ბებერსა და ახალგაზრდას, ჯერ ვერავის დაუდგენია.

**ბიბა ძოზახიძე**

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 1:1 | 2:0 | 2:2 | 0:3 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 1:1 | 2:1 | 4:1 | 2:1 | 3:2 | 3:1 | 34 | 17 | 14 | 3 | 51:24 | 65 |
| 2 | პარმა | 1:0 | | 1:0 | 2:0 | 0:2 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 3:0 | 3:2 | 1:0 | 1:2 | 1:0 | 3:2 | 34 | 18 | 9 | 7 | 41:26 | 63 |
| 3 | ინტერი | 0:0 | 3:1 | | 1:1 | 1:1 | 3:4 | 0:2 | 0:1 | 2:2 | 2:0 | 3:1 | 3:1 | 3:2 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 34 | 15 | 14 | 5 | 51:35 | 59 |
| 4 | ლაციო | 0:2 | 2:1 | 2:2 | | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 1:0 | 3:2 | 3:0 | 0:0 | 3:2 | 2:1 | 2:0 | 4:1 | 4:1 | 6:1 | 34 | 15 | 10 | 9 | 54:37 | 55 |
| 5 | უდინეზე | 1:4 | 3:1 | 0:1 | 2:3 | | 4:5 | 2:2 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:0 | 4:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 34 | 15 | 9 | 10 | 53:41 | 54 |
| 6 | სამპდორია | 0:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 4:0 | | 1:2 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 1:2 | 0:1 | 4:1 | 3:0 | 5:2 | 0:0 | 3:0 | 34 | 14 | 11 | 9 | 60:46 | 53 |
| 7 | ბოლონია | 0:1 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 2:1 | | 0:0 | 0:2 | 3:1 | 1:2 | 3:2 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 6:1 | 3:2 | 34 | 13 | 10 | 11 | 50:44 | 49 |
| 8 | ვიჩენცა | 2:1 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 2:0 | 1:1 | 2:0 | | 3:2 | 4:1 | 2:0 | 0:2 | 2:2 | 2:0 | 1:1 | 4:1 | 0:0 | 2:0 | 34 | 12 | 11 | 11 | 43:38 | 47 |
| 9 | ფიორენტინა | 1:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 2:3 | 1:1 | 3:2 | 2:4 | | 0:0 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 1:1 | 4:1 | 2:0 | 3:0 | 34 | 10 | 15 | 9 | 46:41 | 45 |
| 10 | ატალანტა | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 1:1 | 3:1 | 2:2 | | 0:2 | 0:4 | 2:2 | 4:1 | 4:0 | 2:2 | 1:0 | 1:0 | 34 | 11 | 11 | 12 | 44:46 | 44 |
| 11 | მილანი | 1:6 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 1:1 | | 1:1 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 3:0 | 4:1 | 3:1 | 34 | 11 | 10 | 13 | 43:45 | 43 |
| 12 | რომა | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 0:3 | 1:4 | 1:1 | 2:0 | 3:3 | 0:2 | 3:0 | | 1:0 | 3:1 | 3:1 | 4:1 | 4:3 | 2:2 | 34 | 10 | 11 | 13 | 46:47 | 41 |
| 13 | ნაპოლი | 0:0 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 3:2 | 1:0 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 1:0 | | 1:1 | 1:1 | 4:2 | 1:0 | 1:0 | 34 | 9 | 14 | 11 | 38:45 | 41 |
| 14 | კალიარი | 0:0 | 0:1 | 1:2 | 0:0 | 1:2 | 3:4 | 2:2 | 2:1 | 4:1 | 2:0 | 1:1 | 2:1 | 1:1 | | 1:0 | 2:1 | 3:2 | 1:1 | 34 | 9 | 10 | 15 | 45:55 | 37 |
| 15 | პიაჩენცა | 1:1 | 0:0 | 0:3 | 1:3 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 3:1 | 3:2 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 2:1 | 2:0 | 3:0 | 34 | 7 | 16 | 11 | 29:45 | 37 |
| 16 | პერუჯა | 1:2 | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 5:1 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 3:2 | 1:1 | | 3:1 | 1:3 | 34 | 10 | 7 | 17 | 48:62 | 37 |
| 17 | ვერონა | 0:2 | 1:2 | 0:1 | 1:1 | 3:2 | 1:1 | 0:2 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 2:2 | 0:0 | 2:0 | | 2:4 | 34 | 6 | 9 | 19 | 38:64 | 27 |
| 18 | რეჯანა | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:2 | 0:0 | 1:1 | 1:3 | 0:0 | 0:0 | 0:3 | 0:3 | 1:1 | 1:1 | 0:3 | 0:0 | 1:4 | 2:2 | | 34 | 2 | 13 | 19 | 28:67 | 19 |

**თასის ფინალი:** ვიჩენცა — ნაპოლი 0:1, 3:0

## Juventus Football Club

დაარსდა 1897 წელს.
იტალიის ჩემპიონი 1905, 26, 31, 32, 33, 34, 35, 50, 52, 58, 60, 61, 67, 72, 73, 75, 77, 78, 81, 82, 84, 86, 95, 97 წლებში.
იტალიის თასის მფლობელი 1938, 42, 59, 60, 65, 79, 83, 90, 95 წლებში.
ჩემპიონთა თასის მფლობელი 1985, 96 წლებში.
თასების თასის 1984 წლის მფლობელი.
უეფას თასის მფლობელი 1977, 90, 93 წლებში.
ევროპის სუპერთასის მფლობელი 1984, 96 წლებში.
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1985, 96 წლებში.

### მწვრთნელი

### მარჩელო ლიპი



დაიბადა 1948 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში. ფეხბურთელობისას თამაშობდა „სამპდორიასა“ (1972-81. 239 მატჩი, 7 გოლი) და „ლუკეზეში“ (1981-82). 1984 წლიდან მწვრთნელად მუშაობდა „სამპდორიაში“ (1984-85), „პონტედერაში“ (1985-86), „სიენაში“ (1987), „პისტოიეზეში“ (1987-88), „კარარეზეში“ (1988-89), „ჩეზენაში“ (1989-91), „ლუკეზეში“ (1991-92), „ატალანტაში“ (1992-93) და „ნაპოლიში“ (1993-94). 1994 წლის ივლისიდან „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელია.

### შემადგენლობა

მეკარეები

| | |
|---|---|
| ანჯელო პერუცი | 16.02.1970 |
| მიქელანჯელო რამპულა | 10.08.1962 |

მცველები

| | |
|---|---|
| ჩირო ფერარა | 11.02.1967 |
| მარკ ჯულიანო | 21.08.1973 |
| ჯანლუკა პესოტო | 11.08.1970 |
| პაოლო მონტერო, ურუგვაი | 3.09.1971 |
| სერჯიო პორინი | 8.11.1968 |
| მორენო ტორიჩელი | 23.01.1970 |
| ალესიო ტაკინარდი | 23.07.1975 |

ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| დიდიე დეშამპი, საფრანგეთი | 15.10.1968 |
| ანჯელო დი ლივიო | 26.07.1966 |
| ატილიო ლომბარდო | 6.01.1966 |
| ზინედინ ზიდანი, საფრანგეთი | 23.06.1972 |
| ვლადიმირ იუგოვიჩი, იუგოსლავია | 30.08.1969 |
| ანტონიო კონტე | 31.07.1969 |

თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| ალენ ბოკშიჩი, ხორვატია | 21.01.1970 |
| ნიკოლა ამორუზო | 29.08.1974 |
| ალესანდრო დელპიერო | 9.11.1974 |
| მიკელე პადოვანო | 28.08.1966 |
| კრისტიან ვიერი | 12.07.1973 |

## [illegible]

ჯერ მთავარზე — ევროპაში გაჭრილ იტალიურ დესანტზე: ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსი“ და ვიცე-ჩემპიონი „პარმა“ ითამაშებენ, თასების თასს „ვიჩენცა“ შეეჭიდება, უეფას თასზე გამსვლელი ოთხეული კი ასეთია — „ინტერი“, „ლაციო“, „უდინეზე“ და „სამპდორია“. მიუხედავად იმისა, რომ იტალიას ამჯერად ვერ წარადგენენ „მილანი“ (!) (ვისი ევროთასებზე არმონაწილეობაც, გასულ სეზონში ევროთასების მიღმა დარჩენილი მადრიდის „რეალის“ დარად, საერთოევროპულ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ) და „ფიორენტინა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შვიდეული მაინც უმრისხანეს ძალას წარმოადგენს: „იუვე“ ხომ ნებისმიერი საშინაო, საგარეო თუ საკონტინენტთაშორისო ტურნირების ფავორიტია, არც კარლო ანჩელოტის „პარმა“ იქნება ჩემპიონთა ლიგის აუტსაიდერი. რაც შეეხება „ვიჩენცას“, ვინც თავის ისტორიაში პირველად დაეუფლა რაიმე ჯილდოს, თუ თასების თასის წლევანდელ შემადგენლობას გადავხედავთ, არც ამის ფავორიტობაა არარეალური.

სიტყვამ „ვიჩენცა“ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ „უდინეზესთან“ ერთად ეს გუნდი იტალიის გასული სეზონის მთავარი აღმოჩენად იქცა. მართალია, ამ ასიათასიანი ქალაქის გუნდმა შარშანდელთან შედარებით ჩემპიონატში ოდენ ერთი საფეხურით წაიწია წინ, სამაგიეროდ, ქვეყნის თასი დაისაკუთრა. 1902 წელს დაარსებულმა „ვიჩენცამ“, ბოლო ოცი წელი B და C სერიებში რომ გაატარა, შარშანწინ შეძლო უმაღლეს ლიგაში დაბრუნება და აგერ პირველი წარმატებაც. ის კი არა, ჩემპიონატის დასაწყისში, მე-5 ტურში თვით „იუვენტუსიც“ კი დაამარცხა, მერე „რეჯანას“ მოუგო და 94-წლიან ისტორიაში პირველად მოექცა ცხრილის პირველ საფეხურზე. სწორედ მაშინ დაიწყეს ლაპარაკი „ვიჩენცაზე“, როგორც სერიოზულ გუნდზე, თორემ იქამდე მას მხოლოდ პაოლო როსისა და რობერტო ბაჯოს ბიოგრაფიებში თუ წააწყდებოდით, როგორც ამ ვარსკვლავების პირველ გუნდს. მაგრამ ბოლო ხანს ქალაქში გატარებული ძირფესვიანი ეკონომიკური ძვრები კლუბსაც დაეტყო. სეზონის წინ ორი ურუგვაელის — პენიაროლელი მარსელო ოტეროს და ნასიონალელი გუსტავო მენდესის, აგრეთვე ჯენოელი რობერტო მურჯიტას ყიდვა მოხერხდა და შედეგიც სახეზეა. თან გუნდის მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინიც არ ჩანს ხელწამოსაკრავი — მაშინ, როცა ყველა ჩემპიონატის ახალ ლიდერზე ალაპარაკდა, გვიდოლინი ამბობდა, მნიშვნელოვანი ჩვენი ლიდერობა კი არა, ჩვენი კარგი თამაშია, თორემ ისე, მე რეალისტი ვარ და ვიცი, რომ ბობოლები ბოლოს მაინც თავისას გააკეთებენო. ასეც მოხდა. ამასვე ამბობდა იმ დროს მეორე ადგილზე მყოფი „ბოლონიის“ მწვრთნელი რენცო ულივიერიც, რომლის გუნდმა საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა და უეფას თასზეც ითამაშებდა, „ინტერს“ რომ „შალკესთვის“ მოეგო.

ამათ გარდა აღსანიშნავია „უდინეზეს“ წარმატებაც. ევროპის ჩემპიონატის ფინალის გმირმა ოლივერ ბირჰოფმა და მისმა თანაგუნდელებმა შეძლეს ის, რასაც თავის დროზე ზიკომაც კი ვერ მიაღწია — გუნდი ევროპის დიდ მარაქაში გაიყვანეს. დააკვირდით საბოლოო ცხრილს — მარტო ჩემპიონთალიგელ „იუვენტუსთან“ და „პარმასთან“ სტუმრად მოგებები რად ღირს.

რაც შეეხება სეზონის განკიცხულებს, აქ ერთი რამ ხვალ გაირკვევა: ნეაპოლში „კალიარი“ და „პიაჩენცა“ გაარკვევენ ლიგიდან მეოთხე გავარდნილს. ჯერჯერობით არც სერია B-შია გარკვეული ვითარება — ერთადერთი „ბრეშიაა“, ვინც აღზევება გაინაღდა, დანარჩენ სამს კი ამ კვირის ბოლო ტური გაარკვევს.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 24 |
| მონტელა (სამპდორია) | 22 |
| ბალბო (რომა) | 17 |
| ტოვალიერი (კალიარი) | 16 |
| მანჩინი (სამპდორია) | 15 |
| ნეგრო (პერუჯა) | 15 |
| სინიორი (ლაციო) | 15 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 14 |
| კიეზა (პარმა) | 14 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 14 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 13 |
| ვეა (მილანი) | 13 |
| პოჯი (უდინეზე) | 13 |
| ბირჰოფი (უდინეზე) | 13 |
| მანიერო (ვერონა) | 13 |

## ფიგურული სრიალი

**ჩვენი თაობის ბავშვობისდროინდელი გატაცება ფიგურული სრიალით ტელევიზიის დამსახურება იყო. მაშინ სპორტის ამ სახეობის დიდი მოყვარულის ლეონიდ ბრეჟნევის ხათრით ცენტრალური ტელევიზია გვიანობამდე აჩვენებდა პირდაპირ რეპორტაჟებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიდან. იმ რეპორტაჟებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. იყო ერთი სჯა-ბაასი და კამათი: პეგი ფლემინგი სჯობდა თუ ჰანა მაშკოვა, ემერიხ დანცერი თუ ვოლფგანგ შვარცი...**

**ზოგჯერაც რუსი კომენტატორი გვამცნობდა — ესა თუ ის ვარსკვლავი პროფესიონალებში გადადის და ამიერიდან თვალით ველარ იხილავთო. ჩვეულებრივ, ეს სიტყვები გაკიცხვის ტონით ითქმოდა ხოლმე — აქაოდა, უცხოელი სპორტსმენები ფულისთვის რას არ კადრულობენო!**

**საბჭოელებს კი ამაზე ფიქრი აკრძალული ჰქონდათ. თუმცა, მაინც რომ ფიქრობდნენ, ეს ლუდმილა ბელოუსოვამ და ოლეგ პროტოპოპოვმა დაადასტურეს, როცა ოლიმპიური ჩემპიონები შვეიცარიაში დარჩნენ და პროფესიულ რევიუში დაიწყეს გამოსვლა.**

**სწორედ ეს ისტორია გამახსენდა, როცა ბესო ცინცაძეს ვესაუბრებოდი, „საბურთალოელ ბიჭს", რომელიც მეორე წელია, ნიუ იორკის ერთ-ერთი პროფესიული დასის სოლისტია.**



# კვაზიმოდო საბურთალოელი ბიჭია

**— ბესო, აკი ერთ ინტერვიუში თქვი — სპორტიდან მხოლოდ ნაგანოს ოლიმპიადის შემდეგ წავალო...**

— ასეც მქონდა განზრახული. ოლიმპიადაზე გამოსვლა ჩემი დიდი ოცნება იყო და ძალიან მწყდება გული, ეს ოცნება რომ ვერ ავისრულე.

ყველაფერს თავიდან გავიხსენებ.

უკვე 21 წელია, ფიგურულ სრიალს მივდევ. მშობლებმა 6 წლისა მიმიყვანეს საციგურაოზე. მოსწონდათ ეს სახეობა და ჩემი აზრი არც უკითხავთ. თავიდან ვზარმაცობდი, მერე ინტერესიც გამიჩნდა და აზარტიც.

მეცხრეკლასელი „დინამოს" საკავშირო ნაკრებში ამიყვანეს. მაშინ „დინამოს" გუნდში სამი თბილისელი ვიყავით: მე, გიზო ბლიაძე და არმენ სააკიანი. საქართველოს ჩემპიონებიც რიგრიგობით ვხდებოდით ხოლმე. გიზო ახლა გერმანიაშია, არმენ სააკიანი კი ჩემზე ადრე წავიდა ამერიკაში.

საქართველოში სიტუაცია რომ აირია, სპორტისათვის თავის დანებება მინდოდა. მაგრამ ცნობილმა მწვრთნელმა ირაკლი ჯაფარიძემ, საერთაშორისო არბიტრმა გია იაშვილმა და ყოფილმა ფიგურისტმა თემურ ლომაძემ მოითათბირეს და მოსკოვში გამგზავნეს სავარჯიშოდ. მაშინ ბევრი დამეხმარა — ცნობილი მწვრთნელი ელენა ჩაიკოვსკაია, ირინა როდნინა, სხვებიც...

შემდეგ ავსტრიაში წავედი და იქ ირაკლი ჯაფარიძესთან ვვარჯიშობდი. 1994 წელს ავსტრიის ჩემპიონიც კი გავხდი.

იმ წლებში სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვედი, ყველაზე კარგად ტოკიოში — მე-19 ვიყავი 54 მონაწილეს შორის. ერთხელაც ევროპის ჩემპიონატზე მე-13 ადგილი დავიკავე.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ლილეჰამერის ოლიმპიადის ლიცენზია ვერ მოვიპოვე. მაშინ გადავწყვიტე, უსიკვდილოდ გამოვსულიყავი ნაგანოში. მაგრამ იმ ადამიანებს, ვინც მე მეხმარებოდა, საქმე ცუდად წაუვიდათ, რიგიანად სავარჯიშოდ და შეჯიბრებებზე მიმოსასვლელად ფული ვეღარ ვიშოვეთ, ენთუზიაზმიც ამოიწურა. არადა, დღემდე ვფიქრობ — სათანადო ხელშეწყობა რომ მქონოდა, მსოფლიოს პირველ ათეულში მოსახვედრად ვიბრძოლებდი.

**— ესე იგი, ნაგანოზე ოცნება დასრულდა და შენც პროფესიონალებში გადაწყვიტე გადასვლა!**

— როცა ოთხი წლის წინ ამერიკაში ჩავედი, სპორტიდან წასვლა საბოლოოდ არ მქონდა განზრახული, თუმცა, რომელიმე დასთან კონტრაქტის გაფორმება ძალიან მინდოდა. ბოლო ორი წელია, რაც პროფესიონალებში გამოვდივარ, ექვს სხვადასხვა შოუში ვმონაწილეობდი.

ამჟამად ნიუ იორკის ერთ-ერთ საბალეტო დასთან მაქვს ხუთწლიანი ხელშეკრულება. შოუ, რომელშიც გამოვდივარ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რობინ კაზინსმა დადგა. კაზინსი ინგლისელია, მაგრამ კარგა ხანია, ლოს ანჯელესში ცხოვრობს.

ამ წარმოდგენის გაფორმება, დეკორაციები, კოსტიუმები 9 მილიონი დოლარი დაჯდა. მასში 25 ფიგურისტი მონაწილეობს, აქედან ხუთი სოლისტია. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" მიხედვით შექმნილ სპექტაკლში მე კვაზიმოდოს როლს ვასრულებ.

**— როგორ მიგიწვიეს ერთ-ერთ მთავარ როლზე?**

— ყველა ამერიკულ დასში ნებისმიერ როლზე დიდი კონკურენციაა. კვაზიმოდოს როლზეც რამდენიმე პრეტენდენტი იყო. ვიდრე კონტრაქტს გამიფორმებდნენ, ჩემი სრიალი ხუთმა ექსპერტმა ნახა.

რა თქმა უნდა, სცენარს, ცეკვებს, ქორეოგრაფი ქმნის. მაგრამ კორექტივების შეტანა ყველა შემსრულებელს შეუძლია. რობინ კაზინსი ადევნებდა თვალს ჩემს რეპეტიციებს, შემდეგ ერთად გადავწყვიტეთ, რისი შეცვლა ან დახვეწა იყო საჭირო.

**— ფიგურულ სრიალში პროფესიონალთა პროგრამები სირთულით მოყვარულთა პროგრამებს ჩამოუვარდება.**

— დიახ. პროფესიონალები ახალ, ურთულეს ელემენტებზე არ მუშაობენ. აქ ტექნიკურად და არტისტულად უნდა შეასრულო ის, რაც წლების განმავლობაში შეგითვისებია.

პროფესიონალთა წარმოდგენაში მთავარი სანახაობაა — შოუმ სიამოვნება უნდა მიანიჭოს მაყურებელს. იმპროვიზაციის საშუალებაც გეძლევა. შეგიძლია, გადახვიდე ყინულიდან, ვინმეს გაესაუბრო, გაეხუმრო — ესეც სპექტაკლის ნაწილია.

ამერიკაში ამგვარი წარმოდგენები უზომოდ პოპულარულია. საბალეტო დასები იმავე დარბაზებში გამოდიან, სადაც NBA-ს მატჩები იმართება და ჩვენც იმდენივე მაყურებელი გვყავს, რამდენიც კალათბურთელებს.

წარმოდგენის შემდეგ შენთან მოდიან, გილოცავენ, მადლობას გეუბნებიან. ზოგიც გთხოვს, სრიალი მასწავლეო. გასამრჯელოს საათობრივად გიხდიან. ამერიკაში ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია, ასეთ გაკვეთილებზე ყველაზე დიდი ჩემპიონებიც კი თანხმდებიან.

ყინულზე სრიალი კი ბევრს უნდა. ვის არ შეხვდებით ნიუ იორკის ცენტრალური პარკის საციგურაოზე. ამას წინათ უიტნი ჰიუსტონი დადიოდა იქ. ახალი ფილმის ერთ ეპიზოდში იყო საჭირო ყინულზე გასვლა და ორი კვირის მანძილზე ამეცადინებდნენ. საკმაოდ კარგად გამოსდიოდა ეს საქმე!

**— ვთქვათ, რომელიმე წარმოდგენაზე კარგად ვერ ისრიალე. რა რეაქცია მოჰყვება ამას დასის ხელმძღვანელებისგან? ფულადი ჯარიმა ან სხვა სანქციები ხომ არ არის?**

— არა, არავინ გისაყვედურებს. თუ პროფესიონალი ხარ, თავად გრძნობ, რა გამოგდის და რა არა. იქამდე არ უნდა მიიყვანო საქმე, შენიშვნა მოგცენ. შეცდომა კი ყინულზე ყველას მოუვა. წეღან ვთქვი, ყველა როლზე დიდი კონკურენციაა-მეთქი. ამიტომ სულ მობილიზებული ვარ. ვცდილობ, არც ერთი რეპეტიცია, ვარჯიში არ გავაცდინო, არ დავაგვიანო. წარმოდგენა 7 საათზე იწყება, 6 საათზე უკვე დარბაზში ვარ და ვემზადები.

**— როგორ ფიქრობ, ახლა პროფესიონალი სპორტსმენი უფრო ხარ თუ მსახიობი?**

— უფრო მსახიობი! სხვათა შორის, თეატრი ბავშვობიდან მიყვარს, თუმცა, მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია. ადრე, როცა შეჯიბრებებში გამოვდიოდი, ძალიან ვღელავდი, ახლა არა! წარმოდგენაში მონაწილეობა, სრიალი დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

სეზონს აგვისტოში ვიწყებთ და მაისამდე ერთი ქვეყნიდან მეორეში ვმოგზაურობთ. ყოველი დღე წინასწარაა დაგეგმილი. ახლაც ჯერ მაიამიში ჩავალთ სპექტაკლის აღსადგენად, მერე ავსტრალიაში მივემგზავრებით, იქედან იაპონიაში, შემდეგ ამერიკის შტატებში გვაქვს ტურნე ბოშებივით მომთაბარედ ვცხოვრობთ.

ამიტომ სეზონის ბოლოს ძალიან ვიღლები, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ თბილისში. ზაფხულში თვენახევარს აქ ვატარებ, მშობლებთან.

ამერიკა მომწონს, იქაური ცხოვრების წესს შევეგუე, მაგრამ მე მაინც თბილისელი, საბურთალოელი ბიჭი ვარ!

**— ახლა ამერიკაში ბევრი ცნობილი ფიგურისტი მუშაობს.**

— კატარინა ვიტის მეთაურობით ყველა იქაა. საბალეტო დასებშიც სრიალებენ და პროფესიონალთა ჩემპიონატებშიც გამოდიან — ყველაზე პრესტიჟულია შეჯიბრებები ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მედალოსანთა მონაწილეობით.

ბევრ მათგანს კარგად ვიცნობ, ზოგიც ჩემი მეგობარია. მაგალითად, ოქსანა ბაიული. ოქსანა ძალიან პოპულარული იყო ამერიკაში, მაგრამ იმ ყბადაღებული ავტოავარიის შემდეგ მასზე გული აუცრუვდათ — საჭესთან ნასვამი იჯდაო!

ახლა ყველა ტარა ლიპინსკიზე ლაპარაკობს. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებამ ეს 14 წლის გოგონა ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად აქცია. გაზეთები წერენ, რომ მან 7-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა.

**— გაზაფხულზე ირაკლი ჯაფარიძეს ვესაუბრე, ცნობილი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს თავის ვაჟზე.**

— ოთარ ჯაფარიძის სრიალი ვიდეოფირზე ვნახე. ჯერ პატარაა, მაგრამ თავისი სტილი უკვე აქვს. ხორვატიაში, სადაც კონტრაქტით მომუშავე მშობლებთან ერთად ცხოვრობს, რამდენიმე ტურნირზეც კარგად გამოსულა. ირაკლი ჯაფარიძე მისგან კარგ ფიგურისტს გაზრდის.

**— ვახტანგ მურვანიძეზე რას იტყვი?**

— ვახტანგი და მე მოსკოვში ერთად ვვარჯიშობდით. ნიჭიერი ბიჭია. ვიცი, რომ ნაგანოს ოლიმპიადის ლიცენზიისთვის აპირებს ბრძოლას. თუმცა, ჯერ 18 წლისაა და ნაგანოში თუ არა, ოთხი წლის მერე აუცილებლად მოხვდება მომდევნო ოლიმპიადაზე.

ბევრს შეიძლება გაეცინოს, მე კი ვთვლი, რომ ფიგურული სრიალი ქართველების ხასიათშია. აქ პლასტიკაცაა საჭირო, არტისტიზმიც და ფიზიკური ძალაც. ისე ჩვენ ჰოკეი რომ გვეთამაშა, იქაც მივაღწევდით წარმატებას — აზარტული თამაშია, ფიცხი.

**— შენი მომავალი როგორ წარმოგიდგენია, რამდენ ხანს აპირებ სრიალს?**

— ალბათ, სამი წელი კიდევ დავრჩები ყინულზე. არა მგონია, საბოლოოდ ამერიკაში დავსახლდე. ხან იქ ვიქნები, ხან აქ. შტატებში ბევრი ისეთი ნაცნობი მყავს, საქართველოსთან საქმიანი კონტაქტების დამყარება რომ სურთ. შევეცდები, დავეხმარო მათ. თუ ის დროც მოვა, რომ საქართველოში ფიგურულ სრიალს მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ჩემი გამოცდილებაც გამოადგებათ ბავშვებს.

ისე კი, საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში ვაპირებ ჩაბარებას. მომწონს დიპლომატის პროფესია, ადამიანებთან კონტაქტსაც იოლად ვამყარებ.

ამერიკაში რომ ჩავედი, ინგლისური, ფაქტობრივად, არც ვიცოდი. ახლა უკვე ესპანურის შესწავლა დავიწყე.

მოკლედ, დიპლომატობა მინდა. ვნახოთ, რა გამოვა.

სპორტმა გზაზე დამაყენა, ახლა მომავალზე უნდა ვიფიქრო!

**თამარ ბალავაძე**

## მკლავჭიდი

# ოინბაზი გოლიათი

იაპონელი სპორტული კლუბების მენეჯერები* ყველა მძიმეწონოსან სპორტსმენს, ვისაც ძალა შესწევს ქადილისა, დროდადრო შეეხმიანებიან ხოლმე, წამოდით ჩვენთან, პროფესიულ ჭიდაობაში (ან კიკბოქსინგში) გამოდით, ჰონორარზე გულს არ დაგწყვეტთო, — ეუბნებიან. წვრილთვალება აზიელთათვის მნიშვნელობა არა აქვს სპორტსმენთა სადაურობას, არც იმას, მოკრივეა, მოჭიდავეა თუ კარატისტია იგი, მთავარია, ტანადი იყო, ღონე გერჩოდეს და დაყაბულდე. ზაურ ცხადაძეც დაიყოლიეს იაპონელებმა. ჩავიდა იაპონიაში და ტოკიოს სპორტკლუბ „ფუჯი-ბარა-გუმის" წევრი გახდა. ჩვენებური დათო გობეჯიშვილი და გია გალდავაც ამ კლუბში ჭიდაობდნენ. ასწავლეს იაპონელებმა ზაურს პროფესიული ჭიდაობა — კრივის, ჭიდაობისა და კარატეს ილეთებისაგან შემდგარი ჩხუბი. პირველი ორთაბრძოლა მოიგო ზაურმა და მომავალი შერკინებისთვის მოამზადეს, ოღონდ, ბრძოლის წინა დღეს უთხრეს, იცოდე, ხვალ იაპონელს ხვდები და უნდა დანებდეო. იაპონელებს თანამემამულის დარდი კი არა ჰქონდათ, ცხადაძემ არ გვიცემოსო, უბრალოდ, ტოტალიზატორში მოთამაშეთა უმეტესობამ ცხადაძის სასარგებლოდ დადო ფსონი, ტოტალიზატორის თავკაცებმა კლუბის ხელმძღვანელები წილში გაიყვანეს, ცხადაძეს წააგებინეთ და კაი ფულს მოვხვეტავთო, უთხრეს მათ. რინგზე გასვლის წინ მწვრთნელმა უთხრა: ზაურ, მეტოქეს ხუთი წუთი ეჩხუბე, შემდეგ აგა და ამ ილეთს ჩაგიტარებს, ეს იქნება „პაროლი", დაეცი და აღარ ადგეო. კიო, უთხრა ცხადაძემ. დაიწყო ბრძოლა, იაპონელმა ერთი-ორჯერ უგერგილოდ დაარტყა ქართველს, მანაც ყასიდად ხურდა დაუბრუნა. ელოდება ზაური, რომ იაპონელმა დათქმული ილეთით წააქციოს და ბრძოლაც მორჩება. გამოქანდა შორიდან ეს იაპონელი, დატრიალდა ჰაერში და ტყუპად ჩააზილა წიხლი ზაურს ცხვირპირში. გაცეცხლდა იმერელი, ეს ილეთი ოაღაც „პაროლს" არა ჰგავდაო, იფიქრა, მიუტრიალდა მეტოქეს და იმდენი ურტყა, ნეკნებჩამტვრეული იაპონელი საავადმყოფოში წაიყვანეს. კაცმა არ იცის, იაპონელს დაავიწყდა „პაროლად" დათქმული ილეთის ჩატარება თუ მართლა მოინდომა ქართველი გოლიათის ცემა. ეგ კი ნაღდია, ტოტალიზატორისა და „ფუჯი-ბარა-გუმის" თავკაცებმა კაი ზარალი ნახეს.



**უცხოური სავალუტო მაფია იაპონიაში — ალექსეი მედვედი და ზაურ ცხადაძე**

კარგა ხანს დაჰყო ზაურ ცხადაძემ იაპონიაში, ამიტომ ბრძოლების გარდა უამრავი გასახსენებელი აქვს. განსაკუთრებით ერთი ამბის მოგონება ამხიარულებს: ცნობილი მოჭიდავის ალექსანდრ მედვედის ვაჟი ალექსეიც ტოკიოს კლუბში ჩხუბობდა. რუსი ქართველებს იოლად დაუმეგობრდა, ოღონდ, ერთი საიდუმლო არ გაანდო მათ: თურმე, მედვედ-უმცროსს საკმაოდ მოზრდილი ტომსიკით 20-კაპიკიანები წაელო ტოკიოში. ქალაქი სავსეა ავტომატური ჯიხურებით — ჩააგდე მონეტა და მიირთვი ჭიქა კოკა-კოლა, მინერალური წყალი... ყალთაბანდმა მედვედმა წინასწარ იცოდა, რომ იაპონური მონეტა 20-კაპიკიანის იდენტური იყო, ამიტომაც გაისარჯა რუსეთიდან 20 კილო რკინის ხურდის თრევით. ჩააგდებდა 20-კაპიკიანებს, მოდიოდა ავტომატიდან გაზიანი და მინერალური წყლები. თანაც, გია გალდავასაც პატიჟებდა გულუხვად. ვერ ხვდებოდა საწყალი იაპონური ავტომატი რუსის ეშმაკობას, მაგრამ მეგრელს მოატყუებ რაიმეს? მიუხვდა გალდავა ოინებს მედვედს, ცხადაძესთან რაღა ჰქონდა დასამალი და სიცილით უამბო ეს ამბავი. ზაური ავტომატზე და რუსზე ჭკვიანი გამოდგა. მედვედს დაუძახა და უთხრა: ვილაცა იაპონურ ავტომატებს ასულელებს, 20-კაპიკიანებიც უნახავს პოლიციას და ჩვენზე აქვთ ეჭვი, თუ შემთხვევით რუსეთიდან წამოგყვა ან ჯიბეში ჩაგრჩა ხურდა ფული, მომეცი, დავმალავო. გავარდა თავის ნომერში მედვედი და „ჯიბეში შემთხვევით ჩარჩენილი და გამოყოლილი" 20 კილომდე ხურდა ფული ჩააბარა ცხადაძეს. ზაურსაც მეტი რა უნდოდა. მედვედის დაწყებული საქმე გააგრძელა, ოღონდ უფრო დახვეწილი მეთოდით: ფულს კი აგდებდა აპარატში, მაგრამ წამსვე, ვითომ გადავიფიქრე წყლის დალევაო, სახელურს უკან ატრიალებდა. ჰოდა, ავტომატიც ოცკაპიკიანის ნაცვლად ნაღდ იაპონურ ხურ[illegible]ბდა უკან. თავის [illegible] კურსით 20 კილომდე 20-კაპიკიანები გადაცვალა ზაურმა იაპონურ ვალუტაზე და ტოკიოში ჯიბის ფული არ მოჰკლებია.

„ფუჯი-ბარა-გუმთან" კონტრაქტის დამთავრებისთანავე ზაური თბილისს გამოემგზავრა და ისევ მკლავჭიდს მიჰყო ხელი, მაგრამ კირკიტა იაპონელები არ მოეშვნენ. ამჯერად „ფუჯი-ბარა-გუმისკენ" აღარ გაუწია გულმა ზაურ ცხადაძეს და სხვა კლუბი არჩია, პროფესიული ჭიდაობის ცნობილ ოსტატის, სახელგანთქმულ მაიდას კლუბი. მაიდა ის არის იაპონელთათვის, რაც ჩვენთვის სანდრო კანდელაკი. იგი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს და მის პრესტიჟულ კლუბში მოხვედრა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ეს პატივი ზაურ ცხადაძის გარდა დათო ხახალეიშვილსა და ტარიელ ბიწაძესაც ერგოთ. არც ამჯერად შეირცხვინა თავი ზაურმა, ძველ სახელს ახალი მიამატა და დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ერთხელაც თავად მაიდამ მოისურვა ზაურთან ჩხუბი. თავიდან ხუმრობა ეგონა ყველას იაპონელის ეს გამოწვევა, მაგრამ არა და არ მოეშვა ცხადაძეს მაიდა. ზაურმაც, ჯანი გავარდესო და დაეთანხმა შეფს. გავიდა რინგზე ორი გოლიათი. მალე გამოიკვეთა ზაურის უპირატესობა, იაპონელები კი შრისხანე ყვირილით შეხვდნენ თავიანთი კერპის დამცირებას. აქეთ ხახალეიშვილი და ბიწაძე უყვირიან ცხადაძეს: ზაურ, ხელისგულზე გვატარებენ, იცოდე, თუ სცემე კონტრაქტს შეგვიწყვეტენ. იქნება, ცოცხლებმაც ვერ გავასწროთ, თავი თუ არ გეცოდება, ჩვენ შეგვიცოდეო. არადა, ეს მაიდაც არ გაჩერდა, მეტად ჟინიანი გამოდგა და ვიდრე ნეკნი არ გაიტეხა, არ მოეშვა ჩვენებურს. ისე კი, ვაჟკაცურად მიულოცა გამარჯვება ცხადაძეს და ნეკნგატეხილმა ექიმებს მიაშურა.

ზაურ ცხადაძე, უპირველესად, მაინც მკლავჭიდელია და, რა თქმა უნდა, აქაც მრავალი კურიოზი გადახდენია. მოდით, იაპონიიდან მოსკოვს მივაშუროთ და მკლავჭიდელთა იქაურ საერთაშორისო ტურნირსაც დავესწროთ.

ზაური მოსკოვური ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა ვლადიკავკაზელ კარაევთან ერთად, მაგრამ ამ უკანასკნელს ზაურმა ორჯერ აჯობა სხვადასხვა ტურნირზე, ამიტომ მარცხისთვის განწირული არ ჩავიდა მოსკოვში. ზაური კი ჩავიდა, მაგრამ გუნდების შემადგენლობებს რომ გადახედა, ღირსეული მეტოქე ვერ აღმოაჩინა და მე მწვრთნელად ჩამოვედი, შეჯიბრებაზე არ გამოვალო — განუცხადა მოსკოვის გაზეთის კორესპონდენტს. რუსებმა რომ გაიგეს, ცხადაძე არ იასპარეზებსო, სასწრაფოდ აცნობეს ვლადიკავკაზში, ჩქარა, კარაევი ჩამოიყვანეთ, ცხადაძე არ იქნება და აბსოლუტური ჩემპიონობაც ჩვენ დაგვრჩებაო. გადიდგულებულმა ოსებმა სასწრაფოდ ჩამოაფრინეს კარაევი, გამარჯვებით დაიმედებულებმა თავიანთი პრეზიდენტი გალაზოვიც კი შეაწუხეს, იქნებ დრო გამონახო და ოსის უძლეველობის ხილვა ისურვოო. გალაზოვმაც მოიცალა და კარაევის კვალს მიჰყვა. კარაევი რომ დაინახა, ზაურ ცხადაძემ ახლა მეორე კორესპონდენტს განუცხადა, მაშინ ვიხუმრე თორემ, აბა, ამ ტურნირს როგორ გამოვტოვებო. ჯერ თავის წონაში გაიმარჯვა ზაურ ცხადაძემ, აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კი კარაევს საკმაოდ იოლად სძლია. ჩრდილო ოსეთის სპორტკომიტეტის ნირწამხდარი თავკაცები სათოფეზე ველარ ეკარებოდნენ გაბრაზებულ პრეზიდენტს.

სამხიარულო თავგადასავალს რა დაულევს ზაურ ცხადაძეს, მაგრამ ყველაფერს ერთად ხომ არ მოგიყვებით. ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, დანარჩენი კი სხვა დროს იყოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ყველაზე საყვარელი მედალი



როგორც ყველა პატარა ბიჭს, მიშა გიორგაძესაც ბურთაობა უყვარდა, მაგრამ მაშინ მარტო კოპლებიანი ტყავის ბურთის არსებობა იცოდა, გრძელზოლა რეზინის ბურთი, რომელიც მერე ცხოვრების მეგობრად გაიხადა, თვალითაც არ ენახა. ქუთაისში ცხოვრობდა მშობლებთან და და-ძმასთან ერთად. სკოლიდან დაბრუნდებოდა თუ არა, ჯერ ბეჯითად იმეცადინებდა, შემდეგ თავის უფროს ძმას გოჩას აიყოლიებდა, ძმები ბიძაშვილებს — ალეკო და ზურიკო გიორგაძეებს შეეხმიანებოდნენ და ოთხი გიორგაძე უკვე ფეხბურთის გუნდი იყო — ბიჭები ყიჟინით შეერეოდნენ თანატოლებს და დაღამებამდე ბურთაობდნენ.

მიშას ბიძას, ბატონ კუკური გიორგაძეს წყალბურთი მეტად იტაცებდა, ამიტომაც მოჰკიდა ხელი თავის შვილებსა და ძმიშვილებს და „პასილოკში“ ახალგახსნილ აუზში მიიყვანა. ბიჭებმაც გადაწყვიტეს, წყალბურთელები გამხდარიყვნენ და ოთხი გიორგაძიდან სამმა მეტნაკლებად მიაღწია მიზანს — ზურიკომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა ერთხანს, ალეკო ჯერ საქართველოს რეკორდსმენი იყო ცურვაში, შემდეგ 4 წელი თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდში გამოდიოდა. მარტო მიშას ძმამ გოჩამ ვერ ითამაშა ნამდვილი წყალბურთი. მიშა? აი, მიშამ კი ისე გაუტია...

მიშა გიორგაძის პირველი მწვრთნელი ბონდო სანდოპულო იყო, მან მეკარედ გაამწესა ახალბედა, წყალბურთის ანბანი ასწავლა და ნიჭიერი ბიჭი ქუთაისის ნაკრების მწვრთნელს ზურაბ კაკოვიჩს გადაულოცა. გიორგაძისთანა ტალანტი ქუთათურ აუზში დიდხანს ვერ დაეტია. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე იგი ქუთაისის ნაკრებში გამოდიოდა. ჯერ კიდევ 14 წლის ბიჭმა თავისზე უფროს და გამოცდილ მეტოქეებს ტოლი არ დაუდო და სპარტაკიადის საუკეთესო მეკარედაც დაასახელეს. ეს სწორედ ის პერიოდია, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდში თაობათა ცვლის პროცესი რომ დაიწყო. „დინამოს“ მაშინდელ მწვრთნელებს ვასილ სანაძეს და ჯუმბერ წიკლაურს არ გამორჩენიათ ახალბედა ტალანტის ბრწყინვალე დებიუტი და ერთი წლის შემდეგ „დინამოში“ მიიწვიეს. ის ხალხი, ვის ოსტატობასაც ტელეეკრანებიდან შენატროდა ბავშობაში პატარა მიშა, ახლა მის თანაგუნდელებად იქცნენ. უკვე სახელგანთქმულმა დინამოელებმა — ვლადიმერ ისელიძემ, ნოდარ კურტანიძემ, დავით რურუამ, ოთარ იოსელიანმა და ალეკო მახარაძემ პატარა ძმასავით შეითვისეს ახალგაზრდა თანაგუნდელი. მალე შეეგუა მიშა გიორგაძე თბილისის „დინამოს“, თანაც ირწმუნა, რომ ამ დიდ გუნდში დაუმსახურებლად არავინ დაუძახებდა და თავდაუზოგავი შრომით და უშეცდომო თამაშით შეეცადა მზრუნველი ადამიანებისთვის ამაგის დაფასებას. იმ დროს „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასპარეზობდა და, მართალია, ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ სტაბილურობით ყოველთვის გამოირჩეოდა. ამიტომ, არც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებების მწვრთნელებს გამოჰპარვიათ პერსპექტიული მეკარე. იგი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. 1978 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა მიშა ამ გუნდთან ერთად და მაშინვე „დიდ ნაკრებში“ გადაიყვანეს. აქედან იწყება მიშა გიორგაძის ბრწყინვალე კარიერაც. ყველა მნიშვნელოვანი ჯილდო, რაც მას სპორტში ერგო, სწორედ საბჭოთა ნაკრებთან ერთად მოიპოვა.

— 19 წლის ვიყავი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიმიწვიეს, ევგენი შარონოვი და ვიაჩესლავ სობჩენკო, ეს ორი უდიდესი მეკარე დამხვდა გუნდში, ახალგაზრდა ვიყავი, როგორც იტყვიან, კონკურენციას ვერ გავუძელი, ამიტომაც 1980 წლის საოლიმპიადო გუნდში ვერ მოვხვდი, — გულწრფელად, უშურველად მიყვება ბატონი მიხეილი, — ეს, ალბათ, ლოგიკურიც იყო. რადგან ასეთ გამოცდილ მეკარეებს მარტო ტალანტის ხარჯზე გზიდან ვერ ჩამოიცილებდი; შემდეგ სობჩენკოც წავიდა. შარონოვი დარჩა და მე მის შემცვლელად ვიქეცი. ერთხანს გულიც მწყდებოდა, რომ ხშირად მიწევდა შარონოვის ჩრდილში ყოფნა, მაგრამ შევეგუე: ჯერ ერთი, სხვა გზა არ მქონდა, მეორეც, შარონოვისთანა დიდი სპორტსმენის „დუბლიორობა“ არც ახლა მიმაჩნია საძრახ საქმედ.

მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების თავკაცები უფრო და უფრო ხშირად ანდობდნენ კარის დაცვას მიშა გიორგაძეს, ზოგიერთ ტურნირში და ჩემპიონატში გიორგაძეს შარონოვზე მეტჯერაც უწევდა თამაში, თუმცა, ამ ორში უდავო ლიდერი მაინც შარონოვი იყო. ასე თუ ისე, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად 1981 წელს ამერიკაში მსოფლიო თასი მოიგო, 3-ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა. 1982 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონობას შესწვდა — ეკვადორში, მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელებთან ჭიდილში თავისი წილი ოქროს მედალი მიშა გიორგაძესაც ერგო.

ყველა გამარჯვება საბჭოთა ნაკრებში მიშა გიორგაძემ თავისტოლ გიორგი მშვენიერაძესთან ერთად მოიპოვა. ეს სახელები სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს და როცა ერთ-ერთ მათგანზე საუბრობ, აუცილებლად მეორეც უნდა გაიხსენო, რადგან ორი დიდი ქართველი წყალბურთელი, ორივე დინამოელი, ოღონდ მიშა თბილისელი და გიორგი მოსკოველი, ერთად სჭედდა იმ დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დიდებას. ისიც ხშირად ყოფილა, რომ მათი „დინამოები“ ერთმანეთს შებმიან. უიღბლობაც ამას ჰქვია, მაინცდამაინც, მიშა მეკარე იყო, გიორგი კი თავდამსხმელი, მაგრამ სპორტი სპორტია და აქ მუდამ გონება და ანგარიშიანობა ბატონობს გრძნობებზე, ამიტომაც, ბიჭები ორიოდ საათით ივიწყებდნენ მეგობრობას და ეტოქებოდნენ ერთმანეთს. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან — მეორე. გიორგი მშვენიერაძე მიშა გიორგაძეს დღესაც წყალბურთელის ეტალონად მიაჩნია, არა იმიტომ, რომ მეგობარია და აზვიადებს მის მიღწევებს, არა, ნამდვილად ასეა: გიორგი ხომ ოთხჯერ იყო აღიარებული მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად. ეგეც არ იყოს, ვინ ვინ და, მიშა გიორგაძეს საუკეთესო მეგობრისა და „დაუძინებელი მტრის“ ავკარგი არ ესწავლება. ეს ამბავიც ერთად გადახდათ.

1985 წელს საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები ავსტრალიაში, კანბერას საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს. ტურნირი კი მოიგეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი შეჯიბრების დამთავრების მერე მოხდა. ავსტრალიის ნაკრების მენეჯერი რუსი ებრაელი, საბჭოეთიდან თავდაღწეული და ავსტრალიაში დამკვიდრებული პეტრე მონტგომერი გახლდათ. მონტგომერი თავს ევლებოდა საბჭოელ წყალბურთელებს, ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გიორგი და მიშა რესტორანში დაპატიჟა, საიდანღაც ორი მზეთუნახავიც მიჰგვარა, თქვენი იყოს, ხვალამდე სიკეთეში მოგახმაროთ ღმერთმაო. თან გოგონებს გააცნო — ესენი ჯორჯიელები არიანო. გოგონებს ამერიკელი ჯორჯიელები ეგონათ და ინგლისურად გაუბეს საუბარი. მარიფათიანი ებრაელი არ დაიბნა და ბიჭები ყრუ-მუნჯებად გაასაღა. თან გიორგის და მიშას გადაულაპარაკა, იცოდეთ, ყრუ-მუნჯები ხართ და დღეს კრინტი არ დასძრათ, თორემ აქედან ცოცხლები ვერ გავასწრებთო. აბა, ქალს ენაზე ბოქლომს ვინ დაადებს და გოგონებმაც მთელს რესტორანს მოსდეს, რომ მათ სიმპათიურ და ახოვან კავალრებს არც არა ეყურებოდათ რა და ვერც მეტყველებდნენ. ყველა თანაგრძნობით უცქერდა „ღმერთისგან განწირულ“ ამ ორ ლამაზ ჭაბუკს. ერთი ნახვით შეყვარებულებს ბარში რომ მოსწყინდათ, ხელებით ერთმანეთს ანიშნეს, დისკოთეკაზე გავიდეთ და ფეხი გავიქნიოთო. ასევე მუნჯურად დაეთხოვნენ მონტგომერს და დისკოთეკას მიაშურეს. საუბედუროდ, მიშამ საცეკვაოდ ის გოგონა გაიწვია, გიორგის რომ მოსწონებოდა. გიორგიმაც ველარ მოითმინა და ბარის გასასვლელთან მისულ წყვილს მიაძახა: მიშა, მაგ გოგოს თავი დაანებე, მოდი ეს წაიყვანეო. მაინცდამაინც იმ დროს ჩამოწოლილიყო სიჩუმე ბარში და ყველამ გაიგონა მშვენიერაძის აღელვებული შეძახილი. აღშფოთდნენ გასულელებული ავსტრალიელები. ესენი ყალთაბანდები ყოფილანო, გაჰყვიროდნენ და მაგიდებიდან ბოთლებისა და საჭმელების სროლა დაუწყეს ბიჭებს. სტუმრები დამიჩაგრესო, იფიქრა მონტგომერმა, „ყრუ-მუნჯებს“ გვერდით ამოუდგა და, როგორც მთავარ დამნაშავეს შეჰფეროდა, სასჯელიც ღირსეულად მიიხადა — ნასროლი საგნებიდან თუ პროდუქტებიდან ყველაზე მეტი მას მოხვდა.



ქართველი „ყრუ მუნჯები“ კანბერის რესტორანში: გიორგი მშვენიერაძე და მიშა გიორგაძე

სამჯერ ევროპისა და ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონობა, მსოფლიოს თასის მოგება, დამეთანხმებით, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთებს მოკლედ უხმობენ — დიდი სპორტსმენი. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს სპორტსმენი, მაინც ყველას ერთი ჭია უღრღნის გულს — ოლიმპიური ოქროს გარეშე არავის სურს სარბიელის მიტოვება. ამ ჭიამ, რა თქმა უნდა, არც მიშა გიორგაძე მოასვენა. მოსკოვის ოლიმპიადაზე მოგახსენეთ, რატომაც ვერ იასპარეზა, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ისტორიაც ყველამ კარგად იცის, ჰოდა, ერთი შანსიღა ჰქონდა მიშა გიორგაძეს, რათა სანუკვარი მიზანი აეხდინა.

სეულის ოლიმპიადის წინ საუცხოო ფორმაში იყო. ყველა ელოდა, რომ შარონოვის მზე, ბოლოსდაბოლოს, ჩაესვენებოდა და მიშა გიორგაძე ნაკრების პირველ მეკარედ იქცეოდა. ასეც მიდიოდა საქმე. ოლიმპიადის წინ ბარსელონაში დიდი ტურნირი გაიმართა. მსოფლიოს ყველა უძლიერესი გუნდი ასპარეზობდა — გერმანია, იტალია, ესპანეთი, უნგრეთი, კუბა, საფრანგეთი, იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი. პრესამ ამგვარი შეჯიბრება უბრალო ტურნირად ვერ აღიქვა და მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი უწოდა. ბარსელონაში შარონოვი არ წაუყვანიათ, გუნდის ძირითადი მეკარე მიშა გიორგაძე იყო. მიშამ ყველა შეხვედრა ჩაატარა, ყველა უნაკლოდ და ღირსეულად. საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩემპიონი გახდა. კიდევ ერთხელ, ამჯერად კი მეტად მკაცრად დასვეს საკავშირო წყალბურთის ფედერაციაში საკითხი — შარონოვი თუ გიორგაძე? ორ კვირაზე მეტხანს ითათბირეს ამის თაობაზე, ბოლოს კი მწვრთნელთა საბჭომ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: შარონოვი! ეს მისთვის ბოლო ოლიმპიადა იქნება, გიორგაძეს კიდევ რჩება შანსი ბარსელონაში გამოსვლისაო — ასე დაასაბუთეს მიშა გიორგაძის კვლავ მეორეობა ჩინოვნიკებმა.

— მე კი ვგრძნობდი, რომ კარგ ფორმაში ვიყავი, ეს ბარსელონაშიც დავამტკიცე, მაგრამ მწვრთნელებმა იციან თავიანთი საქმე, შედეგზე ისინი აგებენ პასუხს, ამიტომ არჩევანის უფლებაც მათ ეკუთვნით. თუმცა, სეულის ოლიმპიადის შემდეგ, როცა თითზე კბენანი გვიანიღა იყო, ნაკრებისა და წყალბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები სინანულით კითხულობდნენ: „უკეთესი ხომ არ იყო, შარონოვის ნაცვლად გიორგაძე დაგვეყენებინა? იქნებ შევცდით?“ ბოლოს კი აღიარეს თავიანთი შეცდომა, მაგრამ პირში წყალჩაგუბებული თევზის ამბავი ხომ გაგიგონიათ, ასე ვიყავი...

ასე იყო თუ ისე, სეულში ფავორიტად მიჩნეულმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა III ადგილი დაიკავა. მიშა გიორგაძემაც თავისი წილი დაიდო ამ წარმატებაში — III ადგილი ოლიმპიადაზე მაინც წარმატებაა, სარბიელი ოლიმპიური მედლის გარეშე მაინც არ დატოვა. ოლიმპიური მედალი, თუნდაც ბრინჯაოსი, მაინც სხვაა — მრავალთაგან გამორჩეული და მეტად ღირებული.

ამის შემდეგ მიშა გიორგაძე დიდხანს აღარ შერჩენია სპორტს. ძველმა ტრავმამ თავი შეახსენა, ერთი წლის შემდეგ წყალბურთს ჩამოშორდა და ადგილი ნიჭიერ და საიმედო მეკარეს გელა ტუკვაძეს დაუთმო, რომელიც, როგორც გიორგაძე იყო შარონოვის ჩრდილში, ისე იქცა „დინამოში“ მიშას დუბლიორად. ვიდრე მიშა სარბიელს მიატოვებს, მანამდე მისი სპორტული ცხოვრების ერთი ეპიზოდიც გავიხსენოთ.

მიშა გიორგაძე მუდამ ზრდილ და წესიერ სპორტსმენად ითვლებოდა. მაგრამ სპორტული ჟინი და აზარტი ისეთია, ზოგჯერ თავს დაგაკარგვინებს კაცს. 1983 წელს ევროპის ჩემპიონატი იტალიაში ჩატარდა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ნახევარფინალში მასპინძელთა ძლიერ გუნდს ხვდებოდა. მაშინ ჯერ კიდევ ბრწყინავდა იტალიელთა უძლეველი ფორვარდი დიმაჯისტრისი. იქით უკვე სახელოვანი დიმაჯისტრისი, აქეთ ამომავალი ვარსკვლავი გიორგი მშვენიერაძე. ეს მატჩი არა მარტო ორი ქვეყნის წყალბურთელთა ბრძოლად, არამედ ამ ორი დიდებული ოსტატის დუელადაც იქცა. ქომაგთა ემოციამ კულმინაციას მიაღწია. მოთამაშენიც ანერვიულდნენ და ესპანელმა მსაჯმა რამდენჯერმე შეხვედრა შეაჩერა. საბჭოელი სპორტსმენები შეწუხდნენ იტალიელთა გინებისა და აუზში ნასროლი ხურდა ფულის სიუხვისგან. შეხვედრა, რომ იტყვიან, „გოლი გოლზე“ მიდიოდა. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე გიორგი მშვენიერაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა და თავისიანები დააწინაურა — 5:4. იტალიელებმა ყიჟინა დასცეს და გამწარებულებმა ნასროლ მონეტათა რაოდენობაც გაზარდეს. იტალიელთა საქციელით აღშფოთებულმა და მშვენიერაძის გოლით აღტაცებულმა მიშა გიორგაძემ თავი ველარ შეიკავა, იქვე, აუზში, მარჯვენა მკლავის სახსარზე მარცხენა ხელისგული დაიდო, მოხრილი მარჯვენა მაღლა აღმართა და იტალიელ ქომაგებს ის ჟესტი უჩვენა, რომლის მნიშვნელობაც სპორტის ყველა გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. როგორ თუ ეს გაგვიბედაო, გადაირივნენ იტალიელები და ხურდა ფულს ვინლა ჩიოდა, წამოვიდა „კოკა-კოლას“ ცარიელი თუ სავსე ქილების, ნაყინებისა და ათასგვარი საგნების სეტყვა. საბედნიეროდ, შეხვედრა არ ჩაშლილა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო ეს შეხვედრა, ფინალში გერმანელებს სძლია და ევროპის ჩემპიონიც გახდა.

მიშა გიორგაძე ბოლომდე ნაღდ დინამოელად დარჩა, არაერთხელ შეეხმიანნენ კიევიდან და მოსკოვიდან, რა თქმა უნდა, თბილისურზე უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ: ბინა, მანქანა, კარგი ხელფასი. არ მინდაო, კატეგორიულად განუცხადა რუსული და უკრაინული გუნდების თავკაცებს, მე ჩემი „დინამო“ მირჩევნიაო, არადა, მოსკოვსა და კიევში თამაში ევროპული საკლუბო მწვერვალების დაპყრობის უმოკლესი გზა იყო, კარიერაც ისე დაასრულა თბილისის „დინამოსთან“ ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც ვერ მოიპოვა, თასის ფინალიც არ უთამაშია. კიდევ იმიტომ არ მიდიოდა სხვა ქვეყნის გუნდში, რომ...

— მახსოვს, როცა ჩვენი „დინამო“ მოსკოვის „დინამოს“ ხვდებოდა, ჩემი თანაგუნდელები ხშირად სთხოვდნენ ხოლმე გიორგი მშვენიერაძეს — [illegible] დღეს ძველი [illegible] ბოლო, ქართველი კაცი ხარ, გიორგი, უხერხულად ილიმებოდა: რა ვქნა, ბიჭებო, საქმის ღალატი არ შემიძლია, წყალში ნურაფერს მთხოვთ, მატჩის შემდეგ კი ჩემი თავი გენაცვალოთო. ჟინიანი სპორტსმენი იყო გიორგი, მეც ასეთი ხასიათი მაქვს, ხომ ვიცოდი, მოსკოვში ან კიევში რომ გადავსულიყავი, აუცილებლად მომიწევდა თბილსის „დინამოს“ წინააღმდეგ თამაში. საქმეს ვერც მე ვუღალატებდი, ამიტომაც, ვძლიე ცდუნებას და არსად წავედი. ეგ კი არა, 1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში საქართველოს ნაკრები მოსკოვის ნაკრებს შეხვდა. აქეთ — მე, იქით — გიორგი მშვენიერაძე. მატჩის მიწურულს, ბოლო, გადამწყვეტი გოლი სწორედ გიორგიმ გაგვიტანა და ჩემპიონობა დაგვაკარგვინა. რას იზამ, სპორტი სპორტია.

სპორტიდან წასვლის შემდეგ ბატონი მიხეილ გიორგაძე სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმდა და მუყაითობითა და საქმის სიყვარულით აქაც გაითქვა სახელი, გარშემო მყოფთა პატივისცემა, როგორც სპორტში, არც აქ აკლია. ამჟამად შინაგან საქმეთა სამმართველოს გლდანის რაიონის საპასპორტო და სავიზო მომსახურების და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსია. ხშირად ამბობს ხოლმე — რაც ქომაგებს ჩემთვის ტაში და ტკბილი სიტყვა გაუმეტებიათ, ახლა ვცდილობ, ჩემი საქმიანობით გადავუხადო ვალი და შეძლებისდაგვარად დავეხმაროო. მოკლედ, გლდანის რაიონის მობინადრენო, თუ პასპორტის აღება გსურთ, იკითხეთ მიხეილ გიორგაძე, გაეცანით და უთხარით: „ბატონო მიხეილ, მე თქვენი ქომაგი ვიყავი“. ამით ყველა პრობლემას მოაგვარებთ და პასპორტით ხელდამშვენებული დაბრუნდებით შინ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით

ყოფილი დინამოელები და აწ უკვე პოლიციელები სამაგალითოდ ესახება ბატონ მიხეილს — ვლადიმერ ისელიძე, მიხეილ სალაძე, ამირან სხიერელი, გივი და დავით ყვარელაშვილები ის ხალხია, რომელთაც სპორტში ღირსეულად მოიხადეს ვალი და ამ საქმესაც შესაშურად უძღვებიან. „თბილისის პოლიციის ახალი ხელმძღვანელი ბატონი სოსო ალავიძეც — ყოფილი სპორტსმენია, მან მეტად ახალგაზრდამ იტვირთა ეს მძიმე მისია, ამიტომ თბილისელები მას მხარში უნდა ამოუდგნენ, რათა ჩვენს მრავლისმნახველ დედაქალაქში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს სიმშვიდე. ჩვენ, სპორტსმენებმა სხვაგვარად ვიცით ერთმანეთის გატანა და მხარში ამოდგომა, ეჭვი არ მეპარება, პოლიციის ახალ ხელმძღვანელსაც გვერდში დავუდგებით და ჩვენს საქმეს ღირსეულად გავაკეთებთ“ — დაიმედებულია ბატონი მიხეილი.

მაგრამ სადაც არ უნდა წავიდეს ბატონი მიხეილ გიორგაძე, წყალბურთს არასდროს არ ღალატობს. ჯერ წყალბურთელთა კლუბი „დელფინები“ დაარსა, ახლა კი ამ კლუბს „ზვიგენი“ ჰქვია და სპორტკლუბ „მართვესთან“ ერთად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების საბაზო გუნდად ითვლება. ვაჟიშვილებიდან ჯერჯერობით მხოლოდ უფროსმა მიბაძა — რეზო გიორგაძე „ზვიგენის“ წამყვანი ფორვარდია, შუათანა გივი კი ჩოგბურთელია. ნაბოლარა გიორგი ორწლინახევრისაა. ბატონ მიხეილის მეუღლე, ქალბატონი ლამარა ჭეიშვილი წინააღმდეგია, რომ გიორგი ბურთიან სპორტზე მიიყვანონ, თუმცა, ისეთი პირი უჩანს, გიორგი ყველაზე უკეთესი მობურთალი დადგება — შინ ბურთების კოლექცია აქვს და დილიდან სალამომდე მათ დევნაშია.

— აი, ჩემი ყველაზე საყვარელი მედალი — ამოარჩია უამრავი მედლიდან ერთ-ერთი ბატონმა მიხეილმა და მომაწოდა.

დავხედე. „1979 წელი. საბჭოთა კავშირსი ხალხთა სპარტაკიადა. II ადგილი“. გამეცინა.

— როგორ, ბატონო მიხეილ, შინ ევროპის ჩემპიონატის სამი ოქროს მედალი გაქვთ, ერთიც მსოფლიოს ჩემპიონის ოქრო, ბოლოსბოლოს, ოლიმპიურ მედალს სჯობია ეს რკინა?

შევატყვე გული ვატკინე.

— არა, ეგ მაინც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ყველაზე დიდ გამარჯვებას, რომელსაც საქართველოს სახელით მივაღწიე, სწორედ ეს მედალი მაგონებს. ეს ის მედალია, გიორგი მშვენიერაძის გოლმა ოქრო ვერცხლად რომ გვიქცია.

არ ვიცი, რა ჰქვია ამ კაცის საქციელს — გულუბრყვილობა თუ პატრიოტიზმი. ეს თავად განსაჯეთ.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ავტორბოლა

# ვილნევს ყური აუწიეს

**ფორმულა 1**
FORMULA 1 WORLD
VII ეტაპი
კანადის გრან-პრი

მონრეალის ტრასა მომთხოვნია მუხრუჭებისა და გადაცემათა კოლოფის მიმართ, საწვავი[illegible] საკმაოდ ბევრი იხარჯება. რბოლ[illegible]ს პილოტებს უძნელდებათ უკიდურე[illegible] სიჩქარის შენარჩუნება, რადგან ყველ[illegible] მოსახვევს რთული კონფიგურაცია აქვს და თანაც სწრაფი და ნელი ვირაჟები მონაცვლეობენ. ტრასის ზედაპირი საკმაოდ ოღროჩოღროა და ეს აძნელებს ბოლიდების დარეგულირებას. მრბოლთათვის ტრასა არცთუ მომქანცველია — ნელი მოსახვევები ოდნავი ამოსუნთქვის საშუალებას იძლევა და მათ წინ მკვეთრი დამუხრუჭების აუცილებლობაც იშვიათია. მოწინააღმდეგის გასწრებისთვისაც არის რამდენიმე მშვენიერი ადგილი.

შარშან კანადელი ავტომოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ მათი საყვარელი „პატარა პრინცის" — ჟილ ვილნევის ვაჟიშვილის ასპარეზობას მამის სახელობის ტრასაზე და მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ. 1978 წლის შემდეგ კანადის დიდი პრიზის პოდიუმზე იქაური არ ასულა, მაშინ კი ახალგახსნილ ტრასაზე გამარჯვება სწორედ ჟაკის მამამ, ჟილმა იზეიმა. ჩემპიონატის დებიუტანტმაც ყველა ღონე იხმარა გულშემატკივართა გასახარად, მაგრამ ჰილმა სწორად შერჩეული ტაქტიკით — ორი პიტ-სტოპი ერთის წინააღმდეგ — აჯობა და თანაგუნდელს პირველობა არ დაუთმო.

წელსაც ჟაკი უპირველეს ფავორიტად ითვლება, თუმცა FIA-მ ყველაფერი ილონა, რათა ახალგაზრდა კანადელისთვის მოსამზადებელი პერიოდი გაერთულებინა. პრეზიდენტმა მოსლიმ იგი ოთხშაბათს პარიზში დაიბარა, ვილნევს FIA-ს სპორტული საბჭოს წინაშე უნდა ემართლა თავი — მან ხომ მომავალი სეზონისთვის დაგეგმილი ტექნიკური ცვლილებები გააკრიტიკა. FIA-ს ხელმძღვანელობამ ლმობიერება გამოიჩინა — ჩემპიონატის ლიდერს ამჯერად მხოლოდ გაფრთხილება აკმარა, მაგრამ მომავალში მსგავსი ქმედებისთვის დასჯით დაემუქრა. ჟაკს ორჯერ მოუწევს ატლანტიკის გადაფრენა. 9-საათიანი ფრენა გადამღლელია, განსხვავებული დროის (პარიზსა და მონრეალს შორის სხვაობა დროში 6 საათია) პირობებში ისიც ძნელია, რბოლისთვის მომზადების რიტმს უცებ მოერგო. მაგრამ ჟაკი უმაღლესი კლასის პროფესიონალია და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აჩვენებს, რათა არ გააწბილოს თანამემამულეები.

სხვა გუნდებიდან, ჩვეულებრივ, „ფერარის", „ბენეტონისა" და „მაკლარენის" პილოტები იბრძოლებენ პირველობისთვის, „პროსტისა" და „ჯორდანის" მრბოლები კი პოდიუმზე მოხვედრას შეეცდებიან.

**ალეკო ბაბუკიანი**



15 ივნისი, მონრეალი
ჟილ ვილნევი

ტრასის სიგრძე 4,421 კმ.
რბოლის დისტანცია 69 წრე — 305,049 კმ

შარშანდელი შედეგები

გამარჯვებული: დეიმონ ჰილი („უილიამს-რენო) 1:36.03,465 (190,541 კმ-სთ)

პოული: დეიმონ ჰილი („უილიამს-რენო) 1.21,059 (196,345 კმ-სთ)

საუკეთესო წრე: ჟაკ ვილნევი („უილიამს-რენო) 1.21,916 (194,291 კმ-სთ)

## ფრენბურთი

# ისე ვთამაშობთ, როგორც ვცხოვრობთ

აგრარული უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის II წრის მატჩები ქალთა გუნდებს შორის. 27-28 ივნისს გასამართ მესამე ეტაპზე ოთხი გუნდი გავიდა. სპორტის აკადემიის „კოლხი", აგრარული უნივერსიტეტი, ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლა და ქუთაისელები წრიული სისტემით იასპარეზებენ და ქვეყნის ჩემპიონიც თვის ბოლოს გამოვლინდება.

არეულ, ლატაკ ქვეყანაში ჩემპიონატის ჩატარება ნაღდად საშური საქმეა, თანაც, ხომ გსმენიათ, საბანი იქამდე დაიხურე, სადამდეც გაგწვდებაო და ფედერაციამ ორიგინალურ ხერხს მიმართა. როგორც ფრენბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ სანთელაძემ მითხრა, საიმისოდ, შეჯიბრში მონაწილეობა მეტმა გუნდმა რომ შეძლოს, თორმეტი მოთამაშის ნაცვლად ექვსს იწვევენ, მოედანზე კი ექვსის მაგივრად ოთხი სპორტსმენი თამაშობს.

— როცა გუნდები ფინანსურად მომძლავრდებიან, სრულფასოვან ფრენბურთს მაშინ ვითამაშებთ. ოთხკაციანმა თამაშმა ის ხეირი მოგვცა, რომ ჩემპიონატში საქართველოს შვიდი რეგიონის გუნდი მონაწილეობდა. — აგვიხსნა ედუარდ სანთელაძემ.

**ერეკლე კიკილაშვილი**


**იყიდება**
რუსული ყოველკვირეული
**„ფუტბოლის"**
ყველა
ნომერი — პირველიდან
ბოლოს ჩათვლით.
ფასი შეთანხმებით
დარეკეთ: 22-58-43
იკითხეთ მამუკა


## მთამსვლელობა

# მე მაინც ავალ!

მსოფლიოს მთამსვლელთა წლევანდელი საგაზაფხულო შეტევა სამყაროს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მეტად დრამატულად დამთავრდა. სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციებს ცხრა მთამსვლელი დაეღუპათ და ბევრმა ექსპედიციამ ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. ამ გაზაფხულზე ევერესტს ქართველი მთამსვლელებიც უტევდნენ და მწვერვალზე ასასვლელად სულ ცოტა დააკლდათ. ერთ-ერთმა მათგანმა, რუსთაველმა ბენო ქაშაკაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა რუსთავის სპორტკომიტეტში.

რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ კახი ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ამ პრესკონფერენციის გამართვა მას მრავალმა სატელეფონო ზარმა გადააწყვეტინა — ამ ლაშქრობის მიმართ ასეთი ინტერესი მოულოდნელიც კი იყოო.

ბენო ქაშაკაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდნენ ქართველი მთამსვლელები ამ ექსპედიციისთვის და რა პირობებში მოუხდათ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე შეტევა.

— შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ — თქვა ბენო ქაშაკაშვილმა — თუმცა მწვერვალამდე 600 მეტრიღა იყო დარჩენილი, მაგრამ თუ მწვერვალი არ დაიპყარი, ეს შედეგი არ არის. ისე, სანამ მთაში ვივლი, როგორც ყველა მთამსვლელს, ოცნებად მაინც ჯომოლუნგმაზე ასვლა მექნება. და ამ ოცნებას მომავალში აუცილებლად განვახორციელებ.

უფრო ვრცლად ბენო ქაშაკაშვილის ნაამბობს „სარბიელის" მომდევნო ნომერში გაეცნობით.

**კოტე მგალობლიშვილი**

## კალათბურთი

NBA. ფლეი-ოფის ფინალი

# ჯორდანმა მოუგო. როდმანმა აგინა

V მატჩი

11 ივნისი. სოლტ-ლეიკ-სიტი

**იუტა — ჩიკაგო 88:90**
**(29:16, 24:33, 19:18, 16:23)**

**იუტა:** სტოქტონი (13), ჰორნაჩეკი (7), რასელი (11), მელოუნი (19), ოსტერტაგი (13); ანდერსონი (2), ეისლი (2), მორისი (11), ფოსტერი (6), კარი (4), კიფი

**ჩიკაგო:** ჰარპერი (5), ჯორდანი (38), პიპენი (17), როდმანი (2), ლონგლი (12); ვილიამსი (7), კერი, კუკოჩი (9), ბიუშლერი, კეფი

ამ ფინალურ სერიაში ამგვარი დრამატული, მწვავე და დაძაბული შეხვედრა არ ყოფილა. ორი გამარჯვების შემდეგ „იუტას" ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა და, ცხადია, არც მესამე საშინაო მატჩში აპირებდა წაგებას. მით უმეტეს, ჩიკაგოელთა ლიდერი მაიკლ ჯორდანი გრიპს შეეწუხებინა და მოედანზეც სიცხიანი გამოვიდა.

პირველ მეოთხედში სტუმრებს (მათ შორის ჯორდანსაც) არაფერი გამოსდიოდათ. „იუტამ" სამწუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგო და ანგარიში 21:8 გახადა, ხოლო მეორე მეოთხედის დასაწყისში კარმა 16 ქულამდე გაზარდა მასპინძელთა უპირატესობა — 34:18.



ხარებს ჯორდანმა და პიპენმა გაამარჯვებინეს

მაგრამ „ჩიკაგოს" ჰყავდა ჯორდანი, რომელმაც, ავადმყოფმაც კი, თამაშის მთელი სიმძიმე იტვირთა და სხვაობაც თანდათანობით შეამცირა. შემდეგ მატჩი ქულაქულაში გაგრძელდა, თუმცა, მაყურებელთა მხარდაჭერით გამხნევებული იუტელები მცირე უპირატესობას მაინც ინარჩუნებდნენ.

კვანძი ბოლო მეოთხედში გაიხსნა, როცა „ჩიკაგომ" ანგარიში გაათანაბრა — 81:81. მომდევნო სამ წუთში ქულა ვერცერთმა გუნდმა აიღო. ნავსი სტოქტონმა გატეხა სამქულიანით, რასაც ჯორდანმა ურთულესი მდგომარეობიდან ჩაგდებული ბურთით უპასუხა. დაძაბულობამ იმდენად იმატა, რომ პიპენმა და მელოუნმა თითო საჯარიმო აცილეს — 85:84 „იუტას" სასარგებლოდ.

აქ კი ჯორდანმა გაიბრწყინა. მან ჯერ ერთი საჯარიმო ჩააგდო, მეორე აცილა, მაგრამ ბურთი მოხსნა და სამქულიანიც ზუსტად შეასრულა. ეს ყველაფერი დამ-



როდმანისნაირი თავქარიანისგან ყველაფერია მოსალოდნელი

თავრებამდე 25 წამით ადრე მოხდა. ოსტერტაგმა და ლონგლიმ ჩატენები გაცვალეს, ჰორნაჩეკმა სამქულიანი აცილა, ხოლო სტოქტონის ერთმა საჯარიმომ იუტელთა საქმეს ვეღარ უშველა. „ჩიკაგომ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და, ფაქტობრივად, ჩემპიონობაც დაიბევა. ფინალის ბოლო ორი მატჩი (თუკი სულ ბოლო მატჩი საჭირო იქნება) ჩიკაგოში გაიმართება, სადაც „ხარები" ძალზე იშვიათად აგებენ. „იუტამ" კი ამ წაგებით შეწყვიტა შინ მოგების 22-მატჩიანი სერია, რომელიც 22 თებერვალს დაიწყო.

ჩიკაგოელთა კოლორიტმა როდმანმა კვლავ ვერაფრით გამოიჩინა თავი (2 ქულა, 7 მოხსნა), სამაგიეროდ, ერთ ინტერვიუში იუტას შტატში მცხოვრებ მორმონთა რელიგიური სექტის მიმართ არაკორექტული განცხადება გააკეთა. ნბა-ს ხელმძღვანელობამ როდმანი ამ საქციელისთვის 50 ათასი დოლარით დააჯარიმა.

## კარატე

# საუკეთესო ისევ საუკე[illegible]

ბიბლიოთეკა

ჩვენი კარატეს სახელი კარგა ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს. ტურნირი არ იქნება, ჩვენებურებმა არ გვასახელონ. 17 წლის თენგიზ ბენდუქიძემ შარშან 15 მედალი მოიპოვა სხვადასხვა შეჯიბრებაში და საქართველოს საუკეთესო კარატისტის ტიტულიც დაიმსახურა.





პაატა ელბაქიძე და თენგიზ ბენდუქიძე

ახლახან ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი გოჯუ რიუ კარატე-დოში. გოჯუ რიუს „მამა" საქართველოში — პაატა ჭელიძე ქართული კარატეს ერთ-ერთი პიონერია და ჯერ კიდევ 1977 წლიდან ვარჯიშობს. 1989 წელს სენსეი მორიო ჰიგაონას შეხვდა და ოკინაველ ოსტატთან დამეგობრებამ და ვარჯიშმა პაატას საშუალება მისცა, 1990 წელს საქართველოში ოკინავა გოჯუ რიუ კარატე-დოს ფედერაცია ჩამოეყალიბებინა. თენგიზ ბენდუქიძეც პაატა ჭელიძის მოწაფე იყო და პატარაობიდანვე წარმატებით ჩხუბობდა საერთაშორისო ტურნირებზე მათ შორის, ორი-სამი წლით უფროსებთანაც. რაღა გასაკვირია, რომ ბენდუქიძემ საქართველოს პირველობაზეც გამოიჩინა თავი — პირადშიც გაიმარჯვა და გუნდურშიც. ამ სურათზე საქართველოს უძლიერესი კარატისტი კატაში ჩემპიონ პაატა ელბაქიძესთან არის აღბეჭდილი. თავად თენგიზი კატაში მესამე იყო, ინდივიდუალურ კუმიტეში კი, აბა, ვის დაუთმობდა.

**გურამ ხელაშვილი**

## ჭიდაობა

# ვალი და მადლი

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— ელდარ, ფინალი ჯერ არ გოჭიდავია, მაგრამ წინასწარ გილოცავ ჩემპიონობას. ვიცი, მოიგებ.**

— იმედი კი მაქვს, რომ მოვიგებ, მაგრამ თავდაჯერებით ვერ გეტყვი — ვაი თუ წავაგო?

**— შენგან ამ ჩემპიონატში მონაწილეობაც მადლია: ტიტულოვანი მოჭიდავენი თავს არიდებენ ხოლმე შინაურ ჩემპიონატებს. კურტანიძის ჭიდაობამ ამ შეჯიბრს ბევრი ქომაგი მოჰგვარა.**

— მე არასოდეს დავამადლი თავს ჩემს ქომაგებს. რაც უნდა მოვიგო, ჩემთვის საქართველოს ჩემპიონობა ყველაზე ღირებულია.

**— ამას ევროპის ორგზის ჩემპიონი ამბობს. ხომ არ გავიწყდება?**

— მე რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

**— ელდარ, რამდენჯერ მოგიგია საქართველოს ჩემპიონატი?**

— ორჯერ.

ამასობაში ელდარ კურტანიძემ სპორტული სამოსი გადაიძრო და ხალიჩაზე გავარდა. ფინალში თბილისელი დათო ოთიაშვილი ხვდებოდა. შარშანდელ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთან მოგების შანსი რომ არ ჰქონდა, ეს დათომ სხვაზე უკეთ იცოდა, მაგრამ ბრძოლა ბრძოლაა, რაც შეეძლო, გაუძალიანდა, მაგრამ ელდარმა და გამოცდილებამ ერთად იძალეს და დათო ოთიაშვილი სუფთად დამარცხდა.

ამ შეხვედრაზე ყურადღების გამახვილება იმიტომ ღირდა, რომ ელდარ კურტანიძემ — ევროპის ორგზის ჩემპიონმა იასპარეზა. სხვა მხრივ, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატი ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, არც სენსაციური და ახალი მომხდარა რამე, ეს სპეციალისტებმაც დამიდასტურეს. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძეც ამ აზრისაა: „ჩემპიონატმა ახალი და განსაკუთრებული არაფერი მოგვცა, მაგრამ ის საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ სამსოფლიოსჩემპიონატო გუნდის დაკომპლექტებაში დიდად დაგვეხმარება." დახმარება კი, თუნდაც იმას ჰქვია, რომ მწვრთნელებს ნაკრების წევრთა და კანდიდატთა კიდევ ერთხელ შემოწმებისა და შეხედვის საშუალება მიეცათ.

თუმცა, საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი დათო პოლოსიანი არ ასპარეზობდა. დათო, მოგეხსენებათ, ევროპის წლევანდელი ჩემპიონია, საქართველოს ჩემპიონატს, კურტანიძისა არ იყოს, ისიც დაამშვენებდა, მაგრამ დათომ და მისმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა სხვაგვარად განსაჯეს: დათოს წონა ჰქონდა მომატებული, თავის წონაში — 58-ში ვერ იჭიდავებდა, ზემოთ კი — 63-ში — დათოს თანაქალაქელ გორელ გიორგი დათაშვილსა და სოხუმელ გოდერძი ხარებავას საკუთარი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი, ამიტომ დათოს ამ წონაში ჭიდაობა არაფერს მისცემდა და დასვენება ამჯობინა. ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა მაინც გოდერძი ხარებავასა და გიორგი დათაშვილის ორთაბრძოლა იყო. ყველაფერი, რაც ჭიდაობას უხდება, ამ შეხვედრას ახლდა. ხარებავამ იმარჯვა და ჩემპიონობაც ღირსეულად დაისაკუთრა. არც 69 კილოგრამში მოასპარეზეთა დავიწყება იქნება. ახლახან პოლონეთში, ევროპის ჩემპიონატზე ხელმოცარულმა ემზარ ბედინეიშვილმა დაამტკიცა, რომ საქართველოში თავის წონაში ბადალი არ ჰყავს და დათო გაგიშვილთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა. გაგიხარდება, როცა გაიგებ: ამ წონაში ბრინჯაოს მედალი სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის, ჩვენი სასიქადულო ფალავნის დათო გობეჯიშვილის ბიძაშვილმა ონელმა გიორგი გობეჯიშვილმა მოიგო. იქნებ კიდევ ერთმა გობეჯიშვილმა გვასახელოს.

ჩემპიონატზე, გავიმეორებ, ახალი და ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, მაგრამ არ შეიძლება ამ ტურნირზე ისაუბრო და თენგიზ არჯევანიძეს აუარო გვერდი. ეს კაცი ბათუმელია, ახალგაზრდა და, როგორც ჩანს, იღბლიანი ბიზნესმენი, საკმაოდ სოლიდური ფირმის T&M-ის წარმომადგენელი თბილისში და, რაც ამ შემთხვევაშია მთავარი, ჭიდაობის დიდი მოყვარულია. საქართველოს ჩემპიონატი ხწორედ თენგიზ არჯევანიძის შემწეობით ჩატარდა, პრიზები, რაც ჩემპიონებს და პრიზიორებს ერგოთ, სწორედ ამ კაცმა გაიღო, ეგ კი არა, ქართველი მოჭიდავეების ძველი გამარჯვებაც არ დაივიწყა და ელდარ კურტანიძეს და დათო პოლოსიანს ევროპის ჩემპიონობისთვის თავისი წილი საფასური გადაუხადა: მაჯის საათები და საკმაოდ ძვირადღირებული ვიდეოაპარატურა. ბატონი თენგიზი კვლავაც აპირებს მოჭიდავეთა გვერდით დგომას. „მე წყალბურთელი ვიყავი, ჭიდაობით არ მიჭიდავია, — მითხრა თენგიზ არჯევანიძემ, — მაგრამ ბოლო ხანს მოჭიდავეებს დავუახლოვდი და ვცდილობ, დავეხმარო. ჯერჯერობით, რაც იყო, ეს შევძელი, სახვალიოდ აუცილებლად მეტს გავაკეთებ. ვატყობ, ისე გამიტაცა ჭიდაობამ, ქართველ მოჭიდავეებს იქნებ მუდმივ სპონსორადაც ვექცე."

ღმერთმა ქნას: ქართველ მოჭიდავეთა ნიჭს სწორედ ასეთთა მხარდაჭერა სჭირდება, რათა მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში კუთვნილი ადგილი ირგუნოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

**ტექნიკური შედეგები**

54 კგ. ზაზა ქავთარია (თბილისი)
რაჟდენ ფრიდონიშვილი (რუსთავი)
გიორგი გაგიშვილი (გორი)

58 კგ. ლევან გასიტაშვილი (გორი)
ზვიად აბუსერიძე (აჭარა)
დათო ბარამაშვილი (გორი)

63 კგ. გოდერძი ხარებავა (სოხუმი)
გიორგი დათაშვილი (გორი)
კახა დობორჯგინიძე (თბილისი)

69 კგ. ემზარი ბედინეიშვილი (თბილისი)
დათო გაგიშვილი (თბილისი)
გიორგი გობეჯიშვილი (ონი)

76 კგ. ალეკო კახნიაშვილი (თბილისი)
ნუკრი მინდორაშვილი (თბილისი)
მალხაზ ჯორბენაძე (თბილისი)

85 კგ. გოჩა ჩიხრაძე (გორი)
ნიკო ბეგაშვილი (თბილისი)
ავთო გოგოლაშვილი (თბილისი)

97 კგ. ელდარ კურტანიძე (სოხუმი)
დათო ოთიაშვილი (თბილისი)
შოთა ბილანიშვილი (ყვარელი)

მძიმე. მამუკა ფრეწუაშვილი (ყვარელი)
კობა ვაშაკიძე (სამტრედია)
კახა ტყეშელაშვილი (თბილისი)

# რაგბი

## ლომები აფრიკაში

VI თამაში. 11. 06. იოჰანესბურგი. ჰაუტენჯის ლომები (ყოფილი ტრანსვაალი) 14 (9) (ლ: ფოსი; 3ს: დიუტუა) — ბრიტანელი ლომები 20 (3) (2ლ: პიილი, ბენთლი; 2გ: ჯენქინსი; 2ს: ქეთი, ჯენქინსი). მსაჯი ტაპე პენინპი (ჩრდ. ტრანსვაალი)

# ნალიბარის ძალა

მასპინძლებს ეროვნულ გუნდ „ქურციკების" საწვრთნელ შეკრებაზე თუმც ოთხი კაცი მიევლინათ, მაინც ისეთი მარქაფა ყავთ, რომ თხუთმეტეულში ხუთი ნაქურციკალი დაასახელეს. თავიდანაც მაგრად მიეძალნენ სტუმარ „ლომებს", მაგრამ ამათ თავი მედგრად დაიცვეს. ბრიტანელთაგან განსაკუთრებით იყოჩაღა ჩია ფლანკერმა ნილ ბექმა, რომელმაც ზორზოხი ბურებიც წარბშეუხრელად ბოჭა და ბურთიც ბევრჯერ დიდი მანძილიც წაწია წინ.



ბრიტებს 10 ნომრად პირველად ეყენათ ინგლისელი მაიქ ქეთი, ვინაც არგენტინიდან დაიბარეს. ქეთმა რესპუბლიკაში ჩაასწრო ჰაუტენჯის ბურჯ რობერტო გრაუს, რომელიც შაბათს არგენტინის მიერ ინგლისის 33:13 ძლევაში მონაწილეობდა, ოთხშაბათს კი აფრიკელთა სახელით უკვე მთელს ბრიტანეთს უპირებდა მორევას.

ქეთმა გუნდი დაალალატა — საწყის საათში ექვსიდან ხუთი დარტყმა გააფუჭა. „ლომებს" ლელო თუმც არ გაუშვიათ, ჰაუტენჯის 15 ნომერმა დუი დიუტუამ ოთხი ცდით სამი გოლი მაინც შეუგდოთ.

55-ე წუთზე სტუმართა გარემარბმა თონი ანდერვუდმა მეტოქე ლელოსთან დასცა, მაგრამ თავად მხარი და კისერი იტკინა. ზოგი ჭირი მარგებელიაო: თონის უელსელმა შემცვლელმა ნილ ჯენქინსმა დამრტყმელობა გადაიბარა და მატჩის ფინალში საქმეს მშვენივრად გაართვა თავი.

მატჩის ბოლო მეოთხედში ბრიტანელთა შერკინებას მასპინძლებისამ ველარ გაუძლო. სტუმართა უკანა ხაზსაც საიერიშოდ უკვე ხშირად მისდიოდა ბურთი. 63-ე წუთამდე ბრიტები 3:9 აგებდნენ, მაგრამ მერე ოთხი წუთის ინტერვალით ორი ლელო გაიტანეს. ჯერ იყო და ექს-გარემარბმა, აწ კი ინგლისის სათადარიგო 9 ნომერმა ოსთინ ჰიილიმ კალათბურთელივით მაღალ შუამარბ ვილ გრინვუდისგან მიიღო უკუ-პასი და დიუტუას ცრუ მოძრაობით უგანა, მერე კი მართლაც რომ იშვიათი ლელო გავიდა: ინგლისელმა ჯონ ბენთლიმ ბურთი თავის ნახევარზე იხელთა და 70-მეტრიანი სოლო განახორციელთა.

ბენთლიმ შვიდი ჰაუტენჯელი ორ წყებად მოატყუა: კრაუზე, დოლტონი, დიუტუა და ფანრენსბურგი — მარჯვენა ფრთაზე, ფოსი, ჯილინგემი და იგივე ფანრენსბურგი — მოედნის შუაგულისკენ, და თუმც ლელოსთან შებოჭეს, ინერციით მიზნამდე მაინც მიატანა, რაც გასაკვირი სულაც არაა, თუკი მის კარიერას გავიხსენებთ. „ელის პარკზე" შეკრებილმა 38 ათასმა გულმხურვალე პატრიოტმა მეტოქის გაბრწყინებას ღირსეული პატივი მიაგო და ოვაცია გაუმართა.

ოლ-სპორტი იოჰანესბურგიდან

„ბენთო" 30 წლისაა. 1988 წელს ორჯერ ითამაშა ავსტრალიის წინააღმდეგ, მერე კი 13-კაცა ლიგის რაგბში გადავიდა და ბრიტანეთის ნაკრებში მოხვდა. პროფესიულ ბურთაობაში ბიჭი ისე დავაჟკაცდა, რომ რაგბში დაბრუნებული თითით საჩვენებელია. ტანად 185 სანტიმეტრია და 98 კილოს იწონის. მისი ალაგმვა პრობლემაა, თავად მეტოქეს კი არ აზარებს. დასავლეთ კონცხთან თამაშში „ბენთომ" ისე გააპამპულა ქეიფთაუნელთა და „ქურციკთა" მშვენება ჯეიმზ სმოლი, რომ ეს ბოლოს ყელშიც კი წვდა. ბენთლი იმ თამაშის საუკეთესო მოთამაშედ ცნეს, „ლომებმა" კი მთავარ შემაგულიანებლად დაინიშნეს, რადგან ოხუნჯ ჯონს ყბედობა ერთობ უყვარებია და მთელი თამაშის მანძილზე ენას არ აჩერებს — ნებისმიერ სათამაშო სიტუაციაში შეძახილებით ამხნევებს თანაგუნდელებს.

დღეს „ლომებს" მორიგი გამოცდა ელით — დურბანში აფრიკული ქარრის თასის ბოლო ორი წლის მფლობელს, ნატალის „ზვიგენებს" ეთამაშებიან. ბენთლი არც თხუთმეტეულშია და არც სკამზე. „ლომების" უფროსობა ექსპერიმენტებს განაგრძობს, რადგან ქეიფთაუნის 21 ივნისის პირველ ტესტამდე ორი მატჩიღა რჩება.

ლუკა ჯორჯიაშვილი

## საქართველოს პირველობა

# ვაკიდან ქვემო ქართლში

შარშანდელ ჩემპიონსა და წლევანდელ მაჩანჩალა „გუმარს" ფინანსურად რომ უჭირს და ვაკის სტადიონს ვერა ქირაობს, გუშინწინ რუსთავის „აზოტს" თბილისის ნაცვლად მისსავე მოედანზე ეთამაშა და 11 (ლ, 2ს) : 18 (2ლ, გ, 2ს) დამარცხდა. ამის სანაცვლოდ „გუმარი" ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტს II წრეში შინ ეთამაშება.

# ჩოგბურთი

| ვაჟთა ქულები | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სამპრასი | აშშ | 4699 |
| 2 | ჩანგი | აშშ | 3727 |
| 3 | ივანიშევიჩი | ხორ | 2803 |
| 4 | მუსტერი | ავ | 2769 |
| 5 | კრაიჩეკი | ჰოლ | 2449 |
| 6 | კაფელნიკოვი | რუს | 2279 |
| 7 | კორეჩა | ესპ | 2208 |
| 8 | ბრუგერა | ესპ | 2176 |
| 9 | ენკვისტი | შვდ | 2149 |
| 10 | მოია | ესპ | 2119 |
| 11 | რიოსი | ჩილ | 2092 |
| 12 | კოსტა | ესპ | 1820 |
| 13 | ბეკერი | გერ | 1819 |
| 14 | ბერასატეგი | ესპ | 1803 |
| 15 | კერტენი | ბრა | 1763 |
| 16 | მანტია | ესპ | 1743 |
| 17 | რაფთერი | ავსტ | 1707 |
| 18 | მედვედევი | უკრ | 1613 |
| 19 | ფილიპუსისი | ავსტ | 1579 |
| 20 | მარტინი | აშშ | 1578 |
| 21 | ფერერა | აფრ | 1570 |
| 22 | ჰენმანი | ბრიტ | 1565 |
| 26 | როსე | შვეი | 1279 |
| 28 | კურიე | აშშ | 1220 |
| 29 | აგასი | აშშ | 1203 |
| 32 | ვუდბრიჯი | ავსტ | 1151 |
| 65 | ვუდფორდი | ავსტ | 762 |
| 81 | სარქისიანი | სომხ | 601 |

| და ფულები US$ | | |
|---|---|---|
| 1 | მუსტერი | 827 920 |
| 2 | ჩანგი | 825 573 |
| 3 | კორეჩა | 811 987 |
| 4 | რიოსი | 802 322 |
| 5 | კერტენი | 794 221 |
| 6 | სამპრასი | 789 047 |
| 7 | ბრუგერა | 778 718 |
| 8 | ივანიშევიჩი | 669 951 |
| 9 | კოსტა | 616 239 |
| 10 | ვუდბრიჯი | 612 430 |
| 11 | მედვედევი | 610 824 |
| 12 | მანტია | 584 783 |
| 13 | ვუდფორდი | 537 984 |
| 14 | მოია | 528 804 |
| 15 | რაფთერი | 467 031 |
| 16 | ფილიპუსისი | 456 924 |
| 17 | კრაიჩეკი | 431 691 |
| 18 | კაფელნიკოვ | 430 013 |
| 21 | როსე | 392 493 |
| 22 | კურიე | 371 810 |
| 31 | ჰენმანი | 258 662 |
| 32 | ენკვისტი | 255 165 |
| 48 | ფერერა | 208 067 |
| 86 | ბეკერი | 112 774 |

| ქალთა ქულები | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ჰინგისი | შვეი | 5169 |
| 2 | სელეში | აშშ | 3497 |
| 3 | გრაფი | გერ | 3451 |
| 4 | ნოვოტნა | ჩეხ | 3144 |
| 5 | მაიოლი | ხორ | 3142 |
| 6 | დავენპორტი | აშშ | 2557 |
| 7 | კუტცერი | აფრ | 2539 |
| 8 | ჰუბერი | გერ | 2361 |
| 9 | სანჩესი | ესპ | 2354 |
| 10 | პირსი | საფრ | 2310 |
| 11 | მარტინესი | ესპ | 2223 |
| 12 | მ-ჯ. ფერნანდესი | აშშ | 2088 |
| 13 | სპირლეა | რუმ | 1722 |
| 14 | პო | აშშ | 1582 |
| 15 | შულცი | ჰოლ | 1567 |
| 16 | დრაგომირი | რუმ | 1416 |
| 21 | რეიმანდი | აშშ | 1164 |
| 25 | რუბინი | აშშ | 951 |
| 27 | კაპრიატი | აშშ | 886 |
| 37 | ზვერევა | ბელ | 689 |
| 80 | ვილიამსი | აშშ | 321 |

| და ფულები | | |
|---|---|---|
| 1 | ჰინგისი | 1 590 891 |
| 2 | მაიოლი | 996 476 |
| 3 | დავენპორტი | 606 141 |
| 4 | ფერნანდესი | 551 027 |
| 5 | პირსი | 541 891 |
| 6 | კუტცერი | 429 534 |
| 7 | ზვერევა | 406 836 |
| 8 | სელეში | 363 783 |
| 9 | სანჩესი | 325 183 |
| 10 | სპირლეა | 295 545 |
| 11 | მარტინესი | 278 417 |
| 12 | ნოვოტნა | 274 310 |
| 13 | დრაგომირი | 252 295 |
| 14 | რეიმანდი | 247 973 |
| 15 | გრაფი | 230 249 |
| 16 | ჯ. ფერნანდეს | 208 658 |
| 17 | ჰუბერი | 190 813 |
| 24 | რუბინი | 149 084 |
| 69 | კაპრიატი | 57 282 |
| 82 | ვილიამსი | 47 920 |
| 97 | ლუჩიჩი (ხორ) | 41 360 |

## „ასოშიეითიდ პრესი" საუკეთესოა!

ათლეტებისა არ იყოს, დიდ შეჯიბრებებზე საინფორმაციო სააგენტოებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს, ოღონდაც არა ჩოგნითა და ბურთით, არამედ თემის გაშუქების სისრულითა და მრავალფეროვნებით.

საფრანგეთის ღია პირველობის გაშუქებას ფრანგულ „აჟანს ფრანს-პრესს", აბა, ვინ დაასწრებდა, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩოგბურთის გარჩევაში „ასოშიეითიდ პრესს" (აპ) ბადალი მაინც არა ყავს.

ეს ასეა არა მარტო დიდი სლემის ტურნირებზე, არამედ ცალკე ქალთა და ცალკე ვაჟთა პროფ-ტურების გარჩევისასაც. ყოველ ორშაბათს აპ ყველაზე სრულად აქვეყნებს ჩოგბურთელთა რეიტინგებს და არც მათ მიერ მოხვეჭილ ფულს ივიწყებს. გარდა ამისა, რაკილა ვაჟთა ასოციაცია ატპ ქალთა ვტა-ზე უფრო ცივილიზებულია, აპ მისი კომპიუტერიდან ბევრად უფრო საგულისხმო სტატისტიკასაც თავაზობს მუშტარს.



ჩვენ მეტწილად აპ-ით ვსაზრდოობთ. ამჯერად მკითხველს დასაჰაშნიკებლად ამ კვირის აპ-ისეულ სტატისტიკის ამონაწურსა და ერთ კვიმატ ფოტოს ვთავაზობთ. მასზე აღბეჭდილია ივა მაიოლისა და რუქსანდრა დრაგომირის მატჩის შემდგომი კომიკური სცენა, როცა „როლან გაროსის" მომავალი ჩემპიონი მაიოლი მის გვერდით წამოსაწოლად ეპატიჟება დობილსა და ძლეულ მეტოქეს.

„სარბიელში"
რეკლამის
მოსათავსებლად დარეკეთ
**95 26 90**

| ჭერქვეშ | | | |
|---|---|---|---|
| სამპრასი | 10 | 0 | 1.000 |
| ივანიშევიჩი | 15 | 2 | .882 |
| ჩანგი | 7 | 1 | .875 |
| იან კროზლაკი (სლვკ) | 10 | 2 | .833 |
| თომას ენკვისტი | 14 | 4 | .778 |
| პეტრ კორდა | 10 | 3 | .769 |
| თომას იოჰანსონი (შვ) | 12 | 4 | .750 |
| **გარეთ** | | | |
| ჩანგი | 26 | 6 | .813 |
| ფილიპუსისი | 25 | 6 | .806 |
| კორეჩა | 29 | 9 | .763 |
| მუსტერი | 28 | 9 | .757 |
| ალბერტ კოსტა | 29 | 10 | .744 |
| მარს. ფილიპინი (ურ) | 17 | 6 | .739 |
| ჯიმ კურიე | 22 | 8 | .733 |
| იონას ბიორკმანი (შვ) | 26 | 10 | .722 |
| რიოსი | 28 | 11 | .718 |

| ხისტ საფარზე | | | |
|---|---|---|---|
| სამპრასი | 20 | 2 | .909 |
| ჩანგი | 23 | 3 | .885 |
| მუსტერი | 21 | 3 | .875 |
| ბიორკმანი | 24 | 7 | .774 |
| კრაიჩეკი | 10 | 3 | .769 |
| ფილიპუსისი | 10 | 3 | .769 |
| თიმ ჰენმანი (ბრიტ) | 15 | 5 | .750 |
| კურიე | 17 | 6 | .739 |
| **თიხაზე** | | | |
| კორეჩა | 25 | 5 | .833 |
| კოსტა | 18 | 4 | .818 |
| ჯეისონ სთოლთენბერგი | 13 | 3 | .813 |
| ფილიპინი | 16 | 4 | .800 |
| რიოსი | 21 | 6 | .778 |
| ფილიპ დევულფი (ბელგ) | 7 | 2 | .778 |
| პატ რაფთერი | 10 | 3 | .769 |
| ფილიპუსისი | 13 | 4 | .765 |
| ანდრეი მედვედევი(უკრ) | 15 | 5 | .750 |

| წლიური | მ | წ | . % |
|---|---|---|---|
| მაიქლ ჩანგი | 33 | 7 | .825 |
| პიტ სამპრასი | 22 | 6 | .786 |
| მარკ ფილიპუსისი | 26 | 8 | .765 |
| გორან ივანიშევიჩი | 34 | 11 | .756 |
| თომას მუსტერი | 29 | 10 | .744 |
| ალექს კორეჩა | 29 | 11 | .725 |
| მარსელო რიოსი | 33 | 13 | .717 |
| რიხარდ კრაიჩეკი | 20 | 8 | .714 |

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

**დღეს, შაბათს, 14 ივნისს**

11.30 ზე-კაცთა სამჭიდი (ტრიათლონი): მსოფლიო პირველობა. ნიციდან (საფრანგეთი); 12.30 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. სიერა-ნევადიდან (ესპანეთი); 13.00 რალის ჟურნალი „უგზოობა"; 14.00 ავტო-რბოლა: ნასკარი. ვინსტონის თასის სერიალი. პენსილვანიიდან (აშშ); 15.00 ლე-მონის 24-საათა ავტორბოლა. საფრანგეთიდან; 16.00 (პ) ჩოგბურთი: პალესა და ქვინზ-კლაბის ნახევარფინალები; 16.00, 21.30, 23.00, 24.00 (პ) ლე-მონის 24-საათა; 21.00 (პ) ჩოგბურთი: პალე; 22.30 ავტორბოლა: ტურ-კარი. ზახსენრინგენიდან (გერმანია); 23.30 მოგზაურობა ყინულეთში; 1.00 კრივი: კენედი — ვოტფორდი; 2.00 წიხლაობა (კიკბოქსინგი): ოსტატთა სალამო; 3.00 ტურ-კარი; 3.30 სატვირთო მანქანებით რბოლა; 4.00 სხეულის წრთობა: ესენის დიდი პრიზი (გერმანიიდან)

**ხვალ, კვირას, 15 ივნისს**

11.30, 13.00, 16.00, 18.15 (პ) ლე-მონი; 12.00 ცხენოსნობა: ერთა თასი. ჰელსინკიდან; 15.15 მოტოციკლი: ევროპის სერიალი. 250 კუბ. სმ. ბრაგადან (პორტუგალია); 17.45 მოტოციკლი: 125 კუბ. სმ; 20.15 ჩოგბურთი: პალესა და ქვინზ-კლაბის ფინალები; 22.00 (პ) ნასკარი: ბრუკლინიდან (მიჩიგანი, აშშ); 1.00 ტურ-კარი: ზახსენრინგენი; 2.00 ლე-მონი (რ); 3.00 მოგზაურობა ყინულეთში; 4.00 კრივი: ოტკე — ფლუტე

**ზეგ, ორშაბათს, 16 ივნისს**

11.30 ზე-კაცთა სამჭიდი: ევროპის თასი. ბელგიიდან და საფრანგეთიდან; 12.30 მოტოციკლი: ბრაგა; 13.30 კალათბურთი: ევროპის ქალთა პირველობა. უნგრეთიდან; 15.00 ნასკარი: ბრუკლინი; 17.00 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. გახსნა; 18.00 (პ) ჭაბუკთა ფეხბურთი: მალაიზია — მაროკო; 20.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები. 21.00 ლე-მონი (რ); 22.00 ბუნიკობანა (დარტსი): ევროპის პირველობა. ბელგიიდან; 23.00 ავტო-ჟურნალი „ჩაუქი სამყარო"; 1.00 სუმო (იაპონური ბღლარძუნი): ბაშოს ტურნირი. ტოკიოდან; 2.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები"; 3.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა. სთივენ ჰენდრი — ჯიმი ვაითი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

**ყოველდღე**

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

# რალი

# ჯილას პირველობა დაუთმეთ!

„ფორდის" პირველი ნომერი, ესპანელი კარლოს საინსი მსოფლიო ჩემპიონი 1990 და 1992 წლებში იყო. ამ კვირამდე ოსტატს რალი წელს ერთხელაც ვერ მოეგო, მაგრამ რაც წინა, არგენტინის რალიდან გერმანელი შვარცის ნაცვლად მეორე ნომრად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ფინელი ვეტერანი იუჰა კანკუნენი დაუყენეს, საინსს ეშველა — გაიმარჯვა „აკროპოლისის რალში", კვირიდან სამშაბათამდე, 8-10 ივნისს საბერძნეთში რომ გაიმართა და წლევანდელი პირველობის VIII რალი იყო.




ოთხი ფორდელი: რეპო, მოია, საინსი და კანკუნენი

როიტერი ათენიდან

საბერძნეთის რალი ევროპულთაგან ურთულესია, საზოგადოდ კი მხოლოდ კენიურ „საფარის" ჩამოუვარდება. ამისა არ იყოს, წელს რიგით 44-ე „აკროპოლისიც" ტრადიციულზე ადრე გაიმართა. ამის გამო მეტად ცხელოდა, მიხვეულ-მოხვეული, ხისტი და მტვრიანი გზები კი მძღოლებსაც არაქათს აცლიდა და საბურავებსაც უმოწყალოდ ცვეთდა.

საბერძნეთში შარშან ბრიტანელმა ქოლინ მაკრეიმ (სუბარუ) გაიმარჯვა. წელს „ფორდმა" დაიკავა პირველი და მეორე ადგილები, რაც ამ გუნდმა 1993 წლის პორტუგალიის რალის შემდეგ პირველად შეძლო. საინსმა „აკროპოლისი" მესამედ მოიგო (წინეებზე 1990 და 1994 წლებში).

პირველ დღეს მონაწილეებმა ათენიდან ჩრდილოეთით, კამენა-ვურლასკენ გაუტიეს. I ეტაპი მოიგო მაკრეიმ, მაგრამ II-ზე მიწაყრილზე ავარდა, მანქანა დალეწა და გავარდა. დაწინაურდა მისი შვედი თანაგუნდელი კენეთ ერიქსონი, მაგრამ VI ეტაპზე მასაც უმტყუნა მანქანამ და 10 წუთი იზარალა. მაკრეის ბედი IV ეტაპზე გაიზიარა სიანსმაც და ერთი წუთით შეყოვნდა, V ეტაპზე კი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონსა და წლევანდელ ლიდერს, ფინელ თომი მაკინენს (მიცუბიში) საბურავი დაეშვა.

უფათერაკოდ მხოლოდ ბებერი კანკუნენი გადარჩა. მან ერთობ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და დღის 7 ეტაპის ჯამში 27 წამი მოუგო მაკინენსა და მის ბრიტანელ თანაგუნდელ რიჩარდ ბერნსს. საინსი ლიდერს წუთითა და 22 წამით ჩამორჩა.

მეორე დღეს რალიმ გეზი ისევ ჩრდილოეთით აიღო. „ფორდმა" დაჯაბნა „მიცუბიში". 7 ეტაპიდან ექვსში საინსს საუკეთესო დრო აღმოაჩნდა. ბერნსი 10 წამით წამოეწია კანკუნენს, მაგრამ XII ეტაპზე მოცურდა, XIV-ზე კი საინსმა გადაუსწრო. მაკინენს უკანა შეკიდულობა გაუფუჭდა და გვარიანად იზარალა, ერიქსონის მანქანა კი ერთი შეხტა და საჭე გაიტეხა. „სუბარუმ" ასე დაკარგა მეორე ეკიპაჟიც და უქულოდ დარჩა, VIII ეტაპი კი გაუქმდა, რადგან მონაკოელი ჟან-პიერ რიშელმის „ფორდს" ცეცხლი წაეკიდა. არეულობა შემდეგ ეტაპზეც იყო, რაკი მოსეირეთა ნაწილი გზაზე შეეხეტა.

ბოლო დღეს მონაწილეებმა ისევ ათენისკენ გასწიეს. მის დაწყებამდე კანკუნენი საინსს 37 წამს უგებდა. ბერნსი ლიდერს 1.01-ით ჩამორჩებოდა, მაკინენი — 5.09-ით. საინსმა კიდევ უფრო მაგრად შეუბერა და XVIII ეტაპის შემდეგ თანაგუნდელ ლიდერთან 16 წამსღა აგებდა. აქ „ფორდის" უფროსობამ კანკუნენს უბრძანა, საინსს გზა უტიეო.

თუმც ფინელს 1994 წლის პორტუგალიის რალის შემდეგ არსად გაემარჯვა, დირექტივას დაყაბულდა და პირველობაც წილად ხვდა საინსს, ვინაც შარშან, ინდონეზიაში მოგების შემდეგ პირველად გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონობის შანსიც გაუჩნდა. მესამე ადგილი თავიდან ბერნსს ერგო, მაგრამ მერე ამას ორი ჯარიმა დააკისრეს და მაკინენმაც ერთ ზედმეტ ქულას გამოკრა ხელი, რითაც მეტად დაშორდა მაკრეის.

თენგიზ არტამონოვი

## 44-ე აკროპოლისი:

1. კარლოს საინსი და ლუის მოია (ესპანეთი, ფორდ-ესკორტი) 4 საათი: 56 წუთი. 24 წამი; 2. იუჰა კანკუნენი და იუჰა რეპო (ფინეთი) (ფორდ-ესკორტი) ჩამორჩნენ .17-ით; 3. თომი მაკინენი და სეპო ჰარიანე (ფინეთი) (მიცუბიში-ლანსერი) 5.03; 4. რიჩარდ ბერნსი და რობერტ რიიდი (ბრიტანეთი, მიცუბიში-ქარიზმა) 5.07; 5. თომას რადსტრიომი და დენი ჟიროდე (შვედეთი) (ტოიოტა-სელიკა) 7.47; 6. უვე ნიტელი და თინა თორნერი (გერმანია) (მიცუბიში-ლანსერი) 10.02

**რვა რალის ჯამი**

პირადი: მაკინენი 42 ქულა; მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 32; საინსი 28; პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) 18; ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 14; არმინ შვარცი (გერმანია, ფორდი) 11; ბერნსი 9; ჟილ პანისი (საფრანგეთი, პეჟო) 8

გუნდური: სუბარუ 64; მიცუბიში 53; ფორდი 45

**წლის ბოლომდე**

| № | ვადა | |
|---|---|---|
| IX | 1-5 VIII | ახალი ზელანდია |
| X | 29 VIII - 1 IX | ფინეთი (1000 ტბა) |
| XI | 17-21 IX | ინდონეზია |
| XII | 11-15 X | იტალია |
| XIII | 30 X - 3 XI | ავსტრალია |
| XIV | 21-24 XI | ბრიტანეთი (არ-ეი-სი) |


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29